

განათლება

(წელიწადი მესამე)

II

თებერვალი

1912 წ.



ამონ კომენიუსკი

- ზინაპარსი:** 1. კრფენული შავი ჭირი იმიერ და ამიერ საქართველოში, იაკობ გოგებაშვილისა. 2. ვილამ ჯექსი. საუბარი ფსიხოლოგიაზე, დ. ო—ძისა, ვ. ჯიბენა ილ. ალხაზიშვილისა. 4. მოკლე საუბარი ანატომიიდან, ექიმ. ევგ. ლოსაბერიძისა. 5. თელავის კურსების გამო, საქმე შემოქმედელისა და ვ. ჯაფარიძისა. 6. იდეალიზმის სინამდვილეში, ციაგისა. 7. მოლაპატე (თარგმანი) ილ. გოგიასი. 8. შოთა, შანშიაშვილისა. 9. ადამიანი, ვაჟა-ფშაველასი. 10. ჩემს ძაღლს, შიო მღვიმელისა. 11. სიცოცხლის სავალბუღი, ი. ფერაძისა. 12. წუხილი დ. თურდოსპირელისა. 13. გოდება, ლადო გეგეჭკორისა. 14. სსკადის ამონაგვები ს. აბულაძისა. 15. „ახალი ქართლის“ შედეგები „ჭკვიანი“ (დახსიათება) იპ. ვარაგავასი. 16. ახლად დასაბუთებულ გამზადებულ კურთხევის გამო, მასუხად კეთილის მასურნეს არ. პიროსისა, დეკ. კ. კეკელიძისა, დეკ. კ. ცანცაძისა, ი. აბულაძისა. 17. ხმის სხვადასხვა მასწავლებლისა, სახალხო მასწავლებლისა. 18. უნატრო სკოლები, მოკეთესი. 19. ბიბლიოგრაფია, Waliko-სი. 20. უცნაური რეცენზია, ი. გოგებაშვილისა. 21. განცხადებანი.

ყოველდღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო

„ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი“

(წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეულ

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებისათვის: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაჟრი, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7-კაპეიკი. ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1912 წლის ხელის-მომწერთა პრემიად მიეცემა ქართული სიტყვა-კაზმულ საზ. კრებ. შირველი ტომი „გრდემლი“, კრებ. დაახ. 500 გვ. იქნება და დაურიგდება იანვარშივე. რედაქციას ღიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакция „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.


ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

„ბათუმის გაზეთი“

გაზეთის ფასი: ერთი წლით 4 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. სამი თვით 1 მან. 50 კაპ. ერთი თვით 60 კაპ. წლიურ ხელის მომწეროლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილათ ყოველ ორ თვეში ერთხელ 1 მან. წინ-დაწინ 4 მანეთის შესრულებამდე.

ადრესი: Батумъ „Батумисъ Газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ა. მ. ჭელიძე.



განათლება

(წელიწადი მეხუთე)

II. თებერვალი 1912 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ. ნახევარი წლით . . . 2 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომრის ფასი 35 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.**


ეროვნული შავი ჭირი იმიარ და აზიარ სპასრთველოში.

ჩვენისთანა ბედნიერი ვანა არის სადმე ერი? ილ. ჭავჭავაძე.

I.

შავი ჭირი ორგვარი გახლავთ: ფიზიკური და ფსიხიური. პირველი ასნეულებს და სპიიბს მხოლოდ მცირეოდენს ნაწილს რისას, მეორე კი მომაკვდინებელ სენად დება მთელს ხალხსა და ამოხვრის გზაე აყენებს. ჩვენი ბედკრული სამშობლო ჯერ-ჯერობით თავისუფალია, ღვთის მადლით, პირველის შავის ჭირისაგან; მაგრამ მეორე კი მას ძვალსა და რბილში უჯდება, და თუ მის წინააღმდეგ არ აღიჭურვებით, სამარის კარამდინ მიგვიყვანს. იაში მდგომარეობს ეს სენი? ავალაპარაკოთ ფაქტები და დავიწყოთ

მეტად დამახასიათებელი მაგალითიდან. ეს მაგალითი შარშან გამოაქვეყნა ახლად დაარსებულმა საორშაბათო გაზეთმა „თემმა“: იურმე ერთის ქუთათური გიმნაზიის მოსწავლეებმა უარი განაცხადეს ქართულის ენის სწავლებაზე და სხვა თავის ამხანაგებსაც უშლიდნენ, ნუ ივლით კლასებში ამ ენის გაკვეთილებზეო. თქვენ გგონიათ, ეს ამბავი მოხდა ბიუროკრატიულს გონაზიაში, ბიუროკრატების ზედ გავლენით? სრულიადაც არა. ამ ფაქტს თურმე ადგილი ჰქონდა ქართულს კერძო გიმნაზიაში, რომელიც დაარსებულია ახლ-



ხანში ქართველი პედაგოგებისაგან, გამგებლობაც მათ ხელობა, და თვით მოწაფეებიც თითქმის მთლად ქართველებისაგან შესდგებიან. ეს ფაქტი თავისი სივალალით პევრად აღემატება ყველა იმას, რაც აქნობამდინ ჩაუდენია ჩვენის მშობლიურის ენის წინააღმდეგ ბიუროკრატია-სა, რომელსაც უხვად ვსწყევლით რუსი-ფიკაციის გაძლიერების გამო, — ვწყევლით და ამავე დროს ამ რუსიფიკაციაში შიკრიკული სისწრაფით წინ ვუსწრობთ მას. წინ ვუსწრობთ არა მარტო ქუთაისში, არამედ თბილისშიც, ბათუმშიც, გორშიც, თელავშიც, ბევრს ქალაქსა და დაბაში. წინ უსწრობენ არა მარტო კაცები, არამედ უფრო მეტად ქართველი ნასწავლი ქალები. წინ უსწრობენ ოჯახები, ეკლესიები, სკოლები. ღვიძლი-ენა ათვალწუნებულნი გვაქვს, ვთაკილობთ მის ხმარებასა და თავს ვიწონებთ უცხო ენაზე ჟღერტულით შინ და გარედ. იმითი, რაც ყველა შეგნებულს ერს საპარცხვინოდ მიაჩნია, ჩვენ ვამაყობთ, თავი მოგვაქვს.

გავითვალისწინოთ სავსებით ეს შავი ქირი და დავასურათოთ იგი უტყუარის ფაქტების მთელი რიგით, მწკრივად.

ჩვენ ბათუმში ვართ. საგანგებო კრება გამართული ერთის საკითხის გადასაწყვეტად.

ამ კრების თავმჯდომარე ქალაქის მოურავი თავადი ანდრონიკაშვილი კრებას უდგენს ამ გვარს წინადადებას: მოგხსენებათ, რომ ყველა ეროვნებანი და სარწმუნოებანი რუსეთში სარგებლობენ უფლებით — საღმრთო სჯული ასწავლონ თავის მშობლიურს ენაზე, როგორც დაბალს, ისე საშუალო სასწავლებლებში. ამ უფლებას ფაქტიურად მოკლებულნი ვართ მხოლოდ ჩვენ — ქართველები, — სამწუხარო გამონაკლისს მხოლოდ ჩვენ შე-

ვადგენთ. ვიშუამდკომლოთ, რომ ეს უფლება ჩვენც მოგვეცეს და საღმრთო სჯული ქართველს ბავშვებს და ყმაწვილებს ასწავლონ ყოველ-გვარ სასწავლებელში თავის დედა-ენაზე ქართველმა მოძღვრებ-მაო. —

— რა საჭიროა? გაბედულად გაისმა უცებ სამის სულიერის ხმა, — დარჩეს ისე, როგორც აქამდინ იყო, ისწავლონ ჩვენმა ბავშვებმა წინანდებურად ეს საგანიც რუსულსა და სლავიანურს ენაზე.

თქვენ გგონიათ, რომ ეს ხმა ბიუროკრატის წარმომადგენლებს ეკუთვნის დათ? ასე იფიქრებთ; მაგრამ მოსტყუვდებით. ეს ანტიქარული შეხედულება და აზრი წამოაყენა სამმა ასულმა ივერიისამ, რომელთაც თურმე თავისი თავი ზედმეტ განათლებულად მიაჩნიათ. დიად, სამი ასული ივერიისა წინ აღუდგა მეტად სასარგებლო ეროვნულს და წმიმდა პედაგოგიურს წინადადებასა და კეთილი საქმე ჩაფუშა, წაახდინა, ალბად საამებლად ულტრა-ბიუროკრატებისა.

რა საჭიროაო, იკითხეს. ეს საკითხი ყველა ერს და სარწმუნოებას, რომელნიც მოქცეულნი არიან რუსეთის საზღვრებში, დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვთ, სთვლიან ამ უფლებას მეტად საჭიროდ და მასზე არას გზით ხელს არ აიღებენ. რა საჭიროა? დავეკითხოთ ამ ხალხებს. ისინი გვეტყვიან: პირველად, დედა-ენაზე სწავლება საღმრთო სჯულისა ბავშვებს და ყმაწვილებს გულში უნერგავს რელიგიურს გრძობას, რომელიც თვით დიდებულს ბრძენს რუსეთისას ლევ ტოლსტოის მიაჩნდა საუკეთესო საძირკვლად ჰუმანიურის, ადამიანურის ცხოვრებისა. რელიგია სფერაა გრძობისა და გრძობა კი მხოლოდ დედა-ენაზე შეიძლება ჩინერგავს, განვითარდეს და გაძლიერდეს. როგორც

პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე გულწრფელი სარწმუნოება ვერ გავრცელდება სხვა ენაზე. ეს უპირველესად ყოვლისა აქსიომისავეთ დაამტკიცეს თვით მოციქულებმა, რომელნიც სახარებას უქადაგებდნენ არა თავის ურიულს ენაზე, არამედ ადგილობრივზე, ეროვნულზე. მეორედ, საღმრთო სჯულის სწავლება დელა-ენაზე ავარჯიშებს ბავშვებს მშობლიურს მეტყველებაში, მშობლიურის სახელსძღვანელოების კითხვაში და ძლიერ ეხმარება როგორც ენის შეთვისებას, ისე კითხვის პროცესში დახელოვნებას, რის გამოც ბევრად მეტს წიგნს კითხულობენ დელა-ენაზე. მესამედ, ამ საგანს ასწავლიან არა მამიმაცვალნი, არამედ ღვიძლნი შვილნი მშობელის ერისა, რომალთაც ბევრად კეთილი, ბევრად გულითადი გაფლენა აქვთ თავისს მოწაფეებზე, ვიდრე პირველებსა.

აი რამდენს სიკეთეს მოაკლეს ქართველი მოზარდი თაობა იმ სამმა ასულმა, რომელთაც წმინდა შავრაზმული აზრი წამოაყენეს, თუმცა უთუოდ ეგონათ, დიდ ლიბერლობას ჩაკდივართო. —

ერთს წამს ვესტუმროთ ქუთაისს, სადაც დისტატორობს ჩვენი ვიცია გრამატიკოსი, რაინი „რივიანობისა“, „ზრდილობისა“ და „სამართლიანობისა“, ერთი სიტყვით ქართველი პურიშკევიჩი. ამ გვამის სადგურის მახლობლად ასეთს სცენას თურმე იხილავთ: ზის პატარა იმერი, დაღონებული და დაძმარებული, ჩაპკირკიტებს რუსულს წიგნსა და იზებირებს გაუგებრად, თუთიყუშით: Единъ Богъ во святой троицѣ поклоняемый есть въчентъ, который не имѣетъ ни начала, ни конца своего бытъя, და სხვანი.

ჩვენი ვიცია ვაჟბატონი ამ უმახინჯესს მოვლენას იოტის ოდენა ყურადღებას არ

აქცევს, რადგანაც მას ქვეყნის მტრებად ისინი კი არ მიაჩნია, ვინც ქართულს სკოლიდან ქართულს ენას ექსორიას უშვრება, ვისაც თვით ბიუროკრატიულს სამოსწავლო გეგმაში შეაქვს ზედმეტი ანტიქართული ცვლილება და მთელს მოზარდ თაობას გაუგუნურების გზაზე აყენებს, ვინც ლევიცკის მუნჯურ მეთოდს მკვდრეთით აღადგენს, — არა, ესენი და მსგავსნი მათნი მას არამც თუ დამნაშავედ არ მიაჩნია, არამედ უბრალო სამღურავიც ვერ ეთქმითო, ბრძანებს. სანაცვლოდ, ქვეყნის მტრებად იხსენიებს, პირის ჩატკბარუნებით, იმათ, ვინც სისტემატიურად იცავენ საარსო მხარეებს და პირობებს ხალხის საღის განათლებისას; მაგრამ ერთი მიუტყვევებელი დანაშაულება კი მიუძღვით: ვიცია გრამატიკოსის მართლ-წერა უმეტეს შემთხვევაში უკუღმა წერად მიაჩნიათ და უფრო ბავშურ ჩხირკედელობად სთვლიან, ვიდრე რეფორმად. სწორედ ამ ჩვენს მამული-შვილზე არის გამოჭრილი ქართული ანდაზა: ყვავს თავსა სჭრიდნენ, და მას თავი კი არ ენანებოდა, წამწამებზე სტიროდაო. ქართულს ენას აუქმებენ და ჩვენი სილოვანი ამაზე კი არა სწუხს, ამის წინააღმდეგ კი არ იბრძვის, — არა, რაღაც პროვინციალური წერა გაუხია კერპად, რომელსაც თვითონაც გატაცებით ემსახურება და თავის გაზეთსაც ამსახურებს. განა ეს კი, ეს ჯიუტური ჩხირკედელობა, ნამდვილი შავი ჭირი არ არის?

შავი ჭირის დაბუდება — ქართულის ენის გაუქმება ხონის სახელოსნო სკოლაში და ჭიათურის ახალს სამთო სასწავლებელში წარსულს წელში განვმარტეთ და ახლა აღარ განვახლებთ სიტყვასა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენმა გრამატიკოსმა ერთს ანტიქართულს მოვლენასაც ხელი დააფარა და მეორესაცა.



იგი აგრედვე უყურადღებოდ სტოვებს ეროვნულის შავის ჭირის გამეფებას სა-მურზაყანოში. როგორც იტყობინებიან, იქაურს სახალხო სკოლებში ქართული ენა და წიგნი გაუუქმებიათ, საღმრთო-სჯულის სწავლებაც სლავიანურ-რუსულს ენაზე შემოუღიათ და თვით ეკლესიებ-შიაც აღარ გაისმის მადლიანი ქართული წირვა-ლოცვა, რომლის ადგილი დაუჭე-რია სლავიანურს წირვა-ლოცვასა. მეტად სამწუხაროა, რომ მთელს სამურზაყანოში არ აღმოჩნდა არც ერთი შეგნებული ინტელიგენტი, რომელსაც თავისი მოძ-მეებისათვის განემარტნა და აეხსნა, თუ რა დიდს ვნებას მოიძიეს სამურზაყანო, თუ ეროვნულად და კულტურულად მოსწყდება დედა—ქვეყანას—საქართვე-ლოს. ამისთანა განმარტებით და სიტყვით თავის დროზე მიმართა სამეგრელოს მის-მა ნიჭიერმა შვილმა ლუარსაბ ლოლუამა, და ამ მიმართვამ გამოაფხიზლა მეგრელები, გონზე მოიყვანა, შექმნა ძლიერი ეროვნული მოძრაობა, რომელმაც დაი-ცვა ქართული ენა სამეგრელოს ეკლესი-ასა და სკოლებში და განამტკიცა სამეგრელოს ერთობა საქართველოსთანა. ნუ თუ სამურზაყანოში არ აღმოჩნდება მეორე ლუარსაბ ლოლუა, და არ გაუწევს თავისს მხარეს იმავე სამსახურს, რაც გაუწია აწ განსვენებულმა ლუარსაბმა? ამას მოითხოვს არა მარტო სამურზაყანოს სიკეთე, არამედ სამეგრელოსიცა. თუ ეროვნულმა შავმა ჭირმა გაიდგა ფესვები პირველს ქვეყანაში, იგი ჭირი ადვილად გადალახავს მეორე ქვეყნის საზღვრებს და მოარულისავეთ მოედება მასაც. მაშინ დიდი მეცადინეობით წალმა გამობრუნებული ეროვნული საქმე, ისევ უკუღმა დატრიალდება და ორივე მეზობელი ქვეყანა დაღუპვის გზას დაადგება. აი რის

გამო ყოველი შეგნებული სამურზაყანო-ელი და მეგრელი მოვალეა, რომ ყოველი კანონიერი ღონისძიება იხმაროს, რათა საქვეყნო საქმე გაასწოროს და დააყენოს იგი წარმატების გზაზე. სოხუმის ინტელიგენციაც მხურვალედ უნდა დაეხმაროს სამურზაყანოელებსა, და შენარჩუნებინოს მათ ეროვნული სკოლა და ეკლესია. ესეთი გარემოება აადვილებს ამ მიზნის მიღწევას. ამ ჟამად სოხუმის ეპისკოპოსად ბრძანდება იმისთანა მადლიანი მღვდელთ-მთავარი, რომელიც მოშორებულია ყოველს ვიწრო ნაციონალიზმსა და გამსჭვალულია წადილით, მოჰფინოს თავისს სამწყსოში ნამდვილი განათლება და სარწმუნოება.

II

გადმოვლახოთ ღიბის მთა და ვეწვიოთ გორსა. შევიდეთ სამაგალითო პირველ-დაწყებითს ქართულს სკოლაში, რომელიც არსებობს აქაურს საოსტატო სემინარიასთან. აქ ლახვარივით გულს გვეცემა წარმოუდგენელი უკულმართობა. ამ სკოლის მასწავლებელს პირველს განყოფილებაში პირველის სამოსწავლო წლის დადგვიდ-განვე დაუწყებინებია რუსულის ენის სწავლება პატარა ქართველებისათვის და ზედ მოუბამს რუსულის წერა-კითხვის სწავლებაც. ქართული ენა და წიგნი კი მთლად და სავსებით გამოუძევებია ამ პირველი განყოფილებიდან. მთავრობის სამოსწავლო გეგმაც კი ითხოვს-პირველს წელიწადს ისწავლებოდეს მხოლოდ ქართული წიგნი, რუსულს სიტყვებსა და ფრაზებში ვარჯიშობა უნდა დაიწყონ მხოლოდ იანვრის შემდეგ, რუსულის ანბანის შეთვისებას კი ადგილი უნდა დაეთმოს მხოლოდ მეორე წლის დასაწყისიდან. ვინ არის ეს „საუნჯე“ მასწავლებელი? რუსი? არა. სომეხი? არა. ოსი? არა. იგი ქართველი

გახლავთ, კახეთის შვილი. რად გაუჩენია ამ ვაჟბატონს ეს შავი ჭირი თავისს სკოლაში? რად გაუსწვრია ყველასათვის ყოველად უგუნურს ერდგულებაში? ალბად იმ განზრახვით, რომ სხვებზე ზეით აიწიოს. მაგრამ ძალიან შესაძლებელია, რომ ამ მიზანს იმან ვერ მიახწიოს, ვერ ამადლდეს თავისს უფროსების თვალში და კრულფა კი ყველასაგან დაიმსახუროს. კრულფის ღირსი კი არის.

ნუ იფიქრებთ, რომ აქ მარტო ერთი სკოლა და მისი მოწაფენი იყვნენ დიდს წაგებაში. ეს შავი ჭირი შეიძლება მოედოს ამ ადგილიდან ყველა სოფლის სკოლასა. საქმე ის გახლავთ, რომ ეს კერა უკულმართობისა გორის საოსტატო სემინარიის სამაგალითო სკოლაა. როგორც მოგახსენეთ, აქ, ამ სკოლაში, სწავლის ოსტატობაში ვარჯიშობენ სემინარიის უფროსი კლასის მოწაფენი, რომელნიც ვალდებულნი არიან სწავლის დასრულების და მასწავლებლად გამწესების შემდეგ სახელმძღვანელო მაგალითად იქონიონ თავისს მოქმედებაში წეს-რიგი და მოწყობილობა ხსენებულის სკოლისა. ამ მომავალს მასწავლებლებს ხალხისას გორის ანტიპედაგოგი მაგალითით ეუბნება: თქვენ სკოლებში პირველი დღიდგანვე დააწყებინეთ რუსული ენა, ცოტა ხანს უკან ზედ მიაბით რუსული წერა-კითხვა, და ქართული ენა კი მეორე წლისათვის გადასდეთ, მეორე წლიდან მესამეში გადიტანეთ და ბოლოს სულაც ვააქრეთ. ეს შავი ჭირი ამ „ღირსეულმა“ ვაჟბატონმა შეიძლება ადვილად შეჰყაროს სხვა საოსტატო სემინარიასაც. თუ ამ უკიდურესმა უკულმართობამ ფესვები გაიდგა გორში, სხვაგანაც გაბედვენ მის შემოდებასა, და მაშინ ხალხის განათლება ხალხის დაბნელებად გადიქცევა.

არა ნაკლებ სავეალლო უკულმართობას ვხედავთ გორის ქართულს პროგიმნაზიაში, რომლის შესანახ ხარჯს, სხვათა შორის, ქართველი თავად აზნაურობაც ეწევა არა ნაკლებს იმისა, რასაც მთავრობა ხარჯავს ამ სასწავლებელზე. ამ მხრით გორის პროგიმნაზიას კერძო სასწავლებლის ხასიათიც უნდა ჰქონდეს. ამისთანა კერძო სასწავლებელი ყველგან წმინდა პედაგოგიურს ნიადაგზეა აშენებული, და, ასე გასინჯეთ, ზოგი საგნებიც კი საშუალო სასწავლებლისა დედა-ენაზე ისწავლება. გორის პროგიმნაზიიდგანაც ამასვე მოველოდით; მაგრამ საშინლად მოვსტყუვდით. პროგიმნაზიასთან დაუარსებიათ საანბანო განყოფილება, სადაც სათავეშივე წყალი საშინლად აუმღვრევიათ. ეს საანბანო განყოფილება სავსეა ქართველი ბავშვებითა, რომელთა შორის მოიპოვება რაოდენიმე რუსი და სომეხი, კარგი მკოდნე ქართულისა. ეს სავეალლო განყოფილება აღუარებიათ ინტერ-ნაციონალურ სკოლად, სწავლება დაუწყიათ პირდაპირ რუსულს ენაზე და მუნჯური სახელმძღვანელოც შემოუღიათ. ქართულის ენისათვის უწყალობებით კვირაში ორად-ორი გაკვეთილი, და ეს მაშინ, როდესაც მთავრობის მოსამზადებელს ყოველს განყოფილებაში კვირაში ოთხი გაკვეთილია ქართულის ენისა. ნაკლები სიბოროტე იქნებოდა, თუ რომ სრულად არ მიეცათ ქართული ენისათვის არც ერთი გაკვეთილი. და აი რატომ. მოგეხსენებათ, რომ პატარა ბავშვი, თუ ხვალ არ გაიმეორებს დღეს ნასწავლს, ივიწყებს მას, და ეს დავიწყების პროცესი იბუდებს მის ტვინში და ასუსტებს მის მეხსიერებასა. სწორედ ამსავეალლო შედეგს გამოიწვევს ის ორი უბადრუკი გაკვეთილი, რომელიც უწი-




ლადებიან ქართულის ენისათვის ქართულის პროგრამისათვის. და სად ვხვდებით ამისთანა საარაკო უმგზავსობას, უკიდურესს ანტიპედაგოგობას? ქართულს პროგრამაში, რომლის უფროსად არის ქართველი, მასწავლებლებადაც ქართველები ბლომად არიან და რომელის შენახვაში მონაწილეა ქართველი თავად-აზნაურობა. ეს საარაკო უკუღმართობა მით უფრო მეტს დაღს ასვამს არა მარტო გამგეს და მთელს გიმნაზიას, არამედ თვით თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს, რომ მათ ადვილად შეეძლოთ ესარგებლათ თბილისის და ქუთაისის ქართული გიმნაზიის მაგალითით და ისე მაინც მოეწყობათ სწავლის საქმე, როგორც აქ არის მოწყობილი.

ჩამოვიდეთ გორიდან თბილისში. შევიაროთ ქალაქის მიერ დაარსებულს ქართულს სკოლებში და გავიცნოთ მათი მდგომარეობა. უპირველესად ყოვლისა თვალში გავგვიჩხირება აი რა გვარი ფაქტი, ბევრს სკოლაში გამეფებული დაგვხვდება მუნჯურს მეთოდზე შედგენილი სახელმძღვანელონი რუსულის ენისა. აქაც თქვენ უსათუოდ ბრალს დასდებთ სამოსწავლო ბიუროკრატის; მაგრამ შესცდებით, ნახევრობით მაინც. ყველა ამ სკოლებში გამგედ-მმართველად არიან ქართველი პედაგოგიკები და მუნჯურ სახელმძღვანელოებსაც ისინი ირჩევენ. მართალია, ბიუროკრატია ამას ურჩევს, მაგრამ ამ რჩევას ბრძანების ძალა არა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარ სახელმძღვანელოებს ყველანი იხმარებდნენ; მაგრამ ეს ასე არ არის. ქართველი პედაგოგები დაუბრკოლებლივ და უშიშრად ასწავლიან ამ სკოლებში რუსულს ენას იმ ჩვენებურს სახელმძღვანელოთი, რომელშიც სისტემატიურად არის გატარებული დედა-

ენის დახმარება და რომელსაც მკიდრო კავშირი აქვს ქართულს სახელმძღვანელოსთან, რის გამოც ეს ჩვენებური რუსული სახელმძღვანელო უსაჭიროესად ჰხდის, ქართულის წიგნის სწავლება წინააღმდეგარონ რუსულს წიგნსა და ნორმალური ატმოსფერა დაამყარონ სკოლაში. და ამ გვარი სწავლის ნაყოფით ფრიად კმაყოფილია თვით დირექცია, რაც ცხადია მისი წერილობითი შემოწმებით.

თვით ბევრს სამრევლო ქართულს სკოლაში გამეფებულია მუნჯური მეთოდი და მუნჯური სახელმძღვანელო, თუმცა ამას პირდაპირ ეწინააღმდეგება ოფიციალური გეგმა, დამტკიცებული სინოდის მიერ, და ის გარემოება, რომ იმავე სინოდისგანვე მოწონებულია ქართული სამრევლო სკოლებისათვის მხოლოდ ის სახელმძღვანელო, რომელშიც სისტემატიურად არის განხორციელებული მეტყველი მეთოდი და დედა-ენის დახმარება რუსულის ენის სწავლებაში. და იცით, ვინ უფრო ხელს უწყობენ ამ უკუღმართობასა? ისინი, ვინც ხანდახან ცხელ-ცხელბარათებს აცხობენ ქართულის გაზეთის სვეტებზე ეროვნულს მიმართულებასზე, პატრიოტიზმზე, მამულიშვილობასზე. ერთს ადგილას სანთელს უნთებენ ხატსა, მეორე ადგილს კი საჩხრეკელს აწოდებენ ეშმაკსა, რათა ჯოჯოხეთს ახალი მუგუზლები მიუმატონ და ამ ეშმაკის წყალობა დაიმსახურონ. მოდი და ამისთანა სულიერს მამებს აზეფის ფეხს, ანუ აზეფის კერძს, ნუ უწოდებთ.

აი კიდევ ყოვლად სამარცხვინო ფაქტი თბილისისათვის. წყნეთის ქუჩაზე თურმე გახსნილია ორკლასიანი საქალო სკოლა, დაარსებული თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ. ამ სკოლაში თურმე სწავლობს ასზე მეტი პატარა



ქართველი ქალი და 38 მოსწავლე სხვა ეროვნებისა. ამ სკოლის გამგედ არის ქართველი მანდილოსანი, მასწავლებლების ადგილი კი დაკავებული აქვთ ქართულის ენის უცოდინარო. ას ქართველ პატარა ქალს არაფერი ესმით თავისი მასწავლებლებისა, ამ უკანასკნელთ არაფერი გაეგებათ თავისი მოწაფეებისა. ხომ ჰოტენტოტური სურათია. და ამ სურათს შეუქმნია ჰოტენტოტური წესი სწავლებისა. პატარა ქართველს ქალებს თვალითაც არ ანახებენ ქართულს წიგნსა, ქართული წერა-კითხვა ქიმუნჯ ნაკრავია, არც ერთი გაკვეთილი არ ურგუნებიათ მისთვის. შევლენ თუ არა ქართველი გოგოცუნები ამ სკოლაში, მაშინვე ხელში მიაჩნებენ რუსულს ანბანსა, რუსულს მუნჯურს წიგნსა და სწავლებასაც აწყებინებენ რუსულს ენაზე, რომლისაც ბავშვებს არაფერი გაეგებათ. გაშტერებული გოგოცუნები შესტყერიან თურმე მასწავლებელს, ახამებენ უგუნურად თვალებს, იმეორებენ თუთიყუსავით რუსულს სიტყვებსა, გაუგუნურების გზაზე სდგებიან და ერთსა და იმავე განყოფილებაში რამდენსამე წელს რჩებიან. სამადლო საზოგადოება იწვევს ბავშვებს კეთილ საქმეზე—სწავლაზე, უმასპინძლდება კი ტანჯვა-წვალებით, აღუთქვამს გონების პურსა, ხელში კი აჩეხებს ქვასა, რომელიც უსუსტებს და უსნეულებს ნორჩს ტვინსა. გაგიგონიათ ამისთანა სამადლო საქმე? და ამისთანა უკუღმართ სწავლაში ღარიბ-ღატაკ გოგოცუნებს სწავლის ფულად ახდევინებენ ერთს თუმანსა! ქველმოქმედებაც ასეთი უნდა.

გავშორდეთ ცოტა ხნობით ცოდვილს თბილისსა ზვესტუმროთ კახეთის თვალსთელავსა. აქ გაჩაღებულია სახალხო მასწავლებლების კურსები. მიწვეული ლექტორები აძლევენ სამაგალითო გაკვეთილებს. სამს ლექტორში ერთი ქართველია, სახელდობრ ბ-ნი ჯაფარიძე, რუსული ქრისტომატიის შემდგენელი. ბიუროკრატის მიუცია მისთვის სახელმძღვანელოდ

სამოსწავლო გეგმა 1881 წლისა, რომელიც სწავლებას საგნებისას აწესებს მშობლიურ ენაზე; ინსპექტორს კურსებისას ამ გეგმისათვის დაუმატებია საკუთარი წერილობითი განკარგულება, რომელიც თხოულობს, რომ ორს პირველს განყოფილებაში გაკვეთილები მშობლიურ ენაზე მიცემულ იქმნას. მაგრამ ჩვენი ქრისტომატიკოსი ზედმეტ ერთგულობას იჩენს და პირველ განყოფილებაშივე გაკვეთილს აძლევს რუსულს ენაზე, აძლევინებს ამავე ენაზე მასწავლებლებსაც და ამითი მჭერმეტყველოურად უქადაგებს მთელს კრებულს: თქვენც ასეთი ერთგულება გამოიჩინეთ: სოფლის სკოლებში პირველი განყოფილებიდანვე სწავლება მოაწყეთ რუსულს ენაზეო. მან ძალიან კარგად იცის, რომ ასეთს სწავლებას ბავშვების გაუგუნურება მოჰყვება; მაგრამ ეს მას არ აწუხებს.

III

საზოგადოდ, თუ ქართველთა ცხოვრებას კარგად ჩააკვირდებით, მეტად სავალალო სურათს გაითვალისწინებთ. ბევრს ჩვენს მოძმეს ზურგი შეუქცევია ყოველის ეროვნულის საუნჯისათვის და გადაგვარების გზას დასდგომია. დასდგომია თვითონაც და სხვებსაც ამ დამღუპველს გზაზე აყენებს, მეტადრე მოზარდ თაობასა.

რას გამოუწვევია ეს ყოველად უკუღმართი მიმართულება? იგი შედეგია ორის მიზეზისა. პირველი მიზეზი გახლავთ: სულ მდაბლობა, მონობა, კურდღლური შიში. როცა დემონსტრატულიად უარვყოფთ ჩვენს ვინაობას, ჩვენს ეროვნებას და უკიდურეს ლაქიაობას ვიჩენთ, იმედი გვაქვს, რომ ზედ-მეტს მოწყალებას დავიმსახურებთ და შაბათის გლახებივით დაგვაჯილდოვებენ.

მეორე მიზეზი არა ნაკლებ საყურადღებოა. გადაგვარება ჩვენში ზოგს ასე ესმის: მართალია, ქართველობას მოვწყდებით, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსობას მივუკედლებითო, პატარა ერის წევრობას დიდ ერის წევრობაზე გავცვლით და უფრო



მოგებაში ვიქნებით, ვიდრე წაგებაშიო. ამ უბედურებს შეგნებული არა აქვთ ის აზრი, აქსიომად მიღებული ანტროპოლოგიაში, რომ გადაგვარებას მოსდევს აუცილებლად გადაშენება, გამობირება, გამოფიტება სულისა და ხორცის, დასუსტება, სიღამბლე, დეგენერაცია და ბოლოს სრულიად გაქრობა. ჩვენ ამ თემას კარგი ხანია ვუძღვევით ცალკე გამოცემა, რომელსაც ჰქვიან, „**ბურჯი ეროვნებისა**“ და რომელიც სავსეა სახელოვან მეცნიერთა ციტატებით და ისტორიული ფაქტებით დასამტკიცებლად იმისა, რომ გადაგვარებას მოსდევს აუცილებლივ გაქრობა ერისა. აქ დავასახელებთ მხოლოდ ორს ხმამაღლა მლაღადებელს ფაქტსა.

როცა საქართველო შეუერთდა რუსეთსა; ჩვენს სამეფო სახლში, ბაგრატიონთა გვარეულობაში, ითვლებოდა თუნდა ასი წევრი. ერთის საუკუნის განმავლობაში, გადაგვარების წყალობით, თითქმის გაქრა ეს ვეებერთალა გვარეულობა, და თუ ახლა მოიპოვება რუსეთში თითო-ოროლა ჩამომავალი მისი, იგინი თავისს წინაპრებზე ფსიხიკურათა ცდ ფიზიკურათა ც გაუზომელად დაბლა ჩამოსულნი და კაცუნებად გადაქცეულნი არიან.

მეორე ფაქტი კიდევ უფრო საყურადღებოა. ძველის საბერძნეთის მცხოვრებნი წარმოადგენდნენ გენიალურ ნაციას, რომელმაც აუარებელი ძალაღანიჭიერნი და გენიოსნი აღზარდა, და ამათ დასტოვეს იმისთანა საოცარი ქმნილებანი, რომელთა მსგავსნი ახლანდელს კაცობრიობას არ მოეპოვება. შემდეგ, უბედურთა გარემოებათა მიზეზით, ეს საოცარი ნაცია გადაგვარების გზას დაადგა, უღალატა თავის კლასიკურ ენასა და რა მოიმკო? ისე დაბლა ჩამოვიდა ნიჭიერებით და მოქმედებით, რომ ახლა იგი ვერ შეედრება იმისთანა მესამე ხარისხის ქვეყანასაც კი, როგორც არის ჩეხია.

ერთი სიტყვით, თუ ერს სურს იარსებოს ქვეყანაზე, იცოცხლოს და ბედს ეწიოს, იგი ჭირივით უნდა ერიდოს გადაგვარებას, თვალის ჩინივით უნდა იცავდეს იმ ეროვნულს გონებას, გულსა და სულსა, და თვით სხეულსაც, რომელიც მისთვის მიუნიჭებია ღმერთსა და ბუნებასა. იცავდეს, ანვითარებდეს და აღორძინებდეს თავის ქვეყნის ენასა, ეროვნულს განათლებასა, ეროვნულს ლიტერატურასა, თეატრსა, ეროვნულს კულტურასა, და იღწოდეს ყველა თავისი ეროვნულის უფლების აღდგენისა და გაფართოებისათვის, რათა საპატიო ადგილი მოიპოვოს ერთა შორის და გახდეს თავისებური და მნიშვნელოვანი ნაწილი კაცობრიობისა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ერი, რომელიც უღალატებს თავისს ეროვნებასა, ხელს აიღებს ღვთისაგან მინიჭებულს თავისებურობაზე, იგი აუცილებლივ პირს იქმს უფსკრულისაკენ, შეუყენებლივ დაბლა დაეშვება, გალატაკდება სულითაც და ხორკითაც, გაუფერულდება, მოაკლდება ყოველს თავისს ნიქს, სხვის ნიქსაც ვერ ეღირსება, ყველასაგან აბუჩად აგდებული შეიქმნება, სამარცხვინო სახელს დაიმსახურებს, გამოირიცხება კაცობრიობის კრებულიდან და ბოლოს გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი. აი რა საშინელი შედეგი მოელოთ გადაგვარების მოჭრფიალეთ პირადად და ჩამომავლობით მეტადრე. ასეთია აზრი საუკეთესო ისტორიკოსებისა, ანტროპოლოგებისა და ფსიხოლოგებისა.

რათა ამისთანა საშინელი მომავალი თავიდან ავიცილინოთ და აღამიანურს ბედნიერებაში ჩვენც წილი დავიდოთ, საჭიროა უკიდურესად, რომ ყოველმა შეგნებულმა ქართველმა, ქალმა და კაცმა, იმერმა და ამერმა, გლეხმა, აზნაურმა და თავადმა თავის წმინდა მოვალეობად დასახოს დაუღალავი, სისტემატიური, მდგარი პრძოლა ყოველის კანონიერის ღონისძიებით,

ბრძოლა, რომელსაც მიზნად უნდა ჰქონდეს აღდგენა, განვითარება აღორძინება და აყვავება ქართველის ნაციონალ-კულტურისა, ყოველი მისი შტოთი, წინდა ევროპიულს ნიადაგზე. —

ასეთსავე სახიფათო კრიზის განიცდიდა ერთი საუკუნის წინად ჩეხიაც; მაგრამ მას მხსნელად აღმოუჩნდა ის შტო ეროვნულის სიტყვიერებისა, რომელსაც ამისთანა გაჭირვების დროს შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს. მე მოგახსენებთ ეროვნულს პუბლიცისტობაზე. პუბლიცისტებად გადიქცნენ კალმოსნებიც, მასწავლებლებიც, მღვდლებიც, საზოგადო მოღვაწენიც, ქალნიც და კაცნიც, გადაიქცნენ არა მარტო ბეჭდური წერილებით, არამედ ცოცხალი სიტყვით, მჭერმეტყველური ქადაგებით. ამ თავისებურმა პუბლიცისტობამ გამოაფხიზლა ჩეხელები, აუხილა თვალები, სისუსტე ღონედ გადაუქცია, გულგრილობა მხურვალე მამულიშვილობად, სასოწარკვეთილება შესცვალა იმედზე, სიცოცხლისა და წარმატების გზაზე დააყენა ერი, რომელიც მომაკვდას ჰგავდა. მე ეს ფრიალ შესანიშნავი მოვლენა ერთი წლის წინად საკმარისად განვმარტე და ახლა აღარ გავიმეორებ.

არ შემიძლიან გულ ამოსკვნით არ გამოგიტყდეთ, რომ ქართველობა ამ ჟამად თითქმის სრულიად მოკლებულია იმ იარაღს, რომელმაც იხსნა განსაცდელისაგან სლავიანთა ქვეყანა. ჩვენ თითქმის არ გვაბადია პუბლიცისტობა, რომელსაც ასულდგმულებდეს ეროვნული მტკიცე რწმენა, ღრმად გამჯდარი გონებასა და გულში. ამისთანა რწმენის სიტყვა ძალაა, რომელიც ხიბლავს უნებლიედ მკითხველსა, მოქმედობს მასზე ელექტრონის ძალით, ამოდრავებს ზარმაცსაც და საზოგადო მოღვაწეობის გზაზე აყენებს ეგოისტებსაც კი. საუბედუროდ, ამ ძალას ახლა თითქმის მოკლებულნი ვართ. ჩვენს პე-

რიოდულს პრესაში მეფობენ: ინდიფერენტობაში, რომელიც არის წყარო სილაჩრისა და გულგრილობისა, ფანტაზიორობა, მტერი მოქმედებისა, ბავშვური თავმოყვარეობა, რომლისთვისაც საზოგადო სიკეთე თითქმის არ არსებობს, და რომელიც კალმოსანს ჩხირკედელა ბუდრუგუნად ჰხდის და დროს აკარგვინებს იმისთანა რამეების წერაზე, რასაც ჩვენ ქირ-ვარამთან არავითარი კავშირი არა აქვს და რაც იოტის ოდენადაც ვერ შეასუსტებს საშინელს სიმწარეს ჩვენის არსებობისას. თვით ქართული პოეზია, მელექსეობა, რომელიც წინად ძლიერ შტოს პუბლიცისტობისას წარმოადგენდა, გადაიქცა უმთავრესად გოგოებისადმი ტრფიალების სიმღერად.

მაშ ხსნა არსაიდან არის? მაშ უნდა დავხსნდეთ, ძველი ებრაელებისავით, მტკვრისა და რიონის პირად, ნაკადულები ჩვენის ცრემლებისა შევუერთოთ ამ მდინარეების ზვირთებსა და სასოწარკვეთილების მორევში საცოდავად ვიფორთხალოთ?

დავეკითხოთ ისტორიულს ფაქტებს. ჩეხიის მაგალითი მოგახსენეთ. უნგრეთის წარსულიც იმასვე გვიქადაგებს. იყო დრო, როდესაც უნგრეთელებს ისევე შექცეული ჰქონდათ ზურგი თავისი ეროვნებისათვის და განემენცებისაქენ მიისწრაფებოდნენ, თავის ენაზე ლაპარაკი სათაკილოდ მიაჩნდათ და ნემენცური საუბრით ამაყობდნენ. ერთი სიტყვით, გადაგვარების გზაზე იდგნენ. ახლა კი უნგრეთი ძლიერს ქვეყანას წარმოადგენს, რომელშიც სდულს და გამოსდულს ეროვნული ცხოვრება! თვით ჩვენის მეზობლების ისტორიული ცხოვრება საგნა იმისთანა მომენტებით, როდესაც სომხთის დაღუპვა თითქმის აუცილებელი იყო; მაგრამ დღეს სომეხთა შორის ეროვნული მიმართულება ისეთივე ძლიერია თითქმის, როგორც იყო მა-



შინ, როდესაც მათ საკუთარი სამეფო ჰქონდათ. თვითონ საქართველოს ხანგრძლივს წარსულში ხშირად, ძალიან ხშირად ვხედავთ იმისთანა მდგომარეობას, როდესაც სულის ამოფხვრა ძლიერ მოსალოდნელი იყო; მაგრამ ამისთანა მდგომარეობიდან ჩვენ ქვეყანას თუნდა ასჯერ დაუხწევია თავი, და ეაუგრძელებია თავისი ეროვნული ცხოვრება.

მეტად დიდს იმედს იძლევა ნიჭიერება ჩვენის ხალხისა. ამ ნიჭიერებას ბრწყინვალედ ამოწმებს ბარონ ნიკოლაი, როდესაც ამბობს, რომ მსოფლიო ისტორიაში პირველად მოხდა ის ამბავი, რომ ქართველმა გლეხობამ თავისი ძალ-ღონით, მთავრობის დაუხმარებლივ, ოთხს მილიონ მანეთად ღირებული მამული საკუთრებად შეიძინაო. ეს უმეტესად შეეხება დასავლეთის საქართველოს. აღმოსავლეთ საქართველომ შექმნა იმისთანა ძლიერი საფინანსო დაწესებულება, როგორც არის საადგილ-მამული ბანკი, რომლის ნახევარ მილიონზე მეტი ყოველ-წლიური მოგება ქვეყნის საქმეებს ხმარდება. თუ ამიერმა გლეხობამ ნაკლები უნარი გამოიჩინა, ეს იმის გამო მოხდა, რომ ამიერი ძლიერი ფეოდალები მეტად მძიმე უღელ ქვეშ ამყოფებდნენ მას დიდხანს, ბიუროკრატიის დახმარებით.

ამისთანა ერმა ბრძოლა შეიძლება წააგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბელადებად, წინამძღოლებად ეყოლება გზა-დაბნეული, ორჭოფა ინტელიგენტი. მოგეხსენებათ, რომ ლომებმა ომი წააგეს ვირებთან იმის გამო, რომ ბელადად ჰყვანდათ ვირი. ვირებმა კი ლომებს კუდით ქვა ასროლინეს იმის წყალობით, რომ ჩინებული, ჭკვიანი ლომი უძღვათ მათ წინა და განაგებდა ბრძოლასა!

ქართველს ინტელიგენციას შეუძლიან ნამდვილი სამსახური გაუწიოს ჩვენს ხალხს, თან-და-თან იხსნას იგი გაჭირვებისაგან,

პროგრესის გზად დააყენოს და სასურველი მომავალი მოუშადოს, თუ იგი დაამსხვრევს კერძს პირადი თავმოყვარეობისა და მყვირალა სახელისას, რომელსაც ისე ბევრს მსხვერპლსა სწირავს, განიკურნება საზიზღარი შურიანობისაგან და თავის მოქმედებაში გულწრფელად გაამეფებს ქვეყნის სიკეთეს, ჩვენის ერის შვეებასა და ღებნასა, — ყოველი კონკრეტულის უსამართლობისა და სიბოროტის წინააღმდეგ იხმარებს არა ზოგადს, განყენებულ ფრაზებს, თუნდაც ლამაზებსაცა, რაც ქართულ მანებელს ფანტაზიობას და მცონარეობას აორკეცებს, არამედ დაადგება მტკიცედ და სისტემატიურად კონკრეტულს ტაქტიკასა, მოჰყენს საზოგადოებაში კონკრეტულს აზრებს, და კონკრეტულ ღონისძიებებს გაუთვალისწინებს საზოგადოებას. მხოლოდ ამისთანა ტაქტიკას, ამისთანა კონკრეტულს ბრძოლას, კანონიერ ნიადაგზე წარმოებულს, გამოუფხიზლებია მისუსტებული საზოგადოება, მიუნიჭებია მისთვის მხნეობა, დაუყენებია იგი მოქმედების ნაყოფიერს გზაზე და სასურველი მომავალი მოუშადებია ქვეყნისათვის. —

წერილი დავიწყე დიდებულის ილიას ლექსით, ვათავებ დიდებულის აკაკის მოძღვრებით:

კრულ იუფს მისი სსხელი,
ვინც მთა გასცვალას ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუჯა კარზედა.

ხუჩავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თავისს ენასა,
თორემ ბოლას დრას მოამკის
მღუდაკე ცრემლთა დენასა!

გადავარების მსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი ზიზღადი დირსება
ყოველგან დაჩაგრულია.

იაკობ გოგებაშვილი.

ვილიამ ჯემსი

საუბარი ფინოლოგიაზე*)

X. ინტერესი.

უკანასკნელად ჩვენ ვისაუბრეთ ემაწვილის თანშობილ მიდრეკილებათა შესახებ, რომელთა მიხედვით იგი ამა თუ ამ ზირობებში შესაფერად მოქმედებს. მაშინვე ვილაშარაკეთი მწაფის ინსტიტუტებზედაც. — ზოგიერთ შემთხვევაში ეს თუ ის ინსტიტუტი ზირველ წუთისათანავე აღიძვრის; სხვა შემთხვევაში კი ეს არ მოხდება, ვიდრე თვით აღზრდა ზირობების არსებაში არ შექმნის შესაფერ კავშირს. ზირველ შემთხვევაში ჩვენ ვაშობთ, რომ ესა და ეს ზირობანი ანუ საგნები ზირდაზირ, დამოუკიდებლად აღძვრავს ჩვენს ინტერესს, რომ ეს საგნები საინტერესოა თავის თავად; მეორე შემთხვევაში კი ვაშობთ, რომ ესა და ეს საგნები არც მაგრე რიგად საინტერესოა, მათდამი ინტერესი აღძრული და შექენილი უნდა იქნეს.

არც ერთი საკითხისათვის მწერალ-პედაგოგებს იმდენი უურადლება არ მიუქცევიათ, რამდენიც საკითხს ინტერესის შესახებ. ინტერესი, ინსტიტუტების ბუნებრივი შედეგია, ამიტომ ჩვენც მასზე ზირ-და-ზირ გადავალთ.

ვინაიდან ზოგიერთი საგნები ზირ-და-ზირ გამოიწვევენ თანშობილ ინტერესს, ხოლო ზოგიერთ საგნებისადმი ინტერესი ხელაფრუად უნდა იქმნას გამოწვეული, — ამიტომ მასწავლებლისათვის ფრად საჭიროა იცოდეს, თუ რომელი საგნები ეკუთვნის ზირველ რიგს, რადგან, როგორც აქვე განვმარტავთ, სხვა საგნები მხოლოდ მაშინა საინტერესოა, როცა ისინი შეკავშირებული არიან ზირ-და-ზირ ინტერესის აღძვრულ საგნებთან.

ემაწვილების ეგვლა თანშობილს ინტერესს სათავე მათსავე გრძობის სამიფლობელში უძებს. ახალი ხედვითი თუ სმენითი შთაბეჭდილებანი, განსაკუთრებით განსხვავებული

სახისა და მოძრაობის შექენი, ეგვლთავის უფრო მიიზიდავენ ემაწვილის უურადლებას, ვიდრე საგნების სიტყვიერი და განყენებული განმარტება.

ზირისახის მანჭვა, საზნის ბუშტები კლასში, ძეღლების დრენა თუ ზარების წკრილი ქუჩაში, — აი, რას უნდა ებრძოდეს მასწავლებელი, თუ კი სურს, რომ ემაწვილები დაინტერესდნ თავის საგნითა. ემაწვილი უფრო მეტ უურადლებას აქცევს იმას, თუ რას შერუბა მასწავლებელი, ვიდრე იმას, თუ რაზე ლაშარაკობს იგი. საზამ მასწავლებელი რომელსავე ცდას აკეთებს კლასში, ან ხატავს დაფაზე, ემაწვილები წყნრად და უურადლებით სხედან.

ერთხელ მე თვით შეენიშნე, რომ სტუდენტები, რომელთაც ფიზიკას უკითხავდა ზროფეისორი, უცბად ერთბაშად დაწყნარდნ, დახუდნ და ეს ასე გაგრძელდა, საზამ ზროფეისორი რომელიც ცდას აკეთებდა და ამისათვის ჯობზე ზონარს აბამდა; მაგრამ როგორც კი ამავე ზროფეისორმა დაიწყო სიტყვიერი განმარტება ცდისა, აუდიტორიაშიც მოძრაობა განხდა, ერთი მასწავლებელი ქალი დიდის საიმფნებით მიამბობდა, თუ როგორ მიიზერო მან ემაწვილის გულისეური: მთელს გაკვეთილზე ბავშვს მისთვის თვალი არ მოუშორებია, გაკვეთილის დასასრულს კი სთქვა: „მე სულ გიურებდი და თქვენი ზედა ება ერთხელაც არ განძრეულა ლაშარაკის დროსო“. — აი, რა შეითვისა მან მოელს გაკვეთილზე.

ცოცხალი არსებანი, მოძრავი საგნები, ან ისეთი რამეები, რომელნიც საფრთხილს ან დრამატიულს რასმე წარმოადგენენ — აი, სწორეთ ესენია ემაწვილის თანშობილი ინტერესის აღძვრელი. ზატარა ბავშვების მასწავლებელს ხშირად მოუხდება მიმართოს ამ საგნებს ემაწვილების უურადლების მისაზერობად. მასწავლებელს უნდა იყოს სათვალ-და-თვალა: აქ აღვილი

*) იხ. წარსული წლის „განათლების“ №№ 4, 5, 6.



უნდა ჰქონდეს ცდას, ცოცხალ მოთხრობებს, სურათებს, და უმეტესად თვით საგნებს. ეს საშუალება უფრო ხელმისაწვდომია სწავლების პირველ საფეხურებზე. —ახლა ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ საზოგადო წესი, თუ როგორ უნდა დაუკავშიროთ ხელმოწერად აღძრული ინტერესები იმ ინტერესებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ემაწვილის არსებაში სკოლაში მობარების დროს.

არის სრულიად მარტივი კანონი, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას თანშობილ და შეძენილ ინტერესთა შორის. აი ეს კანონი:

ყოველი საგანი, თავის-თავად ინტერესს მოკლებული, შესაძლოა საინტერესოდ იქცეს, უკეთეს მას დაუკავშირობთ იმ საგანს, რომელიც უკვე თავის-თავადვე საინტერესოა. ეს საგნები ისე შეექმნვიან, შეედრდებიან ერთმანეთს, რომ საინტერესო ნაწილი გავლენას პოულობს მთელზე და ამ რიგად ინტერესს მოკლებული ნაწილიც საინტერესო ჰხდება. —ეს თვისება მათგან ისე განუყოფელი რჩება, როგორც იმ საგნებისაგან, რომელნიც თანშობილ ინტერესს აღძრავენ ხოლმე. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირველწიარა არასოდეს არ იმჩინება ასეთი სესხებისაგან და ხშირად მთელი უფრო საინტერესო ჰხდება იმ ნაწილზე, რომელიც პირველად თავის-თავად საინტერესო იყო.

ეს ერთი უმკვლევარმეტყველესი დამტკიცებაა იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფსიხოლოგიკაში წარმოდგენილებათა ასოციაციის პრინციპს. ერთი წარმოდგენილება შეიძლება გადასცემს თავის ემოციალურ ინტერესს, თუ კი ისინი შეერთდებიან ერთ, ასე ვთქვათ, სულაირ მთელად. და რადგანაც სხვა და სხვა ასოციაციათა რიცხვი, რომელშიაც შესაძლოა შევიდეს საინტერესო წარმოდგენილება, განუსაზღვრელია, აქედან ჩანს, რამდენ ხანში გზით შესაძლოა ადამიანში ინტერესის გამწვევა.

ამ განხილვებულ კანონის გაგება უფრო ადვილი იქნება, თუ ავიღებთ რომელსაღმე კახკრეტულს მაგალითს. ეგვალზე დიდს თანშობილ ინტერესს ადამიანისათვის წარმოადგენს თავისი პირადი „იე“ და ბედი. ამიტომ ჩვენ ვხე-

დავთ, რომ რომელიმე საგანი საინტერესო ჰხდება იმ წუთიდან, როდესაც აღმოჩნდა, რომ ის დაკავშირებულია ჩვენს ბედთან. აბა ჯერ ათხვეთ ემაწვილს კალაში, კარანდაში, შემდეგ ახუკეთ მას ეტევე ნივთები და დაუკვირდით: ის ახლა სულ სხვა თვალით დაუწევს ტყერას ამ საგნებს. ადამიანის ცხოვრებაში ყოველი შავი სამუშაო, თავის თავად აუტანელი და მძიმე, ღებულაბს ხშირად უდიდეს მნიშვნელობას, რადგანაც ადამიანმა იცის, რომ ამ სამუშაოსთან დაკავშირებულია მისი პირადი ბედნიერება. არის, განა, რაიმე მატარებელთა მიმოსვლის გაწესრიგებაზე უფრო მისაწვენი? მაგრამ ამასთანავე რა იქნება თქვენთვის უფრო საინტერესო მაშინ, როდესაც საითკენმე მიემგზავრებით და ამ გაწესრიგების ფურცელზე ეძებთ თუ როდის გადის ის მატარებელი, რომლითაც აპირებთ გამგზავრებას! მსკავს შემთხვევაში ეს გაწესრიგება საგნებით იმერობს თქვენს ყურადღებას... ეგვალა ამ ფაქტებიდან გამომდინარეობს შემდეგი მარტივი კანონი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელდეს მასწავლებელმა, როდესაც სურს მიიზღოს მოწაფის ყურადღება: დაიწყეთ ისეთი საგნებიდან, რომლებიც აღძრავენ ყმაწვილში თანშობილ ინტერესს, შემდეგ გადადით ისეთ საგნებზე, რომლებიც პირდაპირ ეკავშირებიან მათ. ამ კანონის განხორციელებას ჩვენ ვხედავთ საზავშო ბაღებში, თვალსაჩინო სწავლების გაკვეთილებზე, ხელსაქმის სწავლებაში. იმ სკოლებში, სადაც ამ წესით აწარმოებენ სწავლების საქმეს, მასწავლებელს იშვიათად დასჭირდება მოწოდდეს მოწაფეებს წეს-რიგისადმი.

თან და თანობით დაუკავშირე ამ პირველ საგნებს. შემდეგი საგნები და წარმოდგენილებანი, რომელნიც გსურთ გააცნოთ მოწაფეებს. დაუკავშირეთ ახალი ძველს რომელიმე ბუნებრივი და ადვილ გასაგები წესით ისე, რომ ინტერესი, ერთი წერტილიდან მეორეზე გადასული, ბოლოს და ბოლოს შესძლებდეს აზროვნების ყველა ობიექტების გარემოცვას.

ასეთია თეორიული კანონი და ამ თვალსაზრისით იგი ადვილი გასაგებია. სიმძლავს

წარმადგენს მხოლოდ მისი განხორციელება და ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი მასწავლებელი უფრო ფიზიკურად და ადგილად მოიგონებს შესაფერ მავალითებს, ზოგი კი ვერა. ზოგი მასწავლებელი თავის გამჭრიახი გონების მეოხებით ერთბაშად მისძებნის კავშირს ძველსა და ახლს შორის და ხელფინურად გადაქსოვს უნრბს ცნობილთან; ბევრი მასწავლებელი კი, სამწუხაროდ, მოკლებულია ასეთს გამჭრიახობას და მისი გაკვეთილიც უსიცოცხლოა, მკვლარია. სწორედ ამასი მდგომარეობს ფსიხოლოგიური მნიშვნელობა ჰერბარტის პრინციპისა, რომელიც მოითხოვს მასწავლებლისაგან მომზადებას ყოველი გაკვეთილისათვის და ძველისა და ახლის დაკავშირებას. ამასივე ფსიხოლოგიური მნიშვნელობა კონცენტრაციის მეთოდისა სწავლებაში, რაზედაც ასე ბევრს დაზარაობენ ამ ბოლო დროს. რადესაც ისეთ საცნებს, როგორცაა გეოგრაფია, სამშობლოვნა, ისტორია, ანგარიში აკავშირებთ ერთერთ შორის, თქვენ ღებულაბთ მთელს სისტემას, რომლის თითოეული ნაწილი ერთგვარად საინტერესოა.

ამ რიგად, თუ გსურთ უზრუნველ ჰყოთ ინტერესი შეგირდებისა თქვენდამი, ეცადეთ, რომ მოწაფეებმა უკვე იცოდენ რაიმე საინტერესო იმ საგანზე, რომელზედაც თქვენ გექნებათ საუბარი. ეს „რაიმე“ შესაძლოა შეადგინდეს იმ წარმოდგენილებათა ჯამს, რომელიც თავის თავად საინტერესო არიან და რომელთაც ახალი თქვენ მიერ გადაცემული ცნობანი უნდა შეკავშირდენ იმ რიგად, რომ შეადგინონ ერთი ლოგიკურად შეკავშირებული ანუ სისტემატიური მთელი. საბედნიეროდ, თითქმის ყველა ნაირი კავშირი საკმაოა, რომ ამ რიგად ერთი საკნიდგან მეორეზე გადატანილ იქმნას ინტერესი. რა სამსახური შეუძლია გაგიწიოს თქვენ გეოგრაფიის სწავლების დროს მაგ., რიმა, რომელიც სწარმოებს ქვეუნაერების რომელსავე კუნტულში! მაგრამ თუნდ რამდენსაც თქვენ შეგიძლიათ ჰქოთნოთ მოწაფეებს, ხმარობენ თუ არა ისინი საჭმელში წიწაკას? და აქედან გადახვალთ იმასე, თუ

სად იშოვება ეს წიწაკა. ან შეგიძლიათ შეგვიტყუხოთ ემასწავლებს.—მინა ჰვა უნდა იქოს თუ სხვა რამე, და თუ ფიქრობენ, რომ მინა ჰვა არ არის,—რატომ ფიქრობენ ასე. შემდეგ უზენეთ, თუ როგორი შედეგნილებიასა ჰვა და როგორ კეთდება მინა. გარკვეული კავშირი აქ იმ გვარადვე გამოსადეგია, როგორც კავშირი შინაგანი. რომელსაც უფრო ლოგიკური ხასიათი აქვს. რაკი ერთხელვე აღიძრა ინტერესი საგნისადმი, ამ ინტერესის სამუდამოდ დაცვა უკვე ადვილი საქმეა. ჩვენი შენაძენი ჩვენსავე ერთგვარ ნაწილად ჰხდება და ცოტ-ცოტაობით, იმის მიხედვით, თუ როგორ იზრდება სხვა და სხვა ასრციაციათა რიცხვი, ჩვენი აზროვნების ობიექტათ მთელი სისტემა უფრო და უფრო მკვიდრდება; ამ ობიექტების შემტესი ნაწილი ჰხდება საინტერესოა ამა თუ იმ მიხვნებისა გამო.

მოზრდილი დამაინის ყველა ინტერესები თითქმის ხელფინურია; ესენი თან და თანობითაა შეძენილი. ბევრი საგანი, რომელსაც კი პრფესიონალური ინტერესი აქვს, თავისთვისებით უარყოფითი ხასიათისაა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ საცნებს კავშირი ისეთ საცნებთან აქვს, რომელნიც ჩვენს თანშობილ ინტერესებს იწვევენ, განსაკუთრებით კი—შეურყეველი ჩვეულებათა გამო, ეს საცნები ბოლოს და ბოლოს ერთად ერთი საცნებია, რომელიც ასე გაიტაცებენ ხელმე მაგ., შუა ხნის ადამიანს. ეს პრფესი ინტერესთა გაფართობისა და დამკვიდრების სწარმოებს ზემო მოყვანილ კანონების მიხედვით. რომ შეგვიძლოს ერთი წუთით გავისწინოთ მთელი ჩვენი სიცოცხლის ისტორია, დავინახავდით, რომ ჩვენი პრფესიონალური იდეალები და ის გულმოდგინება, რომელსაც ჩვენ ვინებთ ამ იდეალების მისდწევად, აინხნება მხოლოდ ჩვენი აზრის ობიექტთა თან-და-თანნი ზრდით. ჩვენ შეგვიძლოა უკანვე გავყოლოდით ამ განვითარების საფეხურებს იმ მომენტამდის, როდესაც სკოლასი თუ სხვაგან რომლისაზე ზღაპრის, მოქმედების გირდა საგნის საშუალებით გადმოგვეცა ახალი შემცნება და ადგოძრა ჩვენს არსებაში ახალი ინტერესი. ინტერესი, რომელიც დღეს მთელს სისტემას ეუფლება, ადმო-



ცნდა ისეთი უბრალო შემთხვევის გამო, რასაც ჩვენ დღეს უბრალოდ ვაძლავთ. მსგავსად იმისა, როგორც ფუტკრები, რაცა ეკრანს, ერთი შეთრეზე არიან მიკაწიწილები, სწორედ ასე—ჩვენი აზროვნების ობიექტებიც

შეკავშირებული არიან; მხოლოდ შიშველ წყარო ევკლა ამეების არის მანც თანშობილი ინტერესი ამა თუ იმ საგნისადმი, რომელიც ჩვენ გავვიცვნიას ჩვენს ზატარაობისას.

დ. ო—ძე.

კ ი ბ ი ე ნ ა

(წერილი შირველი)

IV.

ა ზ ო ტ ი

აზოტი ჰაერგვარი სხეულია. უხილავი, უგემო, უფერო და უსუნო გაზია, *) ძლიერ მეტი ნაწილი ჰაერისა აზოტისაგან შესდგება— $\frac{4}{5}$ წყვით. მაგალითად ასს თუნგ ჰაერში 79 თუნგი აზოტი ურევია. 20 თუნგი მჟავადი და ერთ თუნგსაც შეადგენენ ყველა დანარჩენი სხეულნი ჰაერში შემთხვევით შერეულნი. აზოტის რაოდენობა ჰაერში ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა, შეუცვლელად რჩება. თუმცა ასე ბლომად ურევია აზოტი ჰაერში, მაგრამ მისი უმთავრესი დანიშნულება კი მხოლოდ ის არის—**განაზავოს ძლიერი მჟავადი** და მით კეთილ-შეზავებული ჰაერი მოგვაწოდოს სასუნთქველად. მაგალითად ალკოჰოლი ანუ ას გრადუსიანი სპირტი ველ დაიღევა—გულ-მუცელს სწვამს სულთქმას უზუთავს კაცს. ამიტომაც სპირტს ნახევარზე

მეტს წყალს შეურევენ ხოლომე და მაშინ გახდება 4% არაყი, რომელსაც ადვილად სმენ, როგორათაც აქ წყალი სიმძლავრეს უკლავს სპირტს, ისე **აზოტი სიმძლავრეს უკლავს მჟავადს**. ამითი აზოტი დიდ სამსახურს გავვიწევს ჩვენ, ასე რომ არ იყოს, ხო სიცოცხლევ არ იქნებოდა. ხალასს მჟავადში არა ცხოველს სიცოცხლევ არ შეუძლიან. სიცოცხლეს მჟავადი საშინელის სისწრაფით აწარმოებს, ადამიანი სულის ბრუნვას ველარ ასწრობს, იწვის **).

**) აზოტს სხვა ბევრგვარი დანიშნულება აქვს ბუნებაში და ძლიერ უსჭირრესი სხეულიც არის. — მცენარეთა და ცხოველთა საკვებში უმთავრესი ადგილი აზოტს უჭირავს; ჭინწისულის დიდს მოსავალს, აგრეთვე დიდძალ თივას და კაი რთველს ის მიწა იძლევა, რომლის ზედადგიც მდიდარია აზოტიურ ნივთიერებით; მაგალითად რაცა სასუქს (ნეზვს) ვაერთ და სხვ. ამ გვარადვე ხეების და ხეხილის ზრდა და ხილის დიდი მოსავალი სულ აზოტის უნარია. მცენარეთა ღორწო და ჩვენი (ცხოვრების) სხეულის დიდი ნაწილი აზოტისაგან შესდგება (ცილეულობა), რომელსაც ჩვენ საჭმლისაგან ვითვისებთ, ამ საინტერესო საგანზე თავის ადგილას უფრო დავწვრილებით ვიბასებთ.

*) აზოტით სავსე შუშაში ანთებული წკიერი რა ჩაუშვან წამსვე ქრება. აგრეთვე ცხველი რა ჩავსვანთ შიგ დაარჩობა. ამ გვარად აზოტს არა აქვს უნარი საცოცხლის ღამშარი აანთოს, სუნთქვა გააძლიეროს.

წ.

მ შ ა ვ ბ ა დ ი

მევაბადი უხილავი, უსუნო, უგემო და უფერო გაზია. ყოველთვის და ყოველგან თანაბრად ურევია თავისუფალ ჰაერში (ატმოსფეროში). ხალასი მევაბადი, აზოტ-ში არეული წარმოადგენს ნამდვილ ჰაერს.

აზოტს როგორსაც შევისუნთქავთ, ისეთსავე, ქიმიურად შეუცვლელს, ამოვისუნთქავთ ხოლმე, მარტოდ ღ მხოლოდ ხალასს აზოტით რო ვისუნთქოთ სული ამოგვხდებოდა; რადგან სიცოცხლის ან-თების უნარს მოკლებულია. სულ სხვაა მევაბადის თვისება და უნარი!.. მევაბადი ნამდვილი უკვდავების წყაროა მცენარეთა და ცხოველთათვის. როცა ვსუნთქავთ, ფილტვების შემწეობით მევაბადი შეგვაქვს ჩვენს სისხლში. აქ მევაბადი უერთდება სისხლის სორსლებს, სადაც ცეცხლივით წაეკიდება ხოლმე სისხლში მყოფ ნახშირბადს ე. ი. ნახშირს, რომელსაც სისხლი იღებს და ითვისებს საჭმელ-სასმლიდან. —

მევაბადის და ნახშირის შეერთება ჩვენს სისხლში გამოიწვევს ხოლმე ცეცხლს ე. ი. დიდ სითბოს, რომელიც ქმნის ახალ სხეულს ნახშირმევაა გაზს. ფილტვების შემწეობით ამ ჩვენთვის მავნებელ ნახშირმევაა გაზს, იმ წამსვე გარედ ვისვრით ამოქნევით, ამოსუნთქვის დროს. ამ გვარად ჩვენს სხეულში გაჩენილი ნახშირმევაა გაზი ნამდვილი შხამია: აფერხებს სისხლის ბრუნვას, მოძრაობას და თან გულის სიღამბლესაც იწვევს. აკი ამიტომაც ვიშორებთ თავიდან ისეთის სისწრაფით (ამოსუნთქვით).

VI.

ყოველივე რაც კი სიცოცხლობს ჰაერით სუნთქავს, აზოტ ნარევე მევაბადს

სვამს. ადამიანი და ყოველი ცხოველი ჰაერს სუნთქავს ფილტვებით, თვენი ლაყუჩებით და მწერი სასუნთქ მილუბით, ხოლო მცენარენი ფოთლებით. რამდენადაც ხშირად და ღრმად შევისუნთქავთ სუფთა ჰაერს, იმდენად მეტს დავლევთ მევაბადს, მეტს ნახშირს დასწვავს იგი ჩვენს სისხლში, მეტს სითბოს და სიცოცხლეს გამოიწვევს ჩვენს სხეულში (თუ რო რასაკვირველია კუჭიც ხელს უწყობს) *).

მევაბადი ზეთია ჩვენი სიცოცხლის ლამპარისა, უმევაბადოთ ვერც ერთს წამს ვერ შევიძლებთ სიცოცხლეს—გავქრებით ისე, როგორც ლამპარი უზეთოთ.

VII.

ცნობილ მეცნიერ ჰეი—ლიუსაკს უნდოდა გაეგო: ჰაერში ყოველგან ერთნაირად ურევია მევაბადი თუ არა. ატლანტის ზღვა—ოკეანოს შუაგულ შეცურდა

*) რამდენად ძლიერი და ცხოველ-მყოფელია მევაბადი, შემდეგი მაგალითები გვიმტკიცებენ: 1) ხალასს მევაბადით სავსე მუშაში ანთებუელი და ხლად გაშქრალი წკირი რომ ჩაუშვით, წამსვე ანთება, 2) ნაღვერდალი (ნაკვერცხალი) ანუ ანთებუელი ნახშირი რომ ჩაუშვით წამსვე დად-დადით და კაშკაშით ანთება და მთლად დაიწვის. ჩიტი ანუ თავგი რომ ჩავსვით ისეთის სისხნელის სისწრაფით დაიწვეს სუნთქვას, სიცოცხლის ეგულა პრეტესი ისეთის სისწრაფით სწარმოებს, რომ დადხანს ვეღარ სძლებს და კვდება. 3) რკინის ანუ ფელადის მართულზე ანთებუელი აბუდი რომ გავამაგრეთ და ისე ჩაუშვით ხალასს მევაბადში, ისე ძლიერად ანთება, თვით მართული, რომ შუქის სხივს თვალს ვერცხვი გაუშტკრებ.



გემით და იქაურ უმწიკვლო ჰაერში მჟავ-
 ბადი სწორედ იმდენივე აღმოჩნდა, რამ-
 დენიც დიდ ხალხოვან და შფოთიან ქა-
 ლაქ პარიზის ჰაერში. ამ გვარად დამტ-
 კიცდა, რომ დაუმწყვდევლ თავისუფალ
 ჰაერში მჟავბადის რაოდენობა ყოველთვის
 და ყველგან უცვლელია, თანაბრად არის.

როგორც ვიცით კარგს, ხალასს ჰაერ-
 ში 21 პროცენტამდე მჟავბადი ურევია.
 თუ რომ ჰაერში მჟავბადმა იკლო თუნდ
 ნახევარი პროცენტი, უკვე საძნელო ხდე-
 ბა ამისთანა ჰაერში სუნთქვა—ადამიანი
 ცუდად გრძნობს თავს, მოწყენილ გუნე-
 ბაზე დგება, თავის ტკივილს უწყებს,
 სუნთქვა უძძიმდება,—ხოლო იმ ჰაერში
 სადაც მჟავბადი 17%-ლა რჩება, ამისთა-
 ნა ჰაერში კაცი ორიოდვე წამს ძლივს-ლა
 სტოცხლობს. ეს უკვე ნაცადია იმ ღრმა
 მალაროებში საიდანაც მადნეული ამო-
 აქვთ *).

იმ სახლში სადაც ოჯახი მჭიდროთ
 სტხოვრობს, მეტადრე ზამთრობით და
 ისიც ღამით ძილის დროს როცა კარი—
 ფანჯარა აღარ იღება, მაშინ მჟავბადი
 მეტად ბევრი იხარჯება—გასავალი დიდია
 და შემოსავალი კი მცირე, აგრეთვე სა-
 დაც ხალხი ბლომად იყრის ხოლმე თავს
 მაგალითად ეკლესიაში, თეატრში, სკო-
 ლაში, სასამართლოში და სხვ. აქაც დიდ

*) გნებავთ ვცადეთ: შინის ქილასში ჩავს-
 ვათ სიცრცხლით სავსე, მსიარულად მოჭიკ-
 ტიკე ჩიტი; ქილის ზირს სველი ბუშტი მო-
 ვავრათ, ისე რომ ჰაერმა ვეღარსაიდან ჩაატა-
 ნოს. ვადევნოთ ახლა თვალი ჩვენს ჩიტუნას
 —ჩიტი იქამდე იცრცხლებს ვიდრე ქილის
 ჰაერი სასუნთქედად გამოადგება ე. ი. ვიდრე
 ქილასში მომწვედევულ ჰაერს მჟავბადი არ გა-
 მოკლევს.

ძალი მჟავბადი იხარჯება: ადამიანის
 სუნთქვაზე, სანთელ-ლამპრების განათე-
 ბაზე და ბუხრებში შეშის დაწვაზე, თუ
 რომ მოუწყობელობაც ხელს უწყობს
 და ჰაერი არსაიდან განახლდა, მაშინ
 რაოდენობა მჟავბადისა იქამდე იკლებს,
 შემცირდება, რომ ნახშირმჟავა ვაზით
დაიშხამებიან ყველანი. საზოგადოთ
 ყოველ წლივ მჟავბადის შიმშილით უფ-
 რო მეტი ხალხი იხოცება ვიდრე პურის
 შიმშილით.

VIII.

ა ზ ო ნ ი

აზონი ყოველთვის ურევია ჰაერში. ეს
 ვაზი იგივე მჟავბადია, მხოლოდ უფრო
 მჭიდროა, დაყურსებულია და ამიტომაც
 უფრო ძლიერია. მაგალითად, რკინა რო-
 ჟანგდება ეგ მჟავბადის ბრაღია, მაგრამ
 ოქროსა და ვერცხლს არ ეშინიან მჟავ-
 ბადისა. აზონი კი აქამდე მძლავრია, რომ
 ვერცხლაც აჟანგებს. აზონს იმ გვარივე
 მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც
 მჟავბადს, მაგრამ უფრო მძლავრად მოქ-
 მედობს.

აზონი 1840 წელს აღმოაჩინა ბაზელის
 პროფესორმა შენებენმა და ერთს დროს
 აზონს მეტად გაუზვიადეს სახელი და
 მნიშვნელობა. მართლაც და უკვდავების
 წყაროთ მიაჩნდათ, თუმცა უაზონოთაც,
 მხოლოდ მჟავბადით, ადამიანს ძლიერ
 მშვენივრად შეუძლია სიცოცხლე და
 დღეგრძელობა. მაშინ ის აზრიც მეფობ-
 და, რომ აზონი როცა ჰაერში სჭარბობს,
 გადამდები ჭირია და მოარაელი ნაკლებად
 და ვრცელდებაო ე. ი. აზონს შეუძლია
 ჭირის ბაცილა მიკრობების დახოცვაო.
 ერთს დროს ამ აზრს თუმცა მომხრე შე-
 უმცირდი, მაგრამ ამ ბოლოს დროს კი

მეცნიერებმა კვლავ მიაქციეს აზონს ყურადღება: — ტყის ჰაერში, მინდორველში, და აგრეთვე ქეჩა-ქუხილის შემდეგ, ჰაერი ყველა მავნესაგან იწმინდება და უფრო ცხოველმყოფელი ხდება იქაური ჰაერი, ყოველივე ეს აზონის უნარია. აზონით ჰარბს ჰაერს ადამიანი უფრო ხარბად ეწაფება, სუნთქვა უხშირდება, ჯანი უცხოველდება, კაცი მხიარულ გუნებაზე დგება, თითქოს ახლად დავიბადეო, ისე გრძნობს თავის თავს. მეტადრე ვინც გამუდმებით ქალაქ ადგილას დანშულ ჰაერში სცხოვრობს, ის უფრო აშკარად ჰგრძნობს ხოლმე თავის ჯანის ცვლილებას, როცა-კი ქალაქ გარედ აზონიანს ჰაერს შეხვდება.*)

IX.

ნ ა ხ შ ი რ მ ჟ ა ვ ა .

თუმცა ჩვენი ჯანმრთელობა ჰაერის ფიზიკურ თვისებაზედ არის უეჭველად დამოკიდებული, მაგრამ ვერც იმ სხეულთ ავუქცევთ გზას, რომელნიც ჰაერს შე-

*) თუ გსურთ აღმოაჩინოთ, მაგალითად, თქვენს გარემოცულ ჰაერში აზონი ურევია თუ არა, ამგვარად მოიქცით: წყალში სხამებელი გასხენით ისე, როგორც ჰერანგებისთვის ხმარობთ და შიგ მიუმატეთ რამდენიმე მარცვალე **თეთრი იოდი** (იოდ-კალი, Kal: jodat; აფთაქში იკითხეთ). როცა ეს მარცვლებიც გადნეს, ამავედეთ შიგ თეთრი ქადადღის ნაჭრები (თასები) და ჰაერში გაფანეთ (შინ იქნება თუ გარედ). თუ რომ ქადადღმა ღურჯა ფერი მიიღო, მაშინ ნამდვილად იცოდეთ, რომ თქვენს ჰაერში აზონიც ურევია და, რამდენადაც მეტად გაღურჯდება, აზონიც მეტი იგულისხმეთ.

ერევთან, აეკვიატებიან ხოლმე და წუთის სოფელს გვიწამლავენ, გვიზხამავენ.

ნახშირმჟავა ბუნებრივ ჰაერში (ატმოსფეროში) თავისუფლად ისე ნაკლებად ურევია, რომ სახსენებელიც არ არის, მისი რაოდენობაც ჰაერში თითქმის ყველგან — მთა და ბოზე, ზღვაზე და ოკეანოზე ერთი და იგივე აღმოჩნდა, სამაგიეროდ, ერთსა და იმავე ადგილას რაოდენობა ნახშირმჟავასი შესამჩნევად იცვლება ხოლმე, მაგალითად, ჰაერი ღამისა უფრო მდიდარია ნახშირმჟავით, ვიდრე დღის ჰაერი; შემოდგომის ჰაერში უფრო მეტია, ვიდრე ზამთრისაში და სხვ.

ნახშირმჟავა გაზია. იგი შესდგება ნახშირბადისაგან (ნახშირისაგან) და მჟავბადისაგან. როცა ნახშირი იწვის მაშინ ჩნდება ეს გაზი, ამიტომ უძახიან ნახშირმჟავას. —

ნახშირმჟავა გაზი უხილავია, უფერულია, მომჟავო გემო და სუნი აქვს. ბუნებრივ მადნეულ წყალში და მეტადრე მომჟავოში, ნახშირმჟავა გაზი ყოველთვის ურევია. ზელცერის წყალი (ბუნებრივი და ხელოვნური), ლიმონათი, შამპანიური ღვინო და სხვ. ნახშირმჟავა გაზით არიან ჰარბად შეზავებულნი. როცა ლიმონათის ბოთლს ვსხნით — პრობკას ისვრის, დამბახასავით ხმას იღებს, რომ დავასხამთ შინებებს, წინწკლები ასდის, ქაფდება და რომ დავლევთ ლიმონათს, მაჰარით პირს ხუხამს, ცხვირში გავვწვავს — ეს ყოველივე ნახშირმჟავა გაზის უნარია. მაჰარსაც ნახშირმჟავა გაზი აღუღებს, პირს ხუხამს და სხვ. წყაროს წყალი იმიტომაა გემრიელი და სასიამოვნო სასმელი, რომ ნახშირმჟავა გაზი ურევია და რამდენადაც მეტი ურევია იმდენად უფრო გემრიელი და გამაგრილებელია. როცა წყალი სდულს ამ ძყირფას თვისებას ჰკარგავს, რადგან



ნახშირმჭავა გაზი ამოქრება ხოლმე და ნადული წყალიც უგემური ხდება სასმელად.

საზოგადოდ ბუნებაში ძლიერ არის გავრცელებული ნახშირმჭავა გაზი და მეტად დიდი სარგებლობაც მოაქვს. მაგრამ იმ ადგილას, სადაც ნახშირმჭავა გაზი ბლომად გროვდება, იქ ყოველი ცხოველი და მათსადამე ადამიანიც ვეღარ სუნთქავს წესხედ და თუ დიდხანს დარჩა სული ეხუთება და იხრჩობა.

ზოგ ადგილას, დედამიწის ნაპრალიდან პირდაპირ ამოდის ნახშირმჭავა გაზი, მაგალითად ნეაპოლის ახლოს და ეიფელზედაც, ნახშირმჭავა გაზი ჰაერზედ ბევრად მძიმეა და ამის გამო ამ ადგილებში ეს გაზი დედა-მიწის პირად ეფინება და სასაცილო ამბავიც ბევრი ხდება. ესთქვათ მეცხვარემ შერეკა საძოვრად ცხვრის ფარა. თვით მწყემსი არხეინად არის და ცხვარი კი იხოცება, რადგან ნახშირმჭავა

გაზი სულს უხუთავს, ასეთივე უბედურება ემართებათ წვრილ-ფეხა სხვა ცხოველებსაც ამ ადგილას (ნეაპოლის ახლოს) წყაროებიც არის და ამიტომ ჭერებზედ ვიცი ვაგუდული: ძაღლი, მელა, ტურა, მგელი და სხვ. იგივე ემართება წყაროზე დასაღვეად მოსულ ფრინველებს *).

ილ. ალხაზივილი.

(შემდეგი იქნება)

*) ჩვენ ზემოდ ავი მოვიყვანეთ მკაფიით: ვცადეთ და პირმოკრულ ქილაში დაშვებულ ჩიტს დაიჩინო, ეგ იმიტომ მოხდა, რომ ქილაში დაშვებულ ჭიკრიბო მუცხადი რა გამოვიდა, სამაგიეროდ ქილა გაიხსნა ჩიტის ამოსუნთქულ ნახშირმჭავა გაზით და რაც თავისივე ამოსუნთქული ჩიტმა ისევ ჩაისუნთქა, სული შეეხუთა. თუ გინდ ადეთ ღამე ჩაადეთ მიწის ორმეში, ორმეს დაფარეთ პირი, წააყარეთ მიწა და თვით მხეცთა შეფერვით სხათში სული ამხდება.

მოკლე საუბარი

ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჭიკრიბიდან

II

წინა წერილში ჩვენ ძველებით დავათავეთ ჩვენი საუბარი. ახლა ურთეო არ იქნება იმაზედ მოკლედ ვაჩვენოთ, რაც ამ ძველებს გარს აკრავს, არჩენს და ასულდგმულებს.

მაშ, ჩვენ ღაზარაკი ჯერ კუთებზედ გვექნება. კუთები, ანუ თვითეული კუთი, შესდგება ხორცის ძაფის კანისგან, რომელსაც გარს შემკრთებელი კანი არტეია და მოთავსებულა სიფრთხანა კანის ბუდეში. კუთები ორ ნაირი მოყვანილობისა: არდი-გარდმო

ზოლზოლი და სდა. პირველნი ადამიანის აგებულების უმთავრესს ნაწილს შეადგენენ და ექვემდებარებთან მის ნების ზედგავლენას. მაგ. თუ ჩვენ მოვიხურვებთ, ესა თუ ის კუთი და მთელი რიგი არდიგარდმო ზოლზოლი კუთების მთავრე მომთავრებს, ან გაიჭიმება, იმისდა მიხედვით თუ რა გვარი მოძრაობა გვინდა ადვანსრულოთ. მეორე ნაირი კუთები უმთავრესათ შიგნეული ასობის შემადგენელი ნაწილია, მაგ. დვიძში, ნაწლავებში და სხვ. და ჩვენს ნებას და სურვილს



მასზედ არაფერი ზედ გავლენა არა აქვს. ამ მხრით მათ შიგავს გულის, რომელიც თუმცა არდი-გარდმოა ზოლზოლი კუთებისაგან არის შექსოვილი, მაგრამ ჩვენს ნებას და სურვილს არც ის ემორჩილება და რაც უნდა ვეცადოთ ჩვენის ნებით გულის ცემა არც მოიმატებს და არც მოიკლებს. არდიგარდმო ზოლზოლი კუთები განირჩევიან აგრეთვე მუხანაილთბით, სიმსხრა-სიგანით; არიან გრძელი, ფართე, მოკლე, მსხვილი და სხვანი. საქმის სიადგილისთვის შეგვიძლია ეველა კუთები რამოდენიმე ჯგუფებად დავყოთ; ასე, მაგ. არის ჯგუფი თავის და ტანის კუთებისა, ჯგუფი ხელფების და წინის, და ჯგუფი კანის კუთებისა. ზირველი არი ჯგუფის კუთები მიბმულია ძვლებზე ხმელი ძარღვების სსშუალებით. შეიძენი კი დაბოლოვდებიან ზირდაზირ კანში.

რა დანიშნულება აქვთ კუთებს ჩვენს სხეულში? კუთები ძვლებს გადაკრულ-გადარტყმული მთელ სხეულს ჩვეულებრივ მოყვანილობას, შნოს და იერს აძლევენ. შემდეგ მათი სვე საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ასეთი თუ ისეთი მოქმედება, მოძრაობა, მოხრა, გასწორება და სხვანი. კუთები ამ შემთხვევაში საუცხოოთ გვეხმარებიან. ვთქვათ გამოვიდა ტვინიდან ბრძანება ფეხის მოკუნტვის შესახებ.—ეს ბრძანება ეფვის უსწრაფეს ტვინის ძაფის—ნერვის საშუალებით გადაეცემა ფეხის უკან კუთებს და ისინიც მუისვე მოიმოკლებენ და ფეხსაც მოსწევს საჭირო ზომამდის. ასეთივე სისწრაფით სრულდება ტვინის ბრძანება ფეხის გაშლის და სხვა უოველივე მოქმედება-მოძრაობის შესახებ.

ამასთანავე კუთები ჩვენსა შეუმჩნევლად, დაფარულად აკეთებენ ამა თუ იმ საქმეს, ახუნენ და ინახვენ ადამიანისთვის საჭირო სითბოს და სხვანი. უოველივე ეს მათ შეუძლიათ იმიტომ, რომ მათში ბლომად არის გაფანტული სისხლის სადენი მილები—არტერიები

და ვენები, რომელთაც საჭირო სისხრდო და სწვავი მასლად მოაქვთ კუთებისათვის. მათშივე დაფანტულ-დაქსელულია ტვინის ძაფები—ნერვები, რაც მთელი ჩვენი არსების ბატონი და მბრძანებელია. უამათოთ ჩვენ ვერაფერს ვერ ვიგონებოთ და ვერც კუთები იხიერებდნენ.

კუთებს ბევრს ადგილას გადაკრული აქვს ქონი. ზოგ ადგას ეს ქონი ცოტა, ზოგან კი ბლომად აქვს ადამიანს. ეს ქონიც ჯერ სილამაზეს აძლევენ ადამიანის სხეულს და მერმე (და უმთავრესად) ძლიერ გამოსადეგია ადამიანის სხეულის არსებობისათვის. იგი მშენიერი სწვავი მასლას და ერთობ კარგ საქმეს უშვრება სხეულს საჭიროების დროს. რათ და როგორ, ამასზედ შემდეგში ვეცდები მოკლავარაკათ.

კუთებს და ქონს გარეჯარ გადაკრული აქვს კანი (ტყავი). კანი, როგორც უოველივე ნაწილი ადამიანის სხეულისა, უჯრედებისაგან შესდგება. კანში მოთავსებულია საოფლე და ქონის ჭირკვლები. ქონშივე ამოდის ბალანი. ეველა ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ოფლი ხშირად ადამიანის სხეულისათვის მისი ცხოველთმყოფელობის ნამოქმედარ უვარგის და მანებულ ნივთიერებას შეიცავს. იგი სხეულიდან უნდა განიდეგოს, გარედ გამოვიდეს, რომ სხეულის სისხრდობა და ცხოველმყოფელობა წესიერათ სწარმოებდეს. ქონი, საქონე ჭირკვლებიდან ამოსული, ასეელებს და არბილებს კანს და ინახავს მას განმობისა და დახეთქისაგან. საქონე ჭირკვლის გამოსავალი ნახვრეტი ხშირად ბალნის ძირშია მოთავსებული. ამ ხირად ბალნიც ქონით სველდება და რბილდება. თმა, ზოგიერთ ადგილებზე მოთავსებული, სილამაზეს აძლევენ ადამიანს, აგრეთვე ათბობს იმას, ზოგ ადგილებში კი, როგორც იდელებში და ბაყვებში, ორი ასოს



საგარეო ურთიერთობების მინისტროს განყოფილება

ერთმანეთზე ხსენს უშლის და იფარავს მათ დაბეჭდვის და დაცვითისგან.

ეგვალ ზემო თქმულიდგან ცხადია, რომ აუცილებლად საჭიროა კანი მუდამ სუფთად იყოს, რომ მისი უჯრედები შტვრით და წვიმით არ ამოივსოს; რომ ამასუფი ოფლი და ქონი ამ კანზედ დიდხანს არ დაჩქეს, თორემ დაღუბება, დაიშლება, კანიდგან სხეულის გაწმენდა, გასუფთავება მოისზება, სხეულის ნორმალური არსებობა დაიწვევს, დასუფუდდება, დააჯადდება, რაც უწინარეს უფულისა კანის ავადმუფობაში გამოიხატება -

მუწუკებში, სატკბურში, სიხსვადში, მქანდაში, მხრტრავში და სხვაში.

ამ ნაინად რეგარც ძვლებს, ისე კუთებს და კანს, ეგვალს ერთად და თვითოეულს ცალცალკე ფრად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი არსებობისათვის და ამიტომ მათ წესიერ ზრდა განვითარებას და მოვლას ჯერჯერობით უურადდება უნდა მიექცეს თვითოეული ადამიანისაგან.

ექიმი ევ. გ. ლოსაბერიძე.
(შემდეგი იქნება)

თელავის კურსების გამო.

ბბ. დ. შემოქმედელის და ვ. ჯაფარიძის საქმე

წარსულ ზაფხულში ტფილისის გუბერნიის დირექციამ ქ. თელავში გამართა სოფლის მასწავლებელთათვის საპედაგოგიო კურსები. ამ კურსებზე, სხვათა შორის, მიიწვიეს არითმეტიკის სწავლებაში ხელმძღვანელად ტფილისის პირველ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასების მასწავლებელი ვ. ჯაფარიძე. თელავის კურსების შესახებ ბევრი წერილი დაისტამბა ადგილობრივს ქართულ რუსულს ჟურნალ-გაზეთებში, უმრავლესობა თელავის კურსების და მის ხელმძღვანელების ბევრს ნაკლს აღიარებდა. სხვათა შორის თელავის კურსებს ვრცელი წერილი უძღვნა ბ-მა დ. შემოქმედელმა „ЗАКАВК. РЪЧ“-ის №№-197 და 199-ში. ეს წერილი ეხებოდა, სხვათა შორის, ბ-ნს ვ. ჯაფარიძესაც, რომელმაც თავისი თავი ბ-ნ დ. შემოქმედელის წერილში შეურაცხყოფილად იცნო და ავტორი წერილისა გა-

მოიწვია სამედიცინო სამართალში. თავის მხრით ბ-ნმა ჯაფარიძემ მოსამართლეებად დაასახელა ყოფილი დირექტორი პირველ გიმნაზიისა ი. ე. გამყრელიძე და სპ. იოს. ბაქრაძე. ბ-ნი დ. შემოქმედელი დასთანხმდა გაყოლოდა სამედიცინო სამართალში და მოსამართლეებად აირჩია მიხ. ქაიხ. ყიფიანი და ლ. გ. ბოცვაძე. ამათ გამართეს კრება და აირჩიეს ერთხმად თავმჯდომარედ ექიმი მიხ. ალ. გედევანიშვილი. საქმის გამოსაძიებლად სასამართლომ გამართა რამდენიმე სხდომა. რადგანაც ამ საგანს, რასაც სასამართლო იკვლევდა, ჩვენის აზრით, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ამ საქმის მთელს ვითარებას ვრცლად შევვებებით ჩვენი ჟურნალის მკითხველთა საყურადღებოდ, რომ ნათლად წარმოიდგინონ სრული სახე ზოგიერთ ჩვენებურ მასწავლებელთა და სწავ-

ლა-განათლების საქმის ვითომ და მოჭირ-
ნახულეთა.

სასამართლომ წარსული წლის დეკემ-
ბრის 13-ს განიხილა ყველა ის წერილო-
ბითი საბუთები, რაც ბ-ნმა ჯათარძემ
წარუდგინა მას თავის გასამართლებლად:

ა) არითმეტიკის პროგრამის პროექტი,
ხელმოწერილი სახალხო სკოლების ინსპექ-
ტორის პროგრამის მიერ, სადაც ნათქვამია:
I და II განყოფილებაში ბავშვები არითმეტი-
კას დედა ენაზე სწავლობენ.

ბ) კერძო წერილი სახალხო სკოლების
ინსპექტორის პროგრამისა წარსული
წლის მაისის 12-დან, რომელშიც სთხოვს
გ. ჯათარძეს გაუმართოს მასწავლებლებს
საუბარი დასაწეის არითმეტიკის მეთოდები-
დან თელავის გუბერნიის 3—18 ივლისამდე.

გ) მეორე კერძო წერილი პროგრამის
21 მაისიდან 1911 წ., რომელშიც განმე-
რებით სთხოვს გ. ჯათარძეს დასთანხმდეს
თელავში წასვლაზე და განსაკუთრებული ყუ-
რადლება მიაქციოს არითმეტიკის სწავლების
ახალ სისტემას ლაის მეთოდით. ამ წერი-
ლიდან ჩანს, რომ გ. ჯათარძეს პირველ
წინადადებაზე პროგრამისათვის უარი მიუ-
წერია.

დ) წერილი დ. ძეძამიძისა პ. კორხანი-
დისადმი 14 ენკენისთვის თარიღით. წერილ-
ში ნათქვამია, რომ მას გასეთ «ЗАКАВК.
РѢЧ»-ში გაუგზავნია სახალხო წერილი შე-
მოქმედების წერილზე და თუ იქ არ დაბეჭ-
დენ, მაშინ იმ წერილს გაგზავნის დასაბეჭ-
დად „ტფილისის ფურცელში“.

ე) წერილი განჯის საქალაქო სასწავლებლის
ფოფილის ინსპექტორის ონისიმე ცერცვა-
ძისა, რომელიც ჯათარძის თხოვნაზე უპა-
სუხებს: ვიდრე ლეგიონი განაგებდა განჯის
დიკრეტის, თქვენ არასოდეს არ გისწავლე-
ბიათ მეორე კლასის დაბლა. ამ წერილს

ამწებებს ბეჭდის დასმით და ხელის მოწერით
გორის ქალაქის ბოქაული.

ვ) ოფიციალური წერილი თელავის ქალა-
ქის დასაწეის სკოლის გამგის ა. ჭავჭავა-
ძისა წარსული წლის 19 ნოემბრიდან № 70,
რომელიც გ. ჯათარძის თხოვნაზე პასუხს
სძლევს, რომ სადაც იგი, ე. ი. გ. ჯათარძე
სძლევდა სწავლებას გაკვეთილებს არითმეტიკა-
ში, იყო მე-11 განყოფილება, რომელშიც
საკმარისად იცოდა რუსული ლაზარაკი და ჯა-
თარძეც საჭირო შემთხვევაში დედა-ენას
მიმართავდა.

ზ) კერძო წერილი თელავის საქალაქო სკო-
ლის ინსპექტორის დ. ცისკარაშვილისა
ნოემბრის 25-დან 1911 წ., რომელიც ამ-
წებებს, რომ ჯათარძემ და ძეძამიძემ გაკვე-
თილები მისცეს არითმეტიკის პირველ გან-
ყოფილებიდან მეორეში გადასულ მოწაფეებს,
რომლებშიც საკმარისად იცოდნენ რუსული ლა-
ზარაკი და მათთან რუსულად მტკიცებდა მან-
ხელები არ იქნებოდა საქმისათვის. გაკვეთი-
ლებზე ორიგენი ჯათარძეც და ძეძამიძეც მი-
მართავდნენ დედა-ენას. ხოლო რუსულად სწავ-
ლების საჭიროებას მოითხოვდა ის გარემო-
ბა, რომ გუბერნიის შორის იუვენ რუსებიც,
რომელთაც ქართული არ ესმოდათ.

თ) კერძო წერილი იმავე დ. ცისკარა-
შვილისა 1911 წლის 18 ნოემბრის თარი-
ღით: ამ წერილში ნათქვამია: ვესწრებოდი
უგულა ლექციას, მაგრამ არ შემიძინა ჯათარ-
ძეში არც პოლიტიკისათვის ახრდილი და
არც თანაგრძობა მუხჯური მეთოდისადმი;
პირიქით სასაცილოდაც აგდეთ ეს მეთოდი,
როცა აუდიტორიას უამბოთ ერთი შემთხვევა
განჯის გუბერნიაში ამ მეთოდის საკვებობის
დროსა, სწერს ჯათარძეს ბ-ნი ცისკარაშვი-
ლი.

ი) ივ. ბუსლავეის წერილი ჯათარძეს
თან 1911 წლის 17 ნოემბრის თარიღით.
ბუსლავეი სხვათა შორის სწერს ჯათარძეს:



„დეეს მივიდე წერილი, თქვენი აღელვება მესმის, ნაკლებ არც მე ამაღელვას, რაცა „ზოლიტიკანი“ და „ვოსტორგოვის“ სულიერი შვილი გიწოდეს. მე მივწერე წერილი კურსების შესახებ „Голосъ Кавказа“-ში, და არ დამიბეჭდეს; მაგრამ რაცა შემოქმედელის სტატია წავიკითხე „Зар. Рѣчь“-ში „პელიტიკანობაზე“ მივსწერე რედაქციას ვრცელი წერილი კურსების შესახებ. ამ სტატიაში თქვენს შესახებ ვამბობდი: მეორე ხელმძღვანელი კურსების ბ-ნი ჯაფარიძეა. თუმცა იგი ვერ იღვას სრულ სიმაღლეზე შესაფერის მიმზადებით ამ რთულ და მსუსხსაკებელ საქმეში, რაგორც არის მასწავლებელთა კურსების ხელმძღვანელობა, მაგრამ მისმა გულახდილმა აღსარებამ შეუმსუბუქა მას ეს დანაშაულობა. მინუსი პლიუსად გადაიქცა. ეჭვს გარეშეა, რომ ჯაფარიძეს ცოდნა ქებნდა, იგი განსხვავებული მიზნით და ცოდნით მდიდარა თელავს და თავის ცოდნას უზიარებდა მსმენელებს ხან-და-ხან ძლიერ მოხერხებულად. ზოგარელობის მახლობელი თანამშრომლები იყვნენ კარხანიდი და ჯაფარიძე, ორივენი გამაცხადნენ თელავში სახელმძღვანელოების შემადგენლის სახელით. ჩვენ ჯაფარიძე არ მიგვაჩნია „მადალ-ნიჭიერად“, მაგრამ მისთვის „უნიჭო“-ს წოდება, ჩვენის აზრით, მეტი-მეტი უსამართლობაა და მეტად შეურაცხყოფელი. პელიტიკანობას მე მადალ სიერებში ვატყობ“ და სს.

ა) საზოგადოდ ქართველთა საქმისადმი თავისი დამოკიდებულების დასახსნათებლად ბ-ნმა ვ. ჯაფარიძემ წარმოუდგინა სასამართლოს 1905 წლის გაზეთ „ივერიის“ № 3, სადაც დასტამბულია: სტატია: „საქმისწვილო სადამოგანჯაში“ და ხელაწერილთა „დროებით განჯელის მიერ. ვ. ჯაფარიძის სიტყვით ეს სტატია მას ეკუთვნის. ამ სტატიაში გატარებულია აზრი საზოგადოდ ეროვნული აღზრდის მნიშვნელობაზე და კერძოდ ქალების

აღზრდის უსტირთესობის შესახებ ეროვნულს ნიადაგზე. სკოლისა და ოჯახის შეერთებულად მოქმედებაზე, ჩვენებურ ეროვნულ თავმოყვარეობის უქნობაზე, რასაც მოსდევს ჩვენი დამძირება და დაჯახება.

ბ) ამავე სჯანს ეხება შემდეგი ხელნაწერი საბუთი, ამოწერილი გაზეთ ივერიის № 27. 1905 წლის, სათაურით „ხიდი ჩატხილია“, რომელსაც ხელს აწერს „დროებით განჯელი“ და შემოწმებულია 8 დეკემბერს 1911 წ. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოების საქმის მწარმოებლის გრ. ბურჭულაძის მიერ, მისი ხელის მოწერითა და საზოგადოების ბეჭდის დასმითა. ამ წერილში ის აზრია გატარებული, რომ ჩვენებური სკოლები სრულიად დამახინჯებულ და ჩვენთვის შეთხზულ ანტიპედაგოგიურ სწავლა-აღზრდის პრინციპზეა დამყარებული. ჩვენებური სკოლები სკოლები კი არა პელიტიკურ-პოლიტიკური დაწესებულებებია. ჩვენი სკოლა არის უარყოფა, აბუხად აკდება ყოველი სადი პედაგოგიური პრინციპებისა, ყოველი სადი მოსახრებისა, ჩვენებური სკოლა მთელის თავის არსებობით და მიმართულებით იეზუიტების ცნობილ პრინციპს ემსახურება: „მიზანი ამართლებს ყოველსავე საშუალებასა“. მიზნად ჩვენს სკოლას ბავშვის გადაგვარება დაუსახავს და სხვ. ეს მიჩნია ავტორს სხვათა შორის სასწავლებელში აღელვების გამოწვევის მიზეზად.

ბ) თავისი მიმართულების დასახსნათებლად ბ-ნმა ვ. ჯაფარიძემ სასამართლოს წარმოუდგინა თავისი სტატია „ძალა ერთობაშია“ (Въединении сила); რომელიც დასტამბულია რუსულ შურნად „სკოლა და ცხოვრებაში“ („Школа и Жизнь“) 1906 წლის № 1—2, რომელიც გამოდიოდა ტფილისში ნ. ს. დერჟავინის რედაქციით. რაგორც რედაქციის შენიშვნიდან სჩანს ეს სიტყვა წარმოუთქვამს ბ-ნს ვ. ჯაფარიძეს 1905 წ. ოქტომბრის 22-ს ტფილისში მასწავლებელთა

საზოგადო კრებაზე. წერილში ავტორი ეხება საზოგადოთ უველას სკოლების მასწავლებელთა საერთო კავშირის მნიშვნელობას და იმ მიზეზს, რამაც დასცა სკოლების საქმე რუსეთში, იწვევს მასწავლებლებს შეერთებისკენ და უსურვებს გამარჯვებას თავისუფალ რუსულ სკოლას, დაშვარბულს მუდამ სიმატლის ჰუმანიურ საფუძველზე.

იგ) თუ რაგორი შეხედულობის არის ბ-ნი ვ. ჯაფარიძე „მუნჯური“ მეთოდის შესახებ, ამის გამოსარკვევად მან წარმოდგინა სასამართლოს ჟურნალი „განათლება“ 1908 წლ. № 1, სადაც დასტამბულია სტატია: „მოკლე შენიშვნა სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში“, რომელიც ხელმწერილია იაკობისტის ფსევდონიმით. რაგორც ვ. ჯაფარიძემ განაცხადა და ამ ჟურნალის რედაქტორმაც დაამოწმა სსენებული სტატია ეკუთვნის ვ. ჯაფარიძეს. ამ სტატიაში მოყვანილია მრავალი უტყუარი ცნობა, ამოღებული ფაქტის მზრუნველის ანგარიშებიდან, რაც მოწმობს საქართველოში სწავლა-განათლების უნუგეშო მდგომარეობას, ზედაგოგიური ზრინციპების უარყოფას, სკოლის ზოლიტიკურ იარდად გარდაქმნას, დედა ენის განდევნას და „მუნჯური მეთოდის“ გამოუქბას, რასაც ავტორი წერილისა უძღვნის მოკლე განხილვას და ჰგომბს მას.

ბ-ნმა შემოქმედელმა წარმოუდგინა ის მასალა, რომელიც მან გამოიყენა თავის წერილში სათაურით: „Мимоходомъ“ (გაკვრით), დაბეჭდილი გაზ. „Закавказк. Рѣчь“-ში № 197 და 199, კორხანიდის, მღვდ. დეკანოზოვის და ქ-ნ ფირანოვის საპასუხოდ, „სახალხო გაზეთის“ № 346, სადაც დასტამბულია წერილი წ. კ. საზოგადოების სკოლის დარსების გამო ქ. თელავში „წევრის“ ხელმოწერით. ეს წერილი გაკვრით ენება თელავში გამართულ მასწავლებლების

კურსებსაც და ის ადგილები, სადა მასწავლებლებს აღმოდებული ბ-ნს შემოქმედელს რუსულად თავის წერილში. დ. შემოქმედელმა წარმოუდგინა აგრეთვე სასამართლოს ჟურნალი „განათლება“ № 8 ამა წლისა, სადაც თელავის კურსებზე იგივეა თითქმის ნათქვამი, რაც სხვა გაზეთებში იყო მოხსენებული. სასამართლომ მოისმინა აგრეთვე შინაარსი ყველა იმ წერილებისა, რაც დასტამბული იყო გაზ. „Закавказк. Рѣчь“-ში თელავის კურსების შესახებ.

ყველა ამ საბუთების განხილვის შემდეგ სასამართლომ მოსთხოვა ვ. ჯაფარიძეს და დ. შემოქმედელს—თუ გაქვთ კიდევ სხვა რამე საბუთი, ან თუ გსურთ მოწმებებსაც შევეკითხოთ, ეხლავე დაგვისახელეთო. ვ. ჯაფარიძემ მოწმებებდა დასახელა ივანე მაჭავარიანი, დასამტკიცებლად თუ რა მონაწილეობას იღებს ვ. ჯაფარიძე ქართულს საქმეებში, მიხეილ ზეტრეს ძის სარაჯიშვილის მეუღლე, რომელიც დაამოწმებს ჯაფარიძის მოღვაწეობას განჯაში და ინსპექტორი პოგარელოვი, რომელსაც შეუძლიან ცნობენის მოწოდება სასამართლოსათვის იმის შესახებ, თუ რამდენად ნაყოფიერი გამოდგა წელს ზა. ხულში თელავში გამართული საპედაგოგიო კურსები სკოლების რევიზიის შემდეგო. ბ-ნმა დ. შემოქმედელმა მოახსენა სასამართლოს, რომ თუ საჭირო იქნება მოწმების შეკითხვა, მე დაგისახელებთ რედაქციაში მოსამსახურე პირთ, რომელთა თანადასწრებით თელავიდან ჩამოსულმა, კურსებზე ყოფილმა მასწავლებლებმა გადმოგცეს ცნობები, რომლითაც მეც ვისარგებლეო და სხ.

მცორე თათბირის შემდეგ სასამართლო იმ დასკვნამდის მივიდა, რომ დასახელებული მოწმების შეკითხვა ზედმეტია და



საქმის გამოსარკვევად მათი შეკითხვა არსებითს საჭიროებას არ შეადგენსო. ამის შემდეგ სასამართლომ სიტყვის ნება მისცა ბ-ნ ჯაფარიძეს თუ რას იტყოდა იგი თავის გასამართლებლად. **ჯაფარიძემ** სთქვა:

„ეხლა წაკითხულ „ЗАКАВК. РЪЧЬ“-ის ნომრიდან სჩანს, რომ ბ-ნმა შემოქმედელმა წამოაყენა ჩემს შესახებ 10 საბრალდებულო მუხლი. მე გავარჩევ თითოეულს მათგანს ცალ-ცალკე და ვეცდები ფაქტიურად და ლოდიკურის შედეგებით უარვყო იგი.

პირველი ბრალდება ბ-ნი შემოქმედელისა იმაში გამოიხატება, რომ იგი ამტკიცებს, ვითომ მე წავსულიყო კურსებზე სრულიად მოუმზადებელი ღ მასთან თვითონ მე მჭირდებოდა საჭირო სწავლის შეძენა“.

მე მგონია ბ-ნო მოსამართლენო, რომ ამის დასამტკიცებლად საჭირო იყო საკმარისი ცნობები, ე. ი. ბ-ნი შემოქმედელი ან უნდა დასწრებოდა იმ ლექციებს და თვისი შთაბეჭდილებათა მიხედვით დაედო მსჯავრი, ან და მე უნდა ვყოფილიყავი მისი პირადი ნაცნობი, ცოდნოდა მას ჩემი პედაგოგიური გამოცდილების ვითარება. მაგრამ ბ-ნმა შემოქმედელმა ჩემს შეკითხვაზე აქვე განაცხადა, როცა იგი თავის შენიშვნებს სწერდა, მე ვერ მიცნობდა და არც კურსებზე ყოფილა. აქედან დასკვნა: იმას არა ჰქონია საკმარისი საფუძველი დამტკიცებინა, რომ მე კურსებზე მოუმზადებელი წავედი. მაგრამ შეიძლება კორესპონდენტი, რომელმაც ცნობები მიაწოდა მას კურსების შესახებ, იყო კურსებზე და ბ-ნმა შემოქმედელმაც თავისი დასკვნა ამ კორესპონდენციებზე დაამყარა? მაგრამ ბ-მა შემოქმედელმა აქვე განაცხადა, რომ ის კორესპონდენტი კურსებზე არ ყოფი-

ლა და ცნობები გამოჰკითხა მან კურსებზე დამსწრე მასწავლებლებს. ამ სახით ეს ფაქტიც ვვიჩვენებს, რომ ბ-ნს შემოქმედელს არ ჰქონდა საკმარისი საბუთი დამტკიცებინა, რომ მე კურსებზე მოუმზადებელი წავედი. მეორე ბრალდება, რასაც მწამებს ბ-ნი შემოქმედელი ის არის, თითქოს მე „გაყენთილი ვიყო სასკოლო პოლიტიკანობით“. ვიდრე ამ მუხლს ბრალდებისას უარვყოფდე, საჭიროდ მიმაჩნია შევეკითხო ბ-ნს შემოქმედელს თუ რას გულისხმობს იგი „სასკოლო პოლიტიკანობაში“, თუ იმასვე, რასაც მე ვგულისხმობ, ე. ი. განძრახ ხელის შეწყობას საზოგადოდ კავკასიის ადგილობრივ მცხოვრებთა და კერძოდ ქართველთა ძალად გარუსებაში. თუ ეს ასეა, მაშინ ეს ბრალდება ჩემს შესახებ სრულიად უადგილოა. მთელი ჩემი 19 წლის პედაგოგიური მოქმედება სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებს: მე მთელს ჩემს სიცოცხლეში შეძლების და გვარად ვებრძოდი ამ სიავეს. ჩემ მიერ წარმოდგენილი საბუთები კორესპონდენციები და სტატიები „ივერიასა“ და „განათლებაში“ ცხადად უჩვენებენ ჩემს მიმართულებას და ლაღებენ სრულს წინააღმდეგობას იმისას, რასაც ბ-ნი შემოქმედელი მამბრალებს. მაგრამ შეიძლება იფიქროთ, რომ ეს იყო წარსულში და მე ასეთი გავხდი ახლაც, უკანასკნელ დროს? მაგრამ ბ. ბ. მსაჯულნო თქვენს შორის არის ცოცხალი მოწმე იმისი თუ ერთი წლის წინად როგორ ენერგიულად ვიცავდი ქართულ ენას გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოში. იტყვიან რომ ეს შარშან იყოო. მაგრამ ბატონებო მზგავს ფაქტს ადგილი ჰქონდა იმავე გიმნაზიაში ამ რამდენიმე თვის წინადაც და შემოძლია თამამად დავამტკიცო, რომ ჩემის წყალობით იმავე გიმნაზიაში დედა-ენამ საპატიო

ადგილი შეინარჩუნა, თუ ჩემს სიტყვას არ დაიჯერებთ ამის მოწმეებად დავასახელებ გიმნაზიის ინსპექტორს ზაჩინიაევს და ქართული ენის მასწავლებელს ციმაკურიძეს. ამ სახით ბრალდების ამ მუხლშიაც ჩემი თავი სრულიად მართლად მიმაჩნია.

რომ დაამტკიცოს ჩემი „სასკოლო პოლიტიკანობა“ ბ-ნი შემოქმედელი ბრალსა მდებს „თელავის კურსებზე დამსწრე მასწავლებლების განძრახ ქსელის გაბმაში“. ბატონებო, ყველა რაც ახლავს თქვენი, რომ მე არც წარსულში და არც აწმყაში არ გამიწევია „პოლიტიკანობა“ სრულიად მამართლებს „განძრახ ქსელების გაბმის“ ბრალდებაშიაც. ეს ერთი. მეორე უნდა მოვახსენოთ, რომ კურსებზე არავითარი პოლიტიკანობა არ ყოფილა. ამას ცხადად დაინახავთ ჩემ მიერ წარმოდგენილ კერძო პირების წერილებიდან. შემდეგ კურსებზე ჩემი პოლიტიკანობის დასამტკიცებლად ბ-ნი შემოქმედელი ასახელებს იმ ბრალდებას, რომ მე I განყოფილებაში მივეცი გაკვეთილი დედაენის დაუხმარებლად — აი ამ ბრალდების მუხლის შესახებ უნდა შევნიშნო, რომ ფაქტი სრულიად სისწორით არ არის გადმოცემული. გაკვეთილი პირველ განყოფილებაში კი არ მიმიცია, არამედ მივეცი პირველი განყოფილების მოწაფეებს, რომლებიც მეორეში იყვნენ გადაყვანილნი. ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ კურსები გამართული იყო თიბათვის დასაწყისში. ეს ერთი. მეორე, რასაც მინდა მივაქციო თქვენი გულის-ყური, ეს ის არის, რომ დასახელებულმა მოწაფეებმა, როგორც ქალაქის ბავშვებმა, პირველიდან მეორე განყოფილებაში გადასვლის დროს, საკმარისად იცოდნენ რუსული ლაპარაკი, რაც კი საჭირო იყო გაკვეთილის მიზნი-

სათვის. მესამედ გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ იმ გაკვეთილზე, რომელიც მე მივეცი, გავარჩიეთ რიცხვი „ორი“ „2“ შემდეგ კი იმავე წესით გაარჩია რიცხვი „3“ მასწავლებელმა ძეძამიძემ. ჩემი გაკვეთილის მიზანი იყო მეჩვენებინა რიცხვების შესწავლის წესი პირველ ათეულზე ლაის სისტემით; მასწავლებლის გაკვეთილის მიზანი იყო შეგვემოწმებინა თუ რამდენად შეიგნეს კურსისტებმა ეს სისტემა თეორიულად თუ პრაქტიკულად. ვიდრე ვიპასუხებდეთ იმ კითხვაზე, თუ რად მივეცი გაკვეთილი რუსულად და არა ქართულად, მე უნდა უარვპყო მტკიცება ბ-ნი შემოქმედლისა და სხვებისაც ვითომ ჩვენ არ მიგვემართოს დედაენისთვის გაკვეთილის დროს. რომ ეს მართალი არ არის, აი ბატონებო მოწმობა თელავის სკოლის გამგისა, სადაც გაკვეთილებს ვაძლევდით, აი თელავის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის დ. ცისკაროვის წერილი, რაც იმასვე ამტკიცებს, ე. ი. რომ ჩვენ ყოველ საჭირო შემთხვევაში მივმართავდით დედაენას. ეს გარემოება და ის უეჭველი და შემოწმებული ფაქტი ამ წერილებში, რომ ბავშვებმა საკმარისად იცოდნენ რუსული ლაპარაკი, ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენ გაკვეთილებზე ბავშვების ტვინისთვის ძალა არ დაგვიტანებია. ნუ დაივიწყებთ ამასთანავე, რომ ჩვენ ვმუშაობდით წლის ბოლოს; რიცხვი „2“ და „3“, ნაცნობი მასალა იყო ბავშვებისათვის. რაც შეეხება თუ რად მივეცი გაკვეთილი რუსულზე და არა ქართულ ენაზე, ამაზე უნდა მოვახსენოთ შემდეგი: ამ გაკვეთილებზე მიზნად მქონდა გამეგო თუ რამდენად შეითვისეს კურსისტებმა თეორიულად თუ პრაქტიკულად ცნობები ახალი მეოთხედის შესახებ. თუ რა ენაზე უნდა სწარ-




მოებდეს სწავლება I და II განყოფილებაში, ეს ცხადად და აშკარად ნაჩვენებია პროგრამაში, რომლის ერთი ცალი წარმოგიდგინეთ, ე. ი. დედა-ენაზე. მაშასადამე მე ის კი არ მინდოდა მეჩვენებინა თუ როგორ უნდა ასწავლონ არითმეტიკა I განყოფილებაში რუსულ ენაზე, არამედ ის, რომ იცოდნენ სწავლება და შეეძლოთ წარმატებით მეცადინეობა, რა საკვირველია ვგულისხმობდით იმ ენას, რომელსაც პროგრამა ურჩევს. გარდა ამისა რუსულად გაკვეთილის მიცემა გამოიწვია იმ გარემოებათა, რომ რამდენიმე მსმენელი და გამგე კურსებისა ბ-ნი პოვარელოვი რუსები იყვნენ, რომელთაც ქართული არ ესმოდათ, რასაც ამოწმებს საქალაქო სკოლის ინსპექტორი ბ-ნი ცისკაროვი. ამის საჭიროებას აორკეცებდა ის გარემოებაც, რომ ეს მეთოდი ახალი იყო, როგორც მასწავლებლებისათვის აგრეთვე კურსის გამგისთვისაც და პირველ ცდაზედვე არ შეგვეძლო დასაბუთებულ პირების ინტერესებისათვის გვერდი აგვევლო. ყველა ამან და არა რაღაც პოლიტიკანობამ მაიძულა მიმეცა გაკვეთილი რუსულ ენაზე.

რომ დაარწმუნოს გაზეთის მკითხველები ჩემს პოლიტიკანობაში, ბ-ნი შემოქმედელი შემდეგ ამტკიცებს, რომ „მე ლექციებზე არავითარ ყურადღებას ვაქცევდი დედა-ენას“. დიახ მე არავითარი ყურადღება მიმიქცევია, მაგრამ არა პოლიტიკანობით, არამედ უბრალო პრაქტიკულის მოსაზრებით. საქმე ის გახლავთ, რომ კურსები „მოკლე ვადიანი“ იყო, ჩვენს განკარგულებაში მცირე დრო რჩებოდა; ამიტომ მე და სხვა ხელმძღვანელები, ბ. კორხანილი შევთანხმდით, რომ საერთო ტემებს ცალ-ცალკე არ შევხებოდით, ხოლო საჭირო შემთხვევაში უნდა მიგვე-

თითებინა ამხანაგის ლექციაზე. ასე მოხდა დედა-ენის საკითხის შესახებაც. ამ საკითხის დაწვრილებით განხილვა კორხანილს ჰქონდა მინდობილი. მე კი ჩემს ლექციებზე მხოლოდ მოვავგონებდი მსმენელთ, რომ პირველს ორს წელიწადს, როგორც პროგრამაშია ნაჩვენები სწავლება ქართულად უნდა იყოს მეთქი და დავუსახელე კიდევ ქართული სახელმძღვანელო ხრამელაშვილის ამოცანათა კრებული. რადგანაც პროგრამაში ცხადად იყო ნაჩვენები, რომ სწავლება I და II განყოფილებაში დედა-ენაზე უნდა ყოფილიყო, ამაზე ლაპარაკი მეტად მიმაჩნდა.

რომ სრულიად დაარწმუნოს მკითხველი ჩემს „სასკოლო პოლიტიკანობაში“ და „ნიღაბი ჩამომხადოს“ ბ-ნი შემოქმედელი დიდის რიხით მნათლავს „მუნჯური მეთოდის“ მომხრედ. ვიდრე დაგიტკიცებდეთ, რომ მე არა ვარ მომხრე „მუნჯური მეთოდისა“, გთხოვთ მოიგონოთ, რომ ამ მეთოდის აზრია უცხო ენის შესწავლა დედა-ენის დაუხმარებლად. რომ დამიტკიცოს ვინმემ მუნჯური მეთოდის მომხრეობა, ამისათვის საჭიროა რაიმე ფაქტები ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობიდან წარსულში და აწმყოში. როგორც დინახავთ ჩემი ყოფილი ინსპექტორის ბ-ნი ცერცვაძის მოწმობიდან, ლევიცკის დირექტორობის დროს, მე არასოდეს მიმეცადინია მეორე კლასს ქვევით, ეს კი მეოთხე წელია სწავლებისა. მუნჯური მეთოდი კი ხმარებაშია სწავლების პირველ ორ წელიწადს თუ გინდ სამ წელიწადსაც. ცხადია, რომ მე ამ მეთოდით არ მიმეცადინია. მაგრამ შეიძლება სხვა მხრივ გაუწიე მე სამსახური ამ მეთოდს! აი ბატონებო, თქვენ წინ არის ყველა ჩემი ნაწერები, საიდანაც ცხადადა სჩანს, რომ მე წინააღმდეგი ვარ ამ მეთოდისა.




არ შემიძლია არ დავასახელო ის ფაქტიც, რაც ამტკიცებს ჩემს წინააღმდეგობას ამ მეთოდის შესახებ და რასაც ამოწმებს თელავის საქალაქო სკოლის ინსპექტორი ცისკაროვი: მე თელავში ოფიციალურ კურსებზედაც კი, სადაც იყო ოფიციალური წარმომადგენელი სამოსწავლო ოლქისა, დავგმე და სასაკილოდ ავიღე ეს მეთოდი. ბატონებო! მგონია დღესათვის ნათელია, რომ მე მუნჯური მეთოდის მოწინააღმდეგე ვიყავი და ვარ დღესაც. ამის გარდა პირადად მე ლევიცკისთან საუბრის დროს, ყოველთვის მითქვას მისთვის ამ მეთოდის როგორც ღირსების, ისე მისი უძლეველი ნაკლის თაობაზედაც. მე ყოველთვის ვეუბნებოდი ლევიცკის, რომ არც ერთი მასწავლებელი სკოლაში „ბუნებრივს მეთოდს“ არა ხმარობს მეთქი; ხშირად ჩვენი სოფლის რუსი მასწავლებელი, ცხოვრების მოთხოვნილების ძალით, იძულებულია ადგილობრივი ენა შეისწავლოს და შემდეგ გამოიყენოს იგი სწავლებაში მეთქი. თუ გნებავთ მე ვაწერ ჩემ თავს იმ პატივს, რომ დავაჯერე ლევიცკი ადგილობრივ ენებზე გადათარგმნით გამოეცა თავისი სახელმძღვანელოები და ქართულადაც მე გადაუთარგმნე. მე არა თუ მომხრე ვიყავი ამ მეთოდისა, ვითვლებოდი მის მოწინააღმდეგედ და ეს აზრი გადასცა ყოფილმა მზრუნველმა ზავადსკიმ ჩემს შესახებ ივ. ევდ. გამყრელიძეს, როცა მნიშვნავდნენ მასწავლებლად ტფილისის პირველ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში. ერთ საბუთად, რომ მე ვითომ მომხრე ვიყო „მუნჯური მეთოდის ბ-ნ შემოქმედელს ის მოჰყავს, რომ მე რვა წელს ვმსახურებდი იმ ღირექციაში, რომელსაც ლევიცკი განაგებდა. ამ საბუთის

საწინააღმდეგო არა მეთქმის რა: განსაზღვრული იმ ღირექციაში, რომელსაც ლევიცკი განაგებდა, იმას ნიშნავს, რომ მომხრე ვიყავი ლევიცკის მეთოდისა? მაშასადამე ეს ბრალდებაც თავის თავად ირღვევა, თუ მხედველობაში მიიღებთ ყველა იმას რაც მოგახსენეთ ზემოდ ჩემი არა პოლიტიკანობის შესახებ და ლიტერატურულ საბუთებს, რაც მე წარმოგიდგინეთ. თუ ყველა ამას გაითვალისწინებთ უნდა მიწვიდეთ იმ დასკვნამდე, რომ მე არც წარსულში და არც აწმყოში ბრმა მომხრე მუნჯური მეთოდისა არა ვყოფილვარ, თუმცა, არ ვმაღავ, საუკეთესო მხარე ამ მეთოდისა მიღებული მაქვს, ვსარგებლობ მას და კიდევ ვისარგებლებ საქმეში.

ამ სახით ყველა საბრალდებლო მუხლები ჩემს შესახებ, როგორც პედაგოგისა, მე მიმაჩნია დარღვეულად.

ახლა შევეხები ბრალდების იმ მუხლებს, რომელიც ეხება ჩემს პიროვნებას. ეს მუხლები გვამცნევს“:

- 1) მოხერხებულად სახელს უკეთებდი ჩემს „უნიჭოდ შედგენილს სახელმძღვანელოს.
- 2) სახელმძღვანელოს შედგენის დროს მხოლოდ გამორჩომის მიზანი მქონდა.
- 3) ვქვემდრომობ უფროსების წინაშე სამსახურში დაწინაურებისთვის და ბოლოს
- 4) განვირჩევი ცხოვრებაში გამჭრიახობით, მოხერხებით (изворотливостью). უნიჭოდ შედგენილია ჩემი სახელმძღვანელო თუ არა, ამის შესახებ არაფერს ვიტყვი, მაგრამ მე რომ მას სახელს არ უკეთებ, ეს სინამდვილეა. და ეს რომ



მართლა ასეა იქიდანა სჩანს, რომ არც ერთს გახეთში არც ერთი განცხადება დაგვიბეჭდია, გარდა იმისა, რომ წიგნი მეორე გამოცემად იბეჭდებაო. წიგნი მოეწონათ მასწავლებლებს და რაედენ-სამე თვის განმავლობაში გაიყიდა 6000 ცალი ჩვენი მხრით ურეკლამოდ და მიუჩეჩებლად. მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენი ბრალი არ არის. თუ სხვა რამეში გამოიხატა უსინიდიოდ სახელის გაკეთება ჩვენი სახელმძღვანელოისა ჩვენის მხრით, ეს დაგვიმტკიცოს ბ-ნმა შემოქმედელმა, მე კი სრულიად გაცხადებულ ვარ ამ შეუსაბამო ბრალდების გამო. შემდეგ სრულებით არ მესმის ბ-ნი შემოქმედლის აზრი, რომ სახელმძღვანელოს ვადგენდი გამორჩომისათვის. საქველმოქმედო სახელმძღვანელოს არავინ ადგენს და არც ჩვენ შეგვეძლო შეგვედგინა, მაგრამ შეგვიძლია დავარწმუნოთ ბ-ნი შემოქმედელი, რომ ამ ორ გამოცემას ჩვენთვის ჯერჯერობით მოგება არა მოუცია რა. ჩვენ კი არა თუ გამორჩენის გზას ვადექით, არამედ სხვასაც, სჩანს იმ წარმატებიდან, რაც მოჰყვა ამ სახელმძღვანელოს: ცუდი სახელმძღვანელო თავის-თავად გზას ვერ გაიკვლევს და დაადგება დაღუპვის გზას.

მჩება ორი უკანასკნელი მუხლი ბრალდებისა. „მოხერხებულება ცხოვრებაში“ (ИЗВОРОТЛИВОСТЬ ВЪ ЖИЗНИ) და „უფროსთა სიამოვნება“ (УГОДНИЧЕСТВО), რაც შეურაცყოფს ჩემს თავმოყვარეობას, რაც წმინდად მიმაჩნია ჩემში. ბატონებო ყველა ამ ცილის წამების გასაბოთილებელია ჩემი ტანჯვითი სამსახური 19 წლის განმავლობაში და რას მივალწიე ჩემი „მოხერხებულობით“ „ქვემძრომობით“ და უფროსთა სიამოვნებით? გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლობას და წინ 400 მან. პენსიას და

შეიძლება დაქლექიანებისაც. განა მეს მთავრობის სიამოვნებას და ცხოვრებაში მოხერხებულობას შეადგენს? ბატონებო, თუმცა ჩემთვის თავის ქება სასიამოვნო არ არის, მაგრამ ამ საზიზღარ ცილის წამების გამო მოკლედ უნდა გაგაცნოთ შემდეგი: კურსი დავასრულე ვერცხლის მედლით საოსტატო ინსტიტუტში; მაშინ როცა ჩემმა ამხანაგებმა მაშინვე მიიღეს მასწავლებლობის ადგილი საქალაქო სკოლებში, მე-8^{1/2} წელს მასწავლებლის თანაშემწედ ვიყავი და ვიღებდი თვიურად 34 მ. 82 კ. და თან სამ ძმასაც ვზდიდი. უფროსები ჩემში ყოველთვის ხედავდნენ კარგს და სასარგებლო მუშაკს და ყოველთვის ცდილობდნენ ჩემით ესარგებნათ, მაგრამ როცა სამსახურში დაწინაურების დრო დადგებოდა, ყოველთვის მივიწყებდნენ, რადგანაც ჩემ თავს მათ არ ვაგონებდი. 13^{1/2} წელის ერთჯული სამსახურის გამო, რასაც ამოწმებს მზრუნველის ცირკულიარი, ჯილდოთ ოჯახის პატრონს მომცეს უტატს გარეშე მასწავლებლის ადგილი ერთ ერთ საქალაქო სკოლაში ტფილისში 43 მან. ჯამაგირი თვეში, განა ეს არის ჩემი „მოხერხებულობისა“ და მთავრობის სიამოვნების ნაყოფი? შემდეგ 1905 წელს მივიღე მასწავლებლის ადგილი ტფილისის პირველ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში. მაგრამ ბედმა არც აქ გამიღიმა. თუმცა შემეძლო პირდაპირ მიმეღო მასწავლებლის ადგილი მოსამზადებელ კლასებში, მაგრამ გიმნაზიის მთავრობამ მომთხოვა საკონკურსო გამოცდა. თუმცა გაკვეთილები ჩინებულად იქნა დაფასებული, მაგრამ მაინც დიდი ჭაპანწყვეტა გადამხდა, რომ გიმნაზიაში დამკვიდრებულვიყავი. მთავრობა ეხლაც კარგად მიყურებს, მოჰყავთ ჩემთან მთელი კლასი საქალაქო გიმნა-

ზიდან სწავლების წესების შესათვისებლად; ჰგზავნიან სოფლის მასწავლებლებს გაკვეთილების მოსამხმენად. რაღა უნდა იყოს საჭირო „ცხოვრებაში მოხერხებულობის“-თვის და მთავრობის საამებლად ამის მეტი და როგორ არ უნდა ისარგებლოს ყოველივე ეს კაცმა? მაგრამ, ბატონებო, იმ დროს, როცა ბევრი ჩემი ამხანაგი საქალაქო სკოლის და სახალხო სკოლების ინსპექტორად არის, მე მხოლოდ მოსამზადებელ კლასის მასწავლებლად ვითვლები. რატომ? სწორედ იმიტომ, რომ მაკლია ეს „ცხოვრებაში მოხერხებულობა“ და მთავრობის სიამოვნება. აი ყოველივე ის, რაც უნდა მეთქვა თავის დასაცავად და ბრალდების იმ მუხლების გასაბათილებლად, რაც წამოაყენა ჩემს წინააღმდეგ ბ-ნმა შემოქმედელმა თავის წერილებში.

დამრჩენია გთხოვთ, ბატონო მოსამართლენო, თუ ჩემს განმარტებას სამართლიანად დაინახავთ და გამამართლებთ ამ ბრალდებაში, დასდოთ ზნეობრივი მსჯავრი ბ-ნი შემოქმედლის საქციელს, რომელმაც ცილი დამწამა, როგორც პედაგოგს (საზოგადო მოღვაწეს) და შეეხო ჩემს პიროვნებას. როგორც პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს ცილი დამწამა იმაში, რომ №197 და №199 „ЗАК. РЪЧЬ“-ში მიწოდა ვოსტორგოვისა და ლევიცკის „სულიერი შვილი“, ამით მან გამაშავა საზოგადოების თვალში და გამომიყვანა სამობლოსა და ჩვენი ხალხის განათლების მოღალატედ, რადგანაც ვოსტორგოვისა და ლევიცკის ქართველი საზოგადოება ისე უყურებს, რომელთაც დასახული ჰქონდათ მომაკვდინებელი მიზანი საზოგადოდ კავკასიის მცხოვრებთა და კერძოდ ქართველთა ძალად გარუსებისა. ცილის წამება, როგორც პიროვნებისა, გამოსახულია შემდეგში: როგორც ბ-ნი შემოქმედელი აცხადებდა გაზეთში და აქაც განაცხადა, სრულიად ვერ მიცნობდა მე, როგორც ჯაფარიძეს. ამისდა მიუხედავად გაზეთ „ЗАК, РЪЧЬ“-ის აღნიშნულ ნომრებში არ მოერიდა, არ ვიცი კი რა მოსაზრებით, ვრცლად არ შეხებოდა ჩემს პიროვნებას, რომელშიაც მან დაჰგმო ყველა ის, რაც ყოველ პატრიოსან კაცს თავისთვის წმინდად მიაჩნია, სახელდობრ მიწოდა: ა) მეწვრილმანე (ТОРГАШЪ), ბ) ცხოვრებაში მოხერხებული (ИЗВОРОТЛИВЫЙ ВЪ ЖИЗНИ), გ) ცხოვრებაში პირადისა და საანგარო მიზნის მიმდევარი და დ) უფროსების წინაშე ქვემძრომი სამსახურში დაწინაურებისთვის.

სასამართლომ მოისმინა ვ. ჯაფარიძის განმარტება, და მისცა მას შემდეგი კითხვები: ა) თქვენ თვითონ შესაძლებლად სცნობდით გაკვეთილის მიცემას რუსულად I განყოფილებაში, თუ რამე გარემოებამ გაიძულათ ასე მოქცეულიყავთ და დაგერღვიათ როგორც სახალხო სკოლების ინსპექტორის მიერ მოცემული პროგრამა, აგრეთვე სამოსწავლო გეგმა 1881 წლისა უმაღლესი მთავრობის მიერ დამტკიცებული, რომელიც მოითხოვს I და II განყოფილებაში დედა-ენაზე საგნების სწავლებას?

ვ. ჯაფარიძე — ერთის მხრით დარწმუნებული ვიყავი ასე მოქცეულიყავ, რადგანაც კურსებზე მსმენელთა შორის რუსებიც იყვნენ, რომელთაც ქართული არ იცოდნენ.

ვ. ჯაფარიძე — ერთის მხრით დარწმუნებული ვიყავი ასე მოქცეულიყავ, რადგანაც კურსებზე მსმენელთა შორის რუსებიც იყვნენ, რომელთაც ქართული არ იცოდნენ.

სასამართლო: ზნეობრივად და პედაგოგიურადაც შეგეძლოთ იგივე გაკვეთილები მიგეცათ იმავე განყოფილებაში ქართულად და რა პირობებში შეგეძლოთ ასე მოქცეულიყავით?..



ვ. **ჯაფარიძე**—ჩემის აზრით ქართულად გაკვეთილის მიცემა შეიძლებოდა მხოლოდ იმ პირობებში, რომ კურსებზე დამსწრე ყველა მსმენელები და კურსების გამგეც ქართველები ყოფილიყვნენ, ან ქართული სკოლიდან და კურსების შესახებ ანგარიშიც რომ შესაძლებელი ყოფილიყო ქართულად დაეწერათ.

სასამართლო: რამდენი იყვნენ კურსებზე ქართველები და რამდენი რუსი?

ვ. **ჯაფარიძე**—სულ იყო 28, ამათში „2“ რუსი მასწავლებელი და ერთი სახალხო სკოლების ინსპექტორი პოგარელოვი, იგივე გამგე კურსებისა.

სასამართლო: პოგარელოვმა ქართული ლაპარაკი არ იცის?

ვ. **ჯაფარიძე**—იცის, მაგრამ ძლიერ ცოტა.

ამის შემდეგ სასამართლომ წინადადება მისცა ბ-ნს დ. შემოქმედელს წარმოეთქვა თავისი გასამართლებელი სიტყვა. მან სთქვა:

„ბატონებო, ამ განსახილველ საქმეში სამი უმთავრესი საკითხია: ა) დარღვეული იყო საზოგადოდ თელავის პედაგოგიურს კურსებზე პედაგოგიური პრინციპი თუ არა? ბ) დარღვეული იყო თუ არა 1881 წლის სასწავლო გეგმა კავკასიის უმაღლეს მთავრობის მიერ დამტკიცებული? და გ) მოხდა ყოველი ეს კურსების ხელმძღვანელთა პოლიტიკანობის გამო თუ არა?“

კერძოდ ბ-ნ ჯაფარიძეს მე იმ ბრალს ვდებ, რომ მან დაარღვია ხსენებული სასწავლო გეგმა ე. ი. მისცა გაკვეთილი შესაფერის განყოფილებაში არა ქართულ ენაზე, არამედ რუსულად ე. ი. ბ-ნმა ჯაფარიძემ უარჰყო არა მარტო 1881 წლის სასწავლო გეგმა, არამედ ყოველი სალი პედაგოგიური პრინციპი. აი ეს გა-

რემოება უნდა მივიღოთ მხედველობაში, მაგრამ ვიდრე არსებითად შევხებოდეთ ამ საქმეს, უნდა მოგახსენოთ ბ. მსაჯულ-ნო, რომ გაზეთებში როდესაც ვწერდი საზოგადოდ თელავის კურსების ხელმძღვანელთა და კერძოდ ბ-ნი ჯაფარიძის შესახებ, მე მხოლოდ საქმის საზოგადოდ მხარე მქონდა მხედველობაში—დამეცვა ცნობილი პედაგოგიური პრინციპი და მოთხოვნილება 1881 წლის სასწავლო გეგმისა ქართულ სახალხო სკოლების შესახებ. მე დიდად ვმადლობ ბ-ნ ჯაფარიძეს, რომ მან კიდევ მეტი მასალა მოგვცა, რომელიც მასვე ამტყუნებს ამ საქმეში, თუმცაღა საქმეებში სხვა საკმარისი მასალაც მოიპოვება მისდა გასამტყუნებლად.

დაკიწყებ იქიდან, როცა სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ-ნმა პოგარელოვმა მოიწვია ჯაფარიძე ლექტორად, გადასცა მასვე დაბეჭდილი პროგრამა, რომელშიაც სხვათა შორის ერთი მუხლია სახელდობრ: „სწავლება არითმეტიკა I და II განყოფილებაში უნდა სწარმოებდეს ქართულს ენაზე“. მაგრამ ეს მუხლი პროგრამაში მოქცეულია მოსატყუებლად. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სამოსწავლო უწყების მოხელენი სწერენ ერთს და აკეთებენ სხვას. თავიანთ ანგარიშებში წინ აყენებენ რაციონალურ პედაგოგიურ აზრებს, საქმით კი არღვევენ მასვე. ეს მისწრაფება ყველაზე უფრო თვალსაჩინოა სახალხო სკოლებში. ყველგან სახალხო სკოლების ინსპექტორების მიერ დამობილია 81 წლის სასწავლო გეგმა, წინადადებას აძლევენ დასაწყის სკოლების მასწავლებლებს ბავშვის სკოლაში მიბარების დღიდანვე, ენკენისთვიდანვე დააწყებინონ რუსული ლაპარაკის სწავლება. განა ეს პოლიტიკანობა არ არის?

მოიგონეთ პროცესი სასამართლოში **სემიონოვისა** და **სუდაკოვის** შესახებ (ქუთ. გუბ. დირექციის მოხელენი) სასწავლო გეგმის დარღვევის გამო. რამდენია ამისთანა შემთხვევა, სასწავლო გეგმის დარღვევისა, ვერც ჩამოვთვლით. ჩვენი დასაწყისი სკოლების ძირის ამომხვრელი პოლიტიკა სასწავლო მთავრობისა დიდი ხანია გამეფებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქში. ნაყოფი ამ პოლიტიკისა არიან **ბ. ლევიტსკები**. ახლა შევხედოთ რა ზომით და რა ხელოვნურად გაატარეს ეს პოლიტიკა თელავის კურსების ხელმძღვანელებმა და მათ შორის **ბ-ნმა** ჯათარძემაც. კურსები მოწყობილია. საქმე მიდგება სანიმუშო გაკვეთილებზე, არის **26** მასწავლებელი ქართველი, **2** რუსი, გაკვეთილს აძლევენ ქართველ ბავშვებს **I** განყოფილების მოწაფეებს, რომელთაც რუსული ლაპარაკი ოთხი თვის განმავლობაში ჰქონდათ ნასწავლი. გაკვეთილებს ესწრება სახალხო სკოლების ინსპექტორი პოგარელოვი. დამახასიათებელია ისიც, რომ თვითონ კურსები მოწყობილი იყო საიდუმლოდ, ე. ო. არავის უშვებდნენ შიგ გარეშე პირს, არც სხვა უწყების მასწავლებლებს და არც იმავე უწყების სხვა მასწავლებლებს, კურსები დაიხურა. რა მოხდა კურსებზე? ესტკვით ყველაფერი რაც დაიწერა რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თელავის კურსების შესახებ ფაქტიურად სწორი არ არის. მივმართოთ თვითონ ჯათარძის განმარტებას. შეკითხვაზე რად მიაჩნდა სასურველად მას მიეცა არითმეტიკის გაკვეთილი რუსულ ენაზედაო, მან გიპასუხათ: კურსებზე მსმენელთა შორის **2** რუსი იყო და ერთიც ხელმძღვანელი კურსებისა პოგარელოვიო, და ჩემთვის უფრო **მოხერხებული** იყო რუსულად

მიმეცა გაკვეთილი. ქართულად გაკვეთილის მიცემას შესაძლებლად ვცნობდი მაშინ, კურსების გამგე და ყველა მსმენელი ქართველები რომ ყოფილიყვნენ და ანგარიშიც კურსების შესახებ ქართულად დაწერილიყო. აი ჩვენება **ბ-ნის** ჯათარძისა, საჭიროა კარგად ჩაუკვირდეთ ამ ნაწილს მისის განმარტებისას, მოიგონეთ **ბ-ნო** მსაჯულნო, რომ იმ პროგრამაში, რომელიც პოგარელოვმა გადასცა ჯათარძეს, ცხადად არის ნათქვამი: „**არითმეტიკის სწავლება I და II** განყოფილებაში ქართულად უნდა იყოსო“. საქმით კი რუსულად ასწავლიან. ჩუმად არის **ბ-ნი** პოგარელოვი, სდუმს **ბ-ნი** ჯათარძეც. საქმე გაჩაჩხულია. ეხლა საკითხი ის არის პედაგოგიურია ეს თუ არა, დარღვეულია თუ არა **81** წლის გეგმის მოთხოვნილება. განმარტება საჭირო არ არის. ფაქტი თავისთავად ჰლალადებს.

ჩვენება **ბ-ნის** ჯათარძისა და მისი დამცველი მოწამებისა, რომ თელავის ქალაქის ბავშვებმა იმდენად იციან რუსული ენა, რომ შეიძლებოდა მათი რუსულად სწავლებაო, ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს, რადგანაც ამ ხერხს ხშირად მიჰმართავენ ხოლმე ყოველ იმ შემთხვევაში, როცა უნდათ დაარღვიონ პედაგოგიური პრინციპი და სასწავლო გეგმა. ამავე ხერხს მიჰმართა სახელმწიფო სასამართლოში **ბ-ნმა** სუდაკოვმა. მაგრამ ამ გარემოებამ მას მაინც ვერ უშველა. პირადად მე ძლიერ კარგად ვიცნობ არა მარტო თელავს, მთელს კახეთსაც. თელავის ქალაქის ბავშვები არსებითად არაფრით განირჩევიან სტფლის ბავშვებში და იმ დასაწყის სკოლაშიაც, სადაც ჯათარძე აძლევდა გაკვეთილებს, სწავლობენ ღარიბ მშობლების შვილები, რომლის ოჯახებშიაც მხოლოდ ქართულად ლაპა-



რაკობენ. ყველა იმ კერძო წერილებს, რაც ბ-ნმა ჯაფარიძემ წარმოგიდგინათ სხვა და სხვა პირთაგან, არავითარი ფასი აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამ კერძო წერილების ავტორები მოსამსახურე პირნი არიან და კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან თავიანთ უფროსებზე. ასეთები არიან თელავის საქალაქო სკოლის ინსპექტორი ცისკაროვი, მასწავლებლები ბუსლავეი, ა. ჭავჭავაძისა, ძეძამიძე ლ. სხვანი. სამოსწავლო თავრობის მოხელეებს არაფრად ესია მოვინებათ, როცა გამოძღვლენ დება უარყოფითი მოქმედება თავიანთ დაბალ მოხელეებისა... სად იყვნენ ეს ბატონები მაშინ, როცა წერილები და შენიშვნები ჩემს წერილზე ადრე დაისტამბა თელავის კურსების შესახებ ადგილობრივს რუსულსა და ქართულს გაზეთებში, რატომ სახალხო მასწავლებლებმა ხმა არ ამოიღეს მაშინ? სად იყო მღვდ. დეკანოზოვი და მასწავლებელი ძეძამიძე, რომლის წერილიც წარმოდგენილია აქ დაპირებით, რომ იგი წერილს დასტამბავს „თფილისის ფურცელში“, ამგვარი წერილი ჩვენ „თფ. ფურც.“-ში არ წავგიკითხავს. ცხადია ყველანი პირშავად იყვნენ და უნდა გაჩუმებულიყვნენ. არავის, არც კურსების ხელმძღვანელებს და არც მსმენელებს, არ ეგონათ თუ თელავის კურსების ამბავი საგაზეთო გახდებოდა და საზოგადოების ყურამდის მიიღწევდა.

არავითარი ფასი აქვს აგრეთვე არც ერთს სტატიას და კორესპონდენციას ბ-ნი ჯაფარიძისას, რაც მან სასამართლოს წარმოუდგინა. 1905 წელს ვინ არ იყო ლიბერალობის სამოსელში გახვეული; თვითონ ლევიტსკიმაც კი დაჰგმო თავის მოქმედება; ასე რომ ჯაფარიძის სტატიებს, დაწერილს 1905 წელს პირდაპირი


დამოკიდებულება ამ საქმესთან არაა აქვს ბ-ნი ჯაფარიძე „მუნჯური“ მეთოდის შესახებ სწერდა იმ დროს, როცა ლევიტსკი უკვე სცენიდან გადიოდა. საჭირო იყო ბრძოლა იმ დროს, როცა გაცხარებული ანტიპედაგოგიური და სულისშემბნთავი ატმოსფერო ტრიალებდა ლევიტსკის მეთოდის წყალობით ჩვენს სკოლებში. ვიმეორებ, რომ ყველა ამ სტატიებს, კორესპონდენციებს, აგრეთვე განცხადებას ბ-ნის ჯაფარიძისას პედაგოგიურ საბჭოში ქართული ენის დაცვის შესახებ, ამ საქმეში არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და აი რაღ? თქვენ ბატ. მსაჯულნო, კარგად უწყით, რომ ზოგიერთები ძლიერ ხშირად ერთსა სწერენ და მეორეს კი აკეთებენ. თუ კარგი სიტყვა კარგს საქმესთან არის შეთანხმებული, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამა და ამ კაცის მოქმედება სასარგებლო და ნაყოფიერო. მაგრამ სამოსწავლო უწყებაში ყველაფერი უკუღმა კეთდება. აი ამისი მაგალითიც. მოგახსენებთ ქართველების შესახებ. ვისაც თვალყური უდევნებია ჩვენში სახალხო განათლების განვითარებისათვის, არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება სახალხო სკოლების ინსპექტორის მაქავარიანის უარყოფითი და ანტიპედაგოგიური მოქმედებისათვის, მაგრამ ეს მაქავარიანიც ერთ დროს სწერდა ქართ. გაზეთებში საპატრიოტო წერილებს და სხვა. იგივე მაქავარიანი თამამშრომლობდა „Вѣстникъ Воспитанія“-ში. ბექდავდა მშვენიერს პედაგოგიურს წერილებს, განმსჭვალულს ჰუმანიურის აზრებით. იგივე მაქავარიანი სიტყვით იცავდა ცნობილ პედაგოგთა წმინდა აზრებს, საქმით კი რუსიფიკატობდა, პოლიტიკანობდა პედაგოგიაში და იყო საქმისთვის მანე ადამიანი. მეორე მაგა-

ლითი: სამრევლო სკოლების მეთვალყურემ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტიკ-მა თ. ჟორდანაიამ, ქართველმა არქეოლოგმა, სემინარიის ქართული ენის ყოფილმა მასწავლებელმა საკმარისად ისახელა თავი; ქართულმა პრესამ საკმარისად დააფასა მისი უარყოფითი მოქმედება, მოიგონეთ მისი ორი ანგარიში ერთი მთავრობისათვის და მეორე ქართველი საზოგადოებისთვის... მოიგონეთ ყველა ეს და მასთან ერთად იგულისხმეთ მისი მწერლობა ქართულად. დასასრულ მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმერეთის საეპარქიო საბჭოს უკანასკნელ განკარგულებაზე, რასაც მიზნად გარუსება აქვს... მზრუნველი იანოვსკი საზოგადოებაში არაფერს ამბობდა დედა ენის საწინააღმდეგოდ. მოიგონეთ მისი მშვენიერი თხზულება „МЫСЛИ О ВОСПИТАНІИ“ რა მშვენიერი აზრები აქვს გატარებული ამ პედაგოგ-პოლიტიკანს თავის პედაგოგიურს წერილებში. მაშინ, როცა მთელი მოღვაწეობა იანოვსკისა მიმართული იყო გარუსებისკენ სკოლების საშუალებით, რომლიდგანაც ამოფხვრეს ყოველგვარი სალი პედაგოგიური დასაწყისი. იმის დროსვე გამრავლდნენ პედაგოგ-პოლიტიკანები ჩვენში. იმან ამოხადა სული ჩვენს სახალხო სკოლას. მრავალ სხვა მაგალითსაც მოვიყვანდი, მაგრამ ესეც კმარა. აი ბატ. მსაჯულებო, რად არ ვაძლევ ამ საბუთებს არაფითარ მნიშვნელობას.

ამ სახით 81 წლის სასწავლო გეგმის დარღვევის ფაქტს და აგრეთვე პოლიტიკანობასაც თელავის კურსების ხელმძღვანელთა მიერ და კერძოდ ბ-ნის ჯაფარიძის მხრითაც უეჭველია ადგილი ჰქონდა. ეს გარემოება მტკიცდება უფრო იმიტაც, რომ კურსებზე მოწვეული იყო

ცნობილი კორხანიდი, რომელმაც ქართული ენა არ იცის.

რაკი ბ-ნმა ჯაფარიძემ მიიღო მონაწილეობა სასწავლო გეგმის დარღვევაში და ანტი-პედაგოგიური დასაწყისის გატარებაში, აქედან მე შემდეგი დასკვნა გამომყავს: გარუსების მომხრეთ მიმართ ის კაციც, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში სამოსწავლო მთავრობას სახალხო სკოლების საშუალებით გარუსების მიზანს ამა თუ იმ გზით, სასწავლო გეგმის დარღვევით და სხ. ამ მიმართულებით, სხვათა შორის, თავი იჩინეს ჩვენში ვოსტორგოვმა და ლევიციკიმ. თუ დღესაც არიან ზოგნი, რომელნიც მიპყვებიან ვოსტორგოვისა და ლევიციკის და მათ მზგავსთა ნაკვალევს და იჩენენ მონაწილეობის მიღებას ქართველთა გარუსებაში ამა თუ იმ ზომის მიღებით, ჩვენ იმათ ვოსტორგოვისა და ლევიციკის სულიერ შვილებად ვნათლავთ. აი ამის გამო ვუწოდებ ბ-ნ კორხანიდის და ჯაფარიძის ვოსტორგოვისა და ლევიციკის სულიერი შვილები. რაც შეეხება საკითხს ბ-ნი ჯაფარიძის მოუმზადებლობისას საზოგადოდ მისის მოღვაწეობისას უნდა მოგახსენოთ შემდეგი: მე შემეძლო პირადად სრულიად არა მქონოდა ჯაფარიძის ნაცნობობა, მაგრამ მშვენივრად შემეძლო გამეცნო მისი მოღვაწეობა. ბბ. მაჭავარიანს და თ. ჟორდანაიას პირადად ვერც ვიცნობ, მაგრამ მათი მოღვაწეობის ამბავი კარგად ვიცი. რომ ბატონი ჯაფარიძე მართლა მოუმზადებელი იყო, რომ წაეკითხა ლექცია სერიოზულ მეთოდურ კურსებზე, ეს ჩემი საკუთარი აზრია, დაფუძნებული, სხვათა შორის, იმ მოსაზრებაზე, რომ ბ-ნ ჯაფარიძეს ამ მხრით არც ერთს საზოგადოებაში არასოდეს თავი არ გამოუჩენია; ლექტორს,



და ისიც პედაგოგიურს საკითხებში, უნდა ჰქონდეს საკმარისი სამეცნიერო ერუდიცია. რომ ბ-ნი ჯაფარიძე მართლა არა ყოფილა საკმარისად მომზადებული ამ არა „სერიოზული“ კურსებისთვისაც, ამას ჰმოწმობს, სხვათა შორის, ჯაფარიძისავე ამხანაგი თელავის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი ბუსლავეი.

რაც შეეხება ბ-ნ ჯაფარიძის კარიერის საკითხს, უნდა მოგახსენოთ, რომ ჯაფარიძის მდგომარეობა ზოგ პროვინციის საქალაქო სკოლების ინსპექტორსაც შეუძრდება. ჯაფარიძე ამ ეამად მასწავლებელია I გიმნაზიის მოსამზადებელის კლასისა, აქვს გაკვეთილი ნორმალურს კლასებში, იღებს შესაფერს ჯამაგირს და მომავალში შეუძლია მიიღოს სახალხო სკოლების ინსპექტორობაც.

რაკი თქვენ ბატ. მსაჯულნო გაინტერესებთ ჩემი აზრი ჯაფარიძისა და ზედგინიძის სახელმძღვანელოს შესახებ, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ეს სახელმძღვანელო, დანიშნული საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებისათვის, უფარვისად მიმაჩნია ჩვენებურ სახალხო სკოლებისათვის მრავალის მოსაზრებით და მის გარჩევას აქ ადგილი არ აქვს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს არა სვარჯისის კომპლიტიურს ნაშრომს; იგი თავისი შინაარსით ვერ შეესაბამება ჩვენს ქართულს სახალხო სკოლებს.

მესმის, როცა სახელს უკეთებენ კარგ სახელმძღვანელოს, მაგრამ ცოდვად მიმაჩნია, როცა სახელი უკეთდება ცუდს სახელმძღვანელოს. თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სახელმძღვანელოს ხალხით უკეთებენ სახელს ქართულს სკო-

ლებში ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორები.

ამ სახით ბ-ნი ჯაფარიძე სახალხო სკოლების ინსპექტორის პოგარელოვის მიერ მიწვეული იყო ლექტორად თელავის კურსებზე, იგი დასთანხმდა და მისცა სანიმუშო გაკვეთილი რუსულად I განყოფილებაში, როცა ბ-ნი ინსპექტორის პროგრამა და ხელმწიფის მოადგილის მიერ დამტკიცებული 1881 წლის გეგმა მოითხოვდნენ, რომ ეს გაკვეთილი მას ქართულად მიეცა, უმრავლესობა თელავის კურსებზე დამსწრე მასწავლებლებისა, მოკლებული იყო სპეციალურ პედაგოგიურ მომზადებას, მათთვის თითოეულს სიტყვას, კურსებზე წარმოთქმულს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ყველა ის, რაც კურსებზე გაკეთდებოდა, ხსენებულს მასწავლებლებს შემდეგში უნდა ეხელმძღვანელათ; თუ მივიღებთ საზოგადოდ მხედველობაში დღევანდელ ჩვენს სახალხო სკოლების უბადრუკს მდგომარეობას და აგრეთვე იმ უარყოფითს შედეგებსაც, რაც გამომდინარეობს სამოსწავლო მთავრობის მოხელეთა პოლიტიკანობისაგან და მათ მიმდევარს მასწავლებლებისაგან, — ბ-ნი ჯაფარიძე თავისი საქციელით თელავის პედაგოგიურ კურსებზე დამნაშავეა არა მარტო სახალხო სკოლისა და მასწავლებლების, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების წინაშეც. ამ თვალსაზრისით უნდა შეხედოთ ბბ. მსაჯულნო საქმეს და დასდოთ მსჯავრი ბ-ნი ჯაფარიძის საქციელს.

მეტი სათქმელი აღარა მაქვს რა.

ამა წლის იანვრის 3 სასამართლო შეუდგა საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას; თავდაპირველად წინადადება მისცა ორსავე მხარეს შერიგებაზე. ორნივე დათანხმდნენ, თუკი სასამართლო გამოსძებნი-

და ისეთს ფორმულებს, რომელიც ორ-სავე მხარეს დააკმაყოფილებდა. ბ-ნმა დ. შემოქმედელმა განაცხადა—თუ ბ-ნი ჯათარძე აღიარებს, რომ იგი გაჰყვა მოლიზულს გზას და მოიქცა ინსპექტორის მიერ მიცემულის პროგრამის და 1881 წ. სასწავლო გეგმის წინააღმდეგ, როცა გაკვეთილს I განყოფილებაში აძლევდა არა დედა ენაზედ, მაშინ მზად ვიქნები შერიგებაზედო. ამის მიხედვით სასამართლომ შეიმუშავა ასეთი ფორ-მულა:

„წარსულ ზაფხულში სახალხო სკოლების დირექციის მიერ თელავ-ში გამართულს პედაგოგიურს კურ-სებზე, სადაც იყო 28 მასწავლე-ბელი, ამათში სამი რუსი, ბ-ნმა ჯათარძემ პირველს განყოფილება-ში წლის ბოლოს არითმეტიკის გაკვეთილი მისცა არა დედა ენით, თუმცა დირექციის პროგრამა უჩვენებდა დედა ენით სწავლებას, თა-ნახმად 1881 წლის სასწავლო გეგ-მისა, ბ-ნმა ჯათარძემ ფაქტი არა სამშობლო ენით არითმეტიკის გაკვეთილის მიცემისა აღიარა, მაგ-რამ არ მიაჩნდა თავისი თავი 1881 წლის სასწავლო გეგმის დამრღვე-ველად.

ბ-ნმა შემოქმედელმა, როცა დაწ-ვრილებით გაიცნო სასამართლოში ვ. ჯათარძის განმარტება, ვალდე-

ბულად დასახა თავისი თავი: ჩამოე-შორებინა პირადად მარტო ჯათა-რიძისათვის ყველა ბრალდება, რაც ჯათარძის შესახებ იყო დას-ტამბული „Заказк. РЪЧЪ“-ის №№ 197 და 199 სათაურით „გაკვრით“ (Мимоходомъ).

რადგან ამ ფორმულაზე მოხდა ორივეს შერიგება, სასამართლომ ამ საქმის წარ-მოება მოსპო.

ამ დადგენილებას ხელს აწერენ: სასამართლოს თავმჯდომარე მიხ. გე-დევანიშვილი.


სასამართლოს წევრნი: ივ. ევდ. გამ-ურელიძე, მიხ. ქაიხ. ყიფიანი, სპ. იოს. ბაქრაძე და ლ. გ. ბოცვაძე.

ჩვენი მკითხველები ამ საქმის გარე-მოებიდან ნათლად დაინახვენ სიმართლ-სიბრუნდეს, რაც ასე ბუნდოვნად სჩანს სასამართლოს მიერ შემუშავებულს ფორ-მულაში; დაინახვენ იმასაც თუ რამ-დენად გზა დაბნეულები არიან ჩვენებუ-რი მასწავლებლები, რამდენად ხელს უწყობენ ისინი ანტიპედაგოგიურს მი-მართულებას სკოლებში და თუ რა შე-დეგი მოჰყვება ასეთს ქვემძრომობას და ქეშმარიტების შებლაღვას, ყველასთვის ცხადია. დროა მასწავლებლებმა ყურიდ-გან ბაბბის ფთილა გამოიღონ, გულის სიწმინდით და ქეშმარიტების დაცვით ემსახურონ ქვეყნის საქმეს, რომ არ შე-იქმნენ გაკიცხულნი და დაგმობილნი შთამომავალთაგან.

იდეალოდან სინამდვილეში

ამ რამდენისაზე წლის წინად წავიკითხე რუსულ ენაზე შესანიშნავი მოთხრობა ჰესკოვსკის „ВЪ ГЛУШИ“, გვირად გამოვიყვანილია ახალგაზდა გიმნაზიელი შრანკოვი, რომელიც სიღარიბემ აიძულა სოფლის მასწავლებლად წასულიყო. შრანკოვი დაბრკოლებად გადაეღობა შრანკოვს გზაზე, როგორც მაგალითად: უნდობლობა ხალხის მიხრით, სამოსწავლო მთავრობის კილში ჩადგომა და მისთანანი. მაგრამ ვერაფერმა ვერ შეაჩერა მისი სპეციალური მისწრაფება, მან არ მოუხარა ქედი ჩვეულებრივს ეფიქსი-დღიურობას და ათითხუთმეტი წლის განმავლობაში უღარბესი სოფელი გაანათლა და აამაღლა ქონებრივად. ამ მუშაობის დროს შრანკოვი გამიჩინა შეუდარებელი თავდადება, სრულიად დაივიწყა თავისი შიშობა და შეერთა საზოგადო საქმეს; სიუვარულიც კი უარტყო შრანკოვი, ის სიუვარული, „რომლის უამეს არ თუ არის სასუფიქრი“. ზემო ხსენებულმა მოთხრობამ ნათელტყო ჩემში, რომ მოფენილია ნარეკლით გზა სახალხო მასწავლებლისა, მაგრამ არ არის იგი გაუვადი: ამისი ცოცხალი მაგალითი შრანკოვი, და ვითარი სულიერი გამყოფილება უნდა ჰქონდეს კაცმა, რომელიც ამისთანა მადლ საქმეს მტლედ დაუდებს სიცოცხლეს, რომელიც სიცოცხლის მიზნად მოყვასის კეთილდღეობას და ბედნიერებას დაისახავს, აქ არის ქრისტე თავისი მოძღვრებით: „მოყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, აქ არის იოანე ღვთისმეტყველი, მუდამ რომადადებდა: „გიუვარდეთ ერთმანეთით“, აქ არის სიუვარული, არა ფარისეველი, რომელიც გზა-ჯვარედინზე ქება-დიდებათ იხსენიებს თავის თავს, ერთი შემომხედეთ, რა მადლი აზრების შქადაკებული ვარო! არა აქ არის

სიუვარული თავდაბალი, არა მუვირადა, როცა მარცხებში ვაცისამან არ იცის, თუ რა კეთილსტქმის მარჯვენა მისი, და მეც გამოიტაცა ამ იდეაღმა: წარმოვიდგინე ჩემი თავი მასწავლებლად საქართველოს ერთ-ერთ სოფელში, სულთ და გულით ვემისასურები ჩემს მადლ მოწოდებას, არა ვარ ფანტაზიორი, შირველ ეფიქსისა შეგნებული მაქვს მშვენივრად ცრემლი და ღხენა ჩემის მამულისა; ვღახობ ეფიქსისავე საშუალებას შეუმსუბუქო მას ცხვრების მძიმე ტვირთი; ვუხატავ სურათებს მიწის სიმძირისას გოლანდაში, ბელგიაში, დანიაში, ჩინეთში და იმის მადლ დამუშავების კულტურას, ვცდილობ ჩავითრიო ხალხი ახალს მისთვის უჩვეული შრომის შირბებში,—სოფლად მრავლად არიან უწიგნო ახალგაზდები; ვიზიდავ იმთ კვირა დღეს სკოლაში, ვასწავლი წერა-კითხვას და ისეთ რამეებს, რომელიც მათთვის გამავითარებელია და შრატტიკულ ცხოვრებაში გამოსაყენებელი. გერმანია შექქმნა სახალხო მასწავლებელთა, საფრანგეთს მოერია სახალხო მასწავლებელით, თუ ეს მართალია, ჩვენ დღეს გვეჭირვება ასეთი მასწავლებელი, რათა მომავლადავით შევიკრიბოთ უკანასკნელი ძალები და ან გადავრჩეთ კრიზისის მშვიდობით და ან სამუდამით იმედი გადავიწვიტოთ, მიტომ რომ დაუსჯელად თარეშობენ ჩვენს გულზე, ჩვენის წინაშრების სისხლით მოწყუელს მკერდს უდვთოდ სთელავვენ უგობლნი მტერ-მოყვარენი, ჩვენთვე სარკებლობენ ჩვენსავე დასაბორკილებლად. რეფლიუტია ვერ გვიშველის, სანამდი ჩვენ გონებით ბნელნი ვიქნებით და ქონებით დატაცანი. ეკონომიური წარმატება აწინდელს დროში შეუძლებელია უკანათლებოდ და საფუძვლიანი განათლება მატერიალურ-



ქართული

ეკონომიურ წარუმატებლად, გავევებით განათლებას, ავმადლებით ეკონომიურად, ავიწვევთ განებრივად; ქნებრივ-განებრივ მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანი, განა მთელი ერი ვერ შეგკრება მონის უღელს და ადვილად გადაივლებს კისრიდან, ამიტომ სახამ რველითუცინური გავხდებოდე, საჭიროა გავხდე ნამდვილი სახალხო მასწავლებელი. მუშაობა დაუზარებელი, მუშაობა ჩემი ხალხის გულის სიღრმეში და მიზანი ერთობისა და სოლიდარობისა უფრო მტკიცედ მიღწეულ იქნება, ვინემ უშუაარების ტრიალით და თოფების გრიალით. ჩვენი ხალხის გულს არა აქვს შეგნებული თავისი ნამდვილი მდგომარეობა, იგი მხოლოდ ეკონომიურ უსამართლობას ქნედავს ვიწრო ფარგაღში, უსამართლობა ზოლიტიკური მისთვის სიბნელით არის მოცული, თანამედროვე ჩვენი ვითარება უნდა შესწავლილ იქმნას საუკეთესო ზოტიკურ—სამეცნიერო მასალებზე, რათა შევიგნოთ სრულის ორგანიზმით ჩვენი ვინაობა და ამ შეგნების მიხედვით ვესწრაფოთ დავიტიროთ სათანადო ადგილი საზოგადო ისტორიაში.

რა მომაგონებდა, მაგრამ ჩემდა უნებურად მაინც ოცნების მაღალს ფარდულებში მოკვტივულვარ. ეს შევიგინი შემდეგში, როცა გავიციანი მასწავლებლები, რომელიც სწორედ ასეთის ადორთოვანებით გასულან სამოქმედო ახვარეზე და დვთაებრივი ცეცხლი მუდმივი სიუვარულისა ბოლომდის მაინც არ გამოქვლიათ, ეველას გაუგლია ის „ჩვეულებრივი ისტორია“ შერიკებისა, რომელიც ასე ნიჭიურად დავიინატა რუსების განზროვმა. მაგრამ მე ამან სრულებით არ შემაშინა, მე მტკიცედ მწამს, რომ მხოლოდ იმ იდეას აქვს გავლენა და გამოქვლია, რომელიც აღმსარებლის არსებასთან განუერვლია, როგორც გალილო გალილოის, იოანე გუსის, ქრისტეოფორე კოლუმბის და მისთანათა და, აზნარად, უნდა შევიძინოთ ნამდვილი რწმენა, უნდა ვაკვებოთ

ჩვენი კუნთების სისხლით ჩვენი მაღალი იდეა, უნდა მზად ვიყოთ მისთვის თავის შეწირვად და „ჩვეულებრივი ისტორია“ ჩვენთვის დაჭკარავს თავის ჩვეულებრივ უღმობობას.

ლაშარავი უოველთვის ბევრად ადვილია საქმის გაკეთებაზე; ადვილია თბილ კაბინეტში ჯდომს და იქიდან განკარგულებათა გზაუნა, მაგრამ ის იდეალები, რომელიც შემუშავდა ამ დროს გონების ლაბორატორიაში, ვერ ითმენენ ვერავითარ შეჯახებას სინამდვილესთან. ჩემმა გონებამ და ფანტაზიამ დახატა ზემოდ შემოხაზული იდეალი მასწავლებლისა, მაგრამ დღეს როცა მასწავლებელი გავხდი, ჩემი აზრები თითქმის სრულებით დამავიწვდა. სოფლის მასწავლებელს ისედაც თავს აწევს საკატორგო შრომა, ათასგვარი მოთხოვნილება აქეთ-იქით ეტილება, იგი საშუალებას ვერ ქნოულობს თვითგანვითარებისათვის, ამიტომ იგია ზედმეტ შემთხვევაში გაუნათლებელი, როგორც ისინი, ვისი მორჯულების საქმეც მას კისრად უღია. იგივე წვრილმანი გრძობების ადამიანი, სასამართლოების მოტროფალი, ნუნუსს მადმერთებელი და დონუხანი სწორ-უზოვარი. თავისი სხეტიკი მოვალეობა თითქმის ეველას დავიწვებული აქვს, ან განსაზღვრული ვიწრო ფარგლით, რომელიც შეიცავს მუშაობას მხოლოდ იმისათვის, რომ რვეიზიის დროს უფროსისაგან შენიშვნა არ მიიღოს. ფაქტები არ მომეყვს: მასწავლებლებნი თითონაც დაადანტურებენ ჩემი წერილის სიმართლეს.

აღ. ჯავახიშვილის სტატისტიკურ წერილშია („ზირველ-დაწვებითი მასწავლებელი საქართველოში“ „განათლება“ № 2, 1908 წ.) მოხსენებულია, რომ საქართველოში საერობო გადასახადი ცოტა იხარჯება სკოლაზეო, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება თავის ინიციატივით ძლიერ ცოტა სკოლებს აკებს. ეს მართალია სრულიად. საქართველოს მრავალ



სოფლებში ხალხი ცივი უარით ეგებება ს-
მისწავლად მთავრობის წინადადებას. იმათ
სოფელში სკოლის გახსნის თაობაზე, როცა
ეს უკანასკნელი მისგან რაიმე ხარჯებს თხოუ-
ლობს, ხალხს სკოლა მიაჩნია იმისთანავე
მდღეობად დაწესებულებად, როგორც სსოფ-
ლო და სხვა სსსმართლობისა. მე კარგად მს-
სოვის 1905 წლის მარტის სტიქიური ადელ-
ვება ხალხის საქართველოს ერთ ერთს სო-
ფელში, როცა მოვიდა ბობოქრის წითელი ბა-
რადები ამართა და მთელი სსზოგადობა გაი-
ყოფილა, გაცოფებული ხალხის ნაკადი მიის-
წრაფებდა სოფლის შუაგულისკენ, სსსმართლობა
და სკოლა უნდა დაფარულიყო. მე ვუთხარ:
კაცო, სკოლას რას ერჩით, რა დააშავა შეთ-
ქი?—შენ რა იცი, ჯერ ზატარა ხარო, გაიზრ-
დები, გაიგებო. მართლაც რომ დაუგვირდები
ჩვენებურ სკოლებს, არა სსსმართლობა სურათი
გადაკეზივება თვალინ. უკვლავ გრძობს ინს-
ტიტუტურად სკოლის საჭიროებას, მაგრამ
იძლევა რასმე იგი? თხმობე უმაწვილში,
რომელიც შედის შირველ განყოფილებაში,
დიდი უნდა ორმა გაათავოს სსსწავლებელი და
ისიც გონება გაუხსნელმა და სსცოდვად რუ-
სულის ფრანკებით დაბარგულმა. ჩვენი სკო-
ლები ჰქვამს ეოველს სიცოცხლეს ბავშვებში,
ვისათუ დაკვირვებით წაუკითხავს აკაკის „თავ-
გადასავალი“ შეატყობდა, რომ ჩვენი მკვლ-
ნი დახსნათებს იძლევა აწინდელის სკოლი-
სს ჩვენში, თუმცა ორმოცდაათის წლის
ამბავს ლაზარაკობს: ქართულის ენის აბუხად
ავლება, უსაფუძვლო გაღმერთება რუსულის
ენისა, მისწრაფება, რაც შეიძლება მეტი ტვი-
ნი გამოუღაფოს სკოლაში, მეტი უნდა არსება
ადხარდოს—ი მისი დამახსნათებელი თვისე-
ბანი. ჩვენი სკოლის უვარგისობაზე ბევრი
ჩინებულ სტიტიას დაწერილა ჩვენში; ჩემი
ნათქვამის დედა-აზრი „არ ახალისა, ძველია“,
მაგრამ მაინც არ შემიძლია არ მოვიყვანო
ფაქტი ჩემი შირადი მოგონებიდან. სსსოფლო

სკოლაში შევედი შვიდი წლის უმაწვილი;
ქართული კითხვა მშვენივრად ვიცოდი, რუ-
სულის კი არაფერი გამეგებოდა. გადავდით
თუ არა „დედა-ენაში“ „თხამ ვენახი შეტყამა“-
მდი, მამცეს ხელში ლევიტსკის „კურსი“,
ქართულად არ ილაზარაკონ მოწაფეებშიო,
მსწავლებელმა „მარკა“ შემოიღო; ვინც შე-
ცოდებდა, უნდა დარჩენილიყო უსადილოდ და
სსკლასო ოთახი დაეკავა, თუ არ იმარჯვებდა
და სხვას არ აღმოჩენდა დამსწავლეს. ქართუ-
ლად კრინტს ვერ დავძარვდი და რუსული არ
ვიცოდი, ვიჯექი კლასში მოწვენილი და ვიფიქ-
რობდი „მარკა“-ზე. ამ დროს შემოვიდა ერ-
თი გამოცხადებული ამხანაგი, დაჯდა ახლოს
და დამიწყო ტბილ ქართულად ლაზარაკი,
„ტანში რაღაც უნებურმა ურუნტელმა დამია-
რა“ და ჩაგები ლაზარაკში; არც აცვივა, არც
აღხელა, წამოხტა ზეზე და გამომიშვირა ხე-
ლი: „Принимай марка!“—ო მე შეტის
გაოცებისაგან შირი დავაღე „ხომ არ გადი-
რიე შეთქი“—„Принимай!“—იო და შემ-
ჯინჯვალა. „Сейчасъ скажу учитель!“—ო,
წავიდა და დამსმინა. მოვიდა მსწავლებელი,
ქართულად ხმა არ ამოხადებია და რუსულად
მე თავი ვერ ვიშართლე და დავისაჯე უბრა-
ლოდ. ეს მე მომივიდა, სხვას რამდენი უა-
რესი!

მაგონდება მეორე ანალოგიური ფაქტი;
მსწავლებელმა შეადგინა მგალობელთა გუნ-
დი, წავიყვანა ეკლესიაზე; გალობის დროს
ცუდით ვიგრძენი თავი, გამოვედი და კარტ
ქვამე ჩამოვჯექი. გამოვიდა მსწავლებელიც
და დამივირა: აქ რა გინდა! რუსულად ვერ
მოვასხერხე შეთქვა და ქართულად ვერ გაგუ-
დე. გამოდიებაში აღარ შევიდა და შენი მო-
წინებულ სტიტიას. შიშიე შობებულებას
მოახდინა ამ შემთხვევამ ჩემზე.

სკოლაში ბევრ ჩვენთანში ჩაქვამა წარმოდგე-
ნილებისა და ენა მტვერობის ნიჭი. მოკეს-
სენებათ, ბავშვებს მეტად უყვართ ამბებისა

და ზღაპრების მოსმენა. ქართულად ლაზარაკი ვინაიღვას არ შეიძლება და რუსული „უაზ-რო“ სიტყვები უნდა გვეხებოდეს, მბობისა და უერთაგლებისათვისაც აღარავის ეცალა. თუ გამოვიდოდა ორი-სამი კარგი მაიმბე მწაფეებში, იგინიც ხეებს ამოფარებდნენ ხოლმე და ისე მოუთხრობდნენ ერთმანეთს ზღაპრებსა და ლექსებს. ვარდა ზოგიერთისა, იმათ უურს ვერავინ დაუგებდა. მოამბენი ფრთხილდნენ, რადგან რუსულად აუცილებელმა ლაზარაკმა „ენტანიობა“ გამოიწვია: მარკების გასასაღებლად მწაფენი უზატიოსნო საშუალებათ მიმართავდნენ ხოლმე, უურს მიუგებდნენ ამხანაგებს და შემდეგ მსწავლეებელთან დასსმენდნენ.

მრავალი მაგალითებია ჩვენში, რომ შკოლაში შესვლამდის ემაწვილი გონიერი იყო და სკოლაში კი „რადაც მიხეხებით“ გამოეყენდა. თუ ასეთებს დროით გაიფანდნენ სკოლიდან, იგინი კვლად გონიერნი და ნიჭიერნი ხდებოდნენ საოჯახო საქმეებში. ცხადია იმათ უნიჭობის დადი დასსვა ჩვენმა მშინდელმა სკოლამ. დიდი მეხსიერება უნდა ქტონებოდა ემაწვილს, რომ ლევიტკი—ვოლპერ—დავისის აშენებულ ლაბირინტიდან თავი დაეხწია. მახსოვს თითქმის მთელი შინაარსი კანთქმულ „კურსისა“ თანდათან ესლა ვირკვევ გონებაში მაში შთანდებულ სიტყვებს და აზრებს.

სადღოთ სჯულის სწავლების დროს ერთს მწაფეს ათჯერ გაამოკრებინა მსწავლეებელმა სიტყვა „ВОЗНОСИ́ВШАГОСЯ“ ხმის აწვეის გულისთვის (для удара́енія). ზირველ განყოფილებაში ვიყავი; რომ ვკითხე ზემოხსენებულ „მესამელს“ მოყვანილ სიტყვის მნიშვნელობაზე, წარმოიღვინეთ! არ ვიცი, მიხსენსა.

საზოგადოდ, ბავშვები ბევრს რასმე არ იცნობენ; რა ნიუთიც მათ დაკვირვების ფარგალში არ მოქტეულა, უცხო ენაზე მისი

ასხნა შეუძლებელია. მაგალითად ჩვენებურ ბავშვს რაშდენიც უნდა მოუტანო სზილოს გამოხატულება, იგი ვერ მიიღებს აქედან ნამდვილს ცოდნას; ეცოდინება, რომ რადც დიდი ცხოველია, სხვებში არ შეურევს, მაგრამ დედა-ენაზე არ ექნება მისი გამოხატავი სიტყვა, და თუ ბავშვს რუსული მალე დაავიწდა, რაც უმრავლესობას ემართება, ვინ იტყვის რომ მის თავში ქაოტიური არეულ-დარეულების შეტი იქნება რამე, ვინ იტყვის რომ უსარგებლო არ იქნება ასეთი სწავლება? არ გვიხსნიდნენ ჩვენ ქართულად, მაგალითად, ასეთს ფრაზებს: **Извошикъ сидитъ на козлахъ; Трубочистъ чиститъ трубы**— და ვერავითარი ნახტი ვერ გვშეულოდა: „ИЗВОШИКЪ“ ბევრს ჩვენგანს „მდვდელი“ ეგონა—ქულების მსგავსება აღმოჰჩინეთ. თუ მშობლიურ ენაზე ასხნა არ ექმნება წამდვარებული, ვერათრის გზით მწაფეები სისწორით ვერ შეითავისებენ, რა არის სიტყვა „КОРАБЛЬ“, რცა არ უნახვით ხომალდი საკუთარ თავლებით და გამოვა „ნამდვილი უაღბო სწავლება“. რცა ვინმე გვკითხავდა ქართულად თვითთველს სიტყვას, თვეზივით ვსდუმდით, თუმცა რუსულად რა გვკითხავდნენ, შეუგნებელი ზასუხი გაზეზირებულეი გვქმნდა და „რევიზორ-გვამენატორ-მშობლები“ შეცდომაში შეგვყავდა.

უსამართლობა იქნება დავასკვნათ, რომ სრულებით ვერას ვიკებდით თქვა. არა! აღდოთი ვგრძნობდით, რაზედაც იყო ლაზარაკი და შესათერი ატმოსფერაც იქმნებოდა მრავალჯერ გამოკრების შემდეგ. მაგრამ, ისეთი შთანბეჭდილება იყო უველაფრისგან, თითქმის სიზმარში გვენახოს და კარგად ვერ წარმოგვედგინოს; როგორც ჩვენში იტყვიან—ჩვენი ცოდნა „გამოუტანელ“ სიზმარს ჰგავდა. ერთი სიტყვით ჩვენ სწავლებას აკლდა „ნამდვილი ნომენკლატურა“ ნიუთთა და სიტყვათა ზარალეიზში „ТОЧНАЯ НОМЕНКЛАТУРА




вещей“ რომელსაც ცოდნის შექებისათვის უნარმაზარს მნიშვნელობას აძლევდა დიდებულ კომენიუსი *).

ისე დაუჩუნებია გონება ბავშვებს ჩვენმა სკოლამ, რომ მხოლოდ შე გავათავუ სრული კურსი დადებულს ვადასე; ზოგი ავად განდა; ვერ იტყვოდა რუსულს და მოკიდებდა მასწავლებელი ხელს და ახათქუნებინებდა თავს სკოლის კედლებზე; ცოდნა ხომ არავითარი არ მოუცია. „დედა-ენა“ და „ბუნების-გარი“ რომ ჩემთვის ესწავლებიათ სკოლაში ჩემს ბედს ძალიან არ დაჭეუფდა. ორი კლასი გავათავუ პირველ მოწაფედ და სულ კიდევ ვახვეწებოდი ნაცნობს მიკიტანს ერთი ქართულ რუსული წიგნი ახმატელოვისა ექნება მიუიღო სდამე მეთქი; მიტომ რომ არ გვიხსნიდნენ ქართულად, ვახვეწებოდი, მაგრამ მასწავლებელი არ გვეუბნებოდა არც ერთს სიტყვას. სუველ-პერო მერუსულებს ვამოუვლებოდი ხელზე სოფლად და ვახვეწებოდი სიტყვების ახსნას. ერთმა ასე ამხსნა სიტყვა „СОКРОВИЩЕ:“ КРОВЬ ხომ სისხლიაო, СОКРОВИЩЕ კი იქნება „მისისხლელობაო“. ხუთი ექვსი წელიწადი გაუგებარი ფრანგების მეორება, სკოლის შემხუთველ დისციპლინის მორჩილება, დაკარგული წლები, სრული სიმძულვარე სკოლისა და სწავლისა — აი ნაყოფი ჩვენი სკოლებისა; ამას დაუმატეთ ის სულელური ჩვეულება, რომლის ძალითაც ვითომ — ნასწავლი არ კადრულობს შავი საძუძუარს ხელის მოკიდებას; მუშაობის გადაჩვევა და ნაცვლად არაფერი! ზოგჯერ, ათასში ერთხელ გამოდის სკოლიდან წერა-კითხვის მცოდნე, იუენებს ამას ჯარის კაცად სამსახურის დროს, ან თუ მდიდარია სწავლის გასაგრძობად.

მაგრამ ეს იმდენად მცირე სარგებლობაა, რომ მსჯელობის სასწორზე ხალხის თავაში უკვლავის უარყოფითი მხარეები სძლევენ და ხალხიც კატეგორიულად ხშირად უარყოფს სკოლას.

თუმცა ხალხი სკოლას ცუდის თვალთ უცქერის, მაგრამ გრძობს მის აუცილებლობას, ხედავს, რომ ცხოვრებაში ის იმარჯვებს, ვინც სწავლით არის აღჭურვილი და ამიტომ იგივე სკოლებს ეტანება. ხალხში დიდი ჭკუაა დამარხული; იგი ცხადდება მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე მოვლენა მძლავრად შეარყევს მისი გულის ზღვას. კანტალისტური ხანის მოახლოება ხალხისთვის შეუმჩნეველი არ დარჩა; იგი ხედავს, რომ პატრიარქალური ოჯახობრივობა, საზოგადოებრივობა არ არის სკამარისი: ამიტომ სკოლებს აწუდება, ბევრი რჩება სკოლის გარედ, მაგრამ თავისით სწავლობენ, წერა-კითხვა თან-და-თან ვრცელდება ხალხში, ცხოვრება თავის კლასიციტში აღარ ეტყვა, სხვა მამზადების აღმასნებს ითხოვს, საჭიროა აქ დიდი მონაწილეობა სკოლისა. მაგრამ გვაქვს შესაფერი სკოლა? აწინდელ პედაგოგიკა არ გამყოფილდება იმ მეთოდებით, რომელიც შემუშავებულ იქნა საუკუნეთა განმავლობაში უბრძესს პედაგოგებისაგან, დჯონლოკი, კომენიუსი, რუსსო პესტალოცცი და თანამედროვე პედაგოგები სულ იმის ცდაში არიან, რათა სკოლა შეიქმნეს ბავშვებისათვის მიმზიდველ დაწესებულებად. დეე უკველივამ იდინოს თავისუფლად, დეე ნუ იქნება ხურაფერში ძალიატანება“ ამბობს კომენიუსი, მას ბანს მისძახის ტოლსტოი და ბელინსკი, ექსპერიმენტალური ფსიხოლოგია და პედაგოგიკა, აგრეთვე ამერიკული თავისუფალი სკოლები, ვეკლასაგან უტყუარ და აუცილებელ ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, რომ სწავლა უნდა სწარმოებდეს ბავშვების დედა-ენაზე, „ჭეშმარიტმა, პედაგოგიამ არ იცის სახელმწიფო თუ კლასიკური ენა, იგი აღიარებს მხო-

* (Рѣчь о точной номенклатурѣ вещей во II части его Избр. Пед. соч. въ переводѣ А. Адольфа и С. Любомудрова).



ლოდ ერთს, „დედა-ენის“, ჩვენ სკოლაში კი გამოეუბნა: „ძირითადი უკუღმართობა“, უცხო ენაზე სატენების სწავლება; საფუძველი შერეულია, ძირი გამომხალა, რა შენობა უნდა დაიდგას, რა უვავილი უნდა მოიხას? მასწავლებელი შებოჭვილია კაბინეტში შეთხზულ პრეგრამებით; დრო და სანაღებო არ არის ცდა და ექსპერსია აწარმოვოს. „არ არის რა გონებაში, რაც არ უფილია გრძობაში“ ამბობს გამოჩენილი პედაგოგი. „ტუნიში გასვლელი გზა გულში უნდა გადაიღვოს“ სთქვა შილდერმა; ჩვენ არა გვაქვს სანაღებო თავისუფლად ამოვიხრთქვით. ამისვე დაუმატო ჩვენი ქედ-დრეკილობა; რასაც გვიბრძანებენ „უფლის უარის უთქმელად“ ავასრულოთ, თუნდა ეს კიდევ ეწინააღმდეგებოდეს ტეშმარიტ პედაგოგის პრინციპებს. მასწავლებელი ხშირად ურმობილი მონა თვისი „ხელხეთი“-ს; ის ხშირად „მაღხადილობს“, უფრო მეტს მონობს იხენს, ვინემ მისგან ითხოვენ; ეს იმიტომ რომ ურადღებო შიიქციოს, როგორი შესანიშნავია და საქმის მოყვარეო. მასწავლებელს ხშირად შეუგნებელი აქვს თავისი დირხება; იგი ანგარიშს არ აძლევს თავის თავს იმაში, საქმეს ემსახურება თუ პირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მაღხადილობა შეუძლებელი იქნებოდა. დაბალი დობე ადვილი გადასვალა, ნათქვამია და მასწავლებელნიც მიხეუფნი არიან ამ დაბალი დობედ. რამდენადაც მეტს ნებას მისცემ, იმდენად უფრო დონივრად ჩაგვადება კისერში მოპირდაპირე,

ქართულების შევიწროება სკოლებში ნათლად და დაურღვეველის ღოდოკით აქვს მოხსენებული ი. გოგებაშვილს თავის წერილში: „შევიწროება ქართულის ენისა და ქართულობისა განათლების სფერაში“; რასაც უნდა მოველოდეთ მთავრობის სკოლებიდან, ნათლად გამოხატება მზრუნველ იანავსკის პრეგრამაში, სადაც კავკასიის სკოლის მიზანი

ასე განისაზღვრება: სკოლაში უნდა გააცნოს ბავშვებს რუსეთი, მისი ცნებული შედეგები, მთაუნერგოს სამადლობელი გრძობა რუსეთისადმი და შეაუვაროს იგი. ამ თავის მიზანს რუსული სკოლა გვერდზე გადაუხვევლად ემსახურება: „მე-XIX საუკუნის საქართველოს ისტორია არის ისტორია რუსულის სკოლის დამუარებისა“. წარმოსადგენია, რამდენად შეესაბამება ჩვენს სულიერს და ხორციელს მოთხოვნილებას ასეთი სკოლა. ერი, რომელსაც თავი არ მოსძულებია, ვერას დროს გულგრილად ვერ მოკვიდება ასეთს მდგომარეობას სასწავლო საქმისას. ბიუროკრატია ვეკლა სახემწიფოში სტდილობს სკოლა თავის ზურგის გამამგრებელ იარაღად გადააქციოს, მაგრამ მასწავლებელთ არა ერთგან მიურტყამთ მძლავრი და ხანგრძლივი პრეტესტი: გერმანიაში შეერთებულ ძალით მასწავლებლებმა ანგარიში გააწვიეს მთავრობას მათთან; ბოლგარიაში აგრეთვე შექმნეს მძლავრი კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთმანეთის დახმარება საერთო მტერთან ბრძოლაში, მტერთან, რომელიც ტეშმარიტს პედაგოგისა და საღს აზროვნებას ავლებს სკოლიდან და მათ მაგიერ პოლიტიკურ დვარძლას სთესავს.

ამის სახანჯლოდ ჩვენში რას ვხედავთ? თავლებ ახვეული მივევებით მთავრობის მოხელეებს, საითაც მივვართვევენ; დახვსებული მეთოდები ძალაში რჩება. არავინ ვფიქრობთ მოვძებნოთ სხვა გზები, იქნება უფრო უკეთესი არის საღმე, იქნება მხლოდ კოლექტიური მუშაობა საჭირო. ვეკლას გვაქვს შეგნებული, რომ ახლანდელი სკოლა არ არის განმანათლებელი, საჭიროა ძირითადი რეორგანიზაცია თუ არა, დიდი ცვლალება მაინც. ესდა მასწავლებელი იგივე მოხელეა, როგორც მამასხლასი, მწერალი, მასწავლებელი კი უნდა იყოს ხალხის სული და გული, ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან მისთა. ჩვენს ხალხს დიდი უბედურება მოქლის, გადაკვარე-



ბა, ტერიტორიის დაკარგვა, შიმშილით ამო-
 წვეგატა; ჩვენ კი ფერას ვდონობთ, მონურად
 ვუმორჩილებით ცეცხლს ხუთს თუ ცეცხლს ათს
 მანეთს; ჩვენ ვიკლავთ გულში „საუკეთესო
 დღეთა წყურვილს“. უხატოა სხვა ენების
 წმიდათა წმიდას ჩვენის ერისას, ჩვენ ხმას
 არ ვიღებთ; არ ვუკვირდებით ჩვენს
 მდგომარეობას; დაღუპვის უფსკრულსკენ მი-
 ვეჭანებით ჩვენი ხალხიანა; თვალები დაგვი-
 ხუჭია და დავბრტინებთ უკუნ-ბნელში; ჩვენი
 შთამომავლობა წყევლით მთისსენიებს ჩვენს
 სახელს, „НАСМЪШКОЙ ГОРЬКОЙ ОБМА-
 НУТАГО СЫНА НАДЪ ПРОМОТАВИШИСЯ
 ОТПОМЪ“.

არავისი იმედი არ უნდა გვქონდეს, ადვილ-
 გინათ დაკარგული გამბედაობა და მოქალაქეობ-
 რივი მამაცობა, მადლა დაფიკაფით დროშა
 გონებრივ და ზნეობრივ აფუავებისა, სკოლა-
 ში გავა შეფუთ შედაგოცია თავისი ათას წლო-
 ვან უტყუარ ჰრინციბებით; ხალხს მივაწოდოთ
 ის ცოდნა რამაც უნდა მისცეს მას სადი სულიერი
 საზრდა, რამაც გამოარკვევის მას თავისი
 საკუთარი „მე“; განვდევნოთ სკოლიდან ზო-
 ლიტოკა. ჩვენი ღირსებისა და თავმჯდომარეობ-

ბის შელახვა, რომ ჩვენ ჩამოშორებული ვართ,
 ვართ, კვალში ვერ ვდევთ ცხოვრებას; ჩვენ,
 როგორც ინტელიგენცია, უნდა მოვუქცეთ
 ჰრკერესს სათავეში და ვუთითებდეთ ხალხს
 უკეთეს მამავლისკენ. მაშინ ექნება ჩვენს შრო-
 მას ნაყოფიერობა, მაშინ მოგვევლინება სუ-
 ლიერი კმაყოფილება! „როცა ერთი ხარ—
 სუსტი ხარ, ბევრი ხარ — ძალას წარმოადგენ“.
 შევქმნათ სულიერი კავშირი, თვალი ვადევნოთ
 ჟურნალ-გაზეთობას და მივსცეთ ხალხს ხმა
 მოქმედ-მუშაკ ამხანაგებს. შევიძინოთ რომე-
 ლიმი ჰერიოდულ გამცემში ნაწილი „სახალ-
 ხო განათლება“, სადაც ვათავსოთ წერილები
 სკოლის ცხოვრებიდან, ჩვენი დაკვირვებანი, გა-
 მოცდილებანი; ვიქონიოთ მსჯელობა საჭირო-ბო-
 როტო საკითხებსზე. ამნაირად „სახალხო გან-
 თათლება“ გადაიტყვევს შემაკავშირებელ ძალად
 ჩვენის დაქუცმაცბულის ძალებისა, მაშინ ჩვენ
 ძლიერნი ვიქნებით. ჩვენი დევიზი იქნება:
 უგულა ერთისთვის, ერთი უგულასთვის, ეს
 სულ ადვილი შესასრულებელია. ამაში ვერავინ
 დაგვწამებს მაინც და მაინც ფანტაზიოზობას.

ციხაგი.

მოღალატე*)

(დასასრული)

მოწაფეებს უკვე ესაღიონათ და ეხ-
 ლა ჯგუფ-ჯგუფად მიდი-მოდიოდნენ პან-
 სიონის ფართო ეზოში. მე-VI კლასში
 მომხდარი ამბავი დაუსრულებლივ სამას-
 ლათო საგნად გადაქცეულიყო ყველას-
 თვის. საზარელ შავს ფერებში იხატებო-
 და მოღალატე დრაგანოვი. ფათურობ-

დნენ იმის წარსულშიც, რომ იქაც გა-
 მოეჩხრიკათ რაიმე მისი ფლიდობა—უს-
 ვინიდილობისა და უზნეობის დამამტკი-
 ცებელი ფაქტები, მაგრამ რაკი ასეთს
 ვერაფერს ჰპოვებდნენ, თვითონ იგონებ-
 დნენ, სთხზავდნენ უტიფრად და უადრეს
 ქეშმარიტებასავით უამბობდნენ ხოლმე
 ერთმანერთს სავსებით ცრუ, მოგონილ

*) იხ. „განათლება“ № 1—1912 წ.

ფაქტებს. როგორც მაგალითად: სტიპენ-
დია იმიტომ-კი არ დაუნიშნეს მას, რომ
მამა-მისი ტყვეობაში გარდაიცვალა, არა-
მედ იმიტომ, რომ ის ღირეკტორთან
ჯაშუშობდაო. თითქოს იგი არც საუკე-
თესო მოსწავლე არის მთელს გიმნაზია-
ში; არიან შრავალნი მაგაზე ბევრად
უფრო ძლიერნი, მაგრამ იმათ არა სურთ
ეგრე დაიმცირონ თავი, იმათ გულში
ჰღვივის ნაპერწკალი წმინდა გრძნობი-
სა, — **ადამიანის** ღირსებისა.

მეორეს მხრით-კი ქება-დიდებით ცა-
თამდე აჰყავდათ მათემატიკის მასწავლე-
ბელი. ეხლა ყველანი უსაზღვრო აღტა-
ცება-განცვიფრებაში მოჰყავდა იმის სა-
მაგალითო და უბადლო ქცევას. თუმცა
მთელს გიმნაზიაში არ მოიპოვებოდა
მეორე ისეთი მასწავლებელი, რომელიც
სუსტსა და უნიკო მოწაფეებს სძაგებო-
დათ და ზიზღებოდათ იმდენად, რამდე-
ნადაც ეს — „P³“, რაიცა ნიშნავდა მესამე
ხარისხის პედანტს. — **მათემატიკური ხო-
ლერა**, როგორც ისინი უწოდებდნენ
მას და სხვ. ეხლა-კი ის იდეალური მას-
წავლებელი შეიქმნა.

მთელი გიმნაზიის მოწაფენი გარედ
იყვნენ გამოფენილნი, დრაგანოვი-კი სა-
წოლ ოთახში იმალებოდა. იმას ვერ
გაგებდნა სწორედ შეხედვა თავის ამხანა-
გებისთვის, რომელთა თვალში ეგრე და-
ეცა იგი, და რომელნიც ეგრე ცუდი
შეხედულებისანი არიან ეხლა იმაზე. მი-
სი მშვენიერი ტურფად ბრწყინვალე თვა-
ლთა ელვარება ჩაჰქრა, ბნელმა წყვი-
აღმა შესცვალა და მოღუშულ წარბებს
შუა ღრმად დაღარულ კანის ნაოჭი ძირს
ჩამოეკიდა.

მოკრუნჩხულ-მოკუმშული თავის ლო-
გინში, ბევრად უფრო იმაზე ნაკლები
სჩანდა, რამდენიც ის მართლა იყო.

ფიქრობდა და ვერ გაეგო, როგორ მოხ-
და ყველა ეს. და ეგრე უცბად, ეგრე
მოულოდნელად — **მოლალატე!** ისე, რომ
დღემდე არასოდეს არაფერი უღირსი,
გასაკიცხი და დასაგმობი, არავითარი
უსვინიდისობა არ ჩაუდენია ცხოვრება-
ში; თვით უსაშინელეს წუთებშიაც-კი
ერთ სულით და გულით საყვარელი,
როგორც ამხანაგებისთვის ისე მასწავლე-
ბლებისთვისაც, ეხლა, ეგრე უცბად,
შერცხვენილი, თავსლაფ-დასხმული, სა-
ხელ-გატეხილი და გაწბილებული საზიზ-
ღარი შეიქმნა და ყველასაგან განდევ-
ნილი!..

მართლა უღალატა მან თავის ამხანა-
გებს? არა! იმან არ მისცა მასწავლებელს
რვეული, რომელშიდაც ყველა ამოცანა
გამოყვანილი ჰქონდა; არც გაუმხილა,
რომ ამოცანები გააკეთა და თუ დაფას-
თან გავიდა, რომელი მისი ამხანაგთაგანი
არ მოიქცეოდა ეგრე — არ გავიღოდა
დაფასთან, როცა ეს მოითხოვა და ბრძა-
ნა კიდევ მასწავლებელმა? გასულიყვნენ
დაფასთან, თუ არა, ამის შესახებ არავი-
თარი დადგენილებაც არა ჰქონიათ!..

უძრავად მოკრუნჩხული ყმაწვილი ოდ-
ნავ შეიშმუშნა. ხან ფართედ დააღებდა
და ხან დახუჭავდა თვალებს და ეგ-
რე თვალთა ფარფატით თითქოს ეკითხე-
ბოდა თავის თავს: „ნეტა სადა ვარ? ნუ
თუ ეს ყველაფერი სინამდვილეა? როგორ
შეიძლება სინამდვილე იყოს!..“

მოწაფეებმა და მასწავლებლებმა,
მეთვალყურეებმა და მოსამსახურეებმა —
ყველაჟ გაიგო უკვე, რომ დრაგანოვმა
თავის ამხანაგებს უღალატა. ყველანი
ზიზღით უყურებენ მას. არავინ, თვით
მისი უგულითადესი, საყვარელი ამხანა-
გებიც-კი, რომელნიც წინედ ერთის წუ-
თითაც ვერ შორდებოდნენ მას, ახლა



სრულებით არ ეკარებიან, აღარ მოდიან სიტყვა უთხრან, ჰკითხონ თუ რისთვის მოიქცა ვერე და მოისმინონ მისი—საქმის ვითარების განმარტება, ან თავის მართლება. განა ამაზე მეტი არა-ადამიანური ვერაგობა, სიმკაცრე და ულმობელობა შეიძლება კიდევ!? კარგი, მაგრამ... რაღა ექნებათ საერთო ამხანაგებს დროგანოვთან, როცა მასწავლებელმაც, რომელსაც ყველაზედ მეტად უყვარდა იგი, „მოლაღატე“ უწოდა... დიად, ხვალ-და-ხვდ იგი ცხოვრებაშიაც მოლაღატე, საძაგელი და თავლაფიანი იქნება...

ეგრე მსჯელობდა დრაგანოვი თავისთვის, თან ორივე ხელით იმაგრებდა თონესაებრ გახურებულ თავს და ხან ერთ მხარეზედ გადიხრებოდა, ხან მეორეზედ.

ამ მდგომარეობაში დახვდა იგი ერთს —კლასით ამხანაგს, რომელსაც ხელმძღვანელის შემდეგ პირველი ადგილი ეჭირა მოწაფეთა რევოლიუციონურ ჯგუფში.

— გესმის?—მიჰმართა იმან დრაგანოვს მეტის ზიზღით დაღრეჯილის სახით,—აღეკი!

დრაგანოვმა თვალები მალლა ააჭყიტა და უაზროდ, სულელურის გამომეტყველებით მიაპყრო ამხანაგს.

— შენ უკვე გამორიცხული ხარ ჩვენი ჯგუფიდან შენის საზიზღარი ქცევისათვის.

დრაგანოვის სახეს სულ არ დაეტყო განცვიფრების ელფერი, თითქოს იგიც სწორედ ამასვე ელოდა.

— აღეკი! — განუმეორა ბრაზ-ნარევი ბრძანების კლოთი რევოლიუციონერმა მოწაფემ,—უკანვე უნდა ჩააბარო შენი გატეხილ-გაწილებული ფიცი.

დრაგანოვი მსწრაფლად წამოდგა და მანქანებრივ გაჰყვა მას.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ის უკანვე დაბრუნდა, გაფითრებულ-გალურჯებულ ჩარბებზე რაღაც უცნაური ნაოჭი გაჩნოდა, რომელიც მანამდე არა ჰქონდა. იმან იგრძნო უფსკრული, საშინელი ბნელი უფსკრული თვის ფერხთა ქვეშ.

„აღსრულდა ყოველივე“. საშინელი მწარე გმინვა დაავადებულის კვნესით აღმოჰხდა აღშფოთებულ გულის სიღრმიდან. დრაგანოვმა გადაჰხედა ლოგინებს, თითქოს პირველად ჰხედავდა მათ. ბოლოს იპოვნა თავისი და ორივე ხელით თავის მაგრებით წამოწვა.

დიდხანს დაჰყო მან ეგრე. აღარავინ მოსულა სანახავად.

— ეგრეცა სჯობიან! ამბობდა იგი თავისთვის. მეთვალყურემ შეამჩნია, რომ ის არ დასწრებია არც სადილობას, არც ვახშობას, მაგრამ ამჯობინა სულ არაფერი გაემხილა იმის შესახებ.

შელამებისას საწოლ ოთახში შევიდა მოსამსახურე; ლამპა აანთო და ფანჯრები დახურა. გამოსვლის დროს თვალი მოჰკრა დრაგანოვს; მიიხედ-მოიხედა გარეშემო და, რა დარწმუნდა სხვა არავინ იყო, ჩაუჩურჩულა: „მოწაფეებს განზრახვა აქვთ გაგლახონ; მიიღე ზომები!“ მოსამსახურე წავიდა; დრაგანოვმა, რომელსაც სრულიად არავითარი ყურადღება მიუქცევია იმის სიტყვებისთვის, ერთი ისეთი გულამოსკვნით ამოიხვნეშა, თითქოს სახვებით განთავისუფლდა საშინელ განსაცდლისაგან. ამის შემდეგ კარგა ხანს მიაშტერა იმან თვალები სანათს, თითქოს პირველად ჰხედავდა ასეთს საგანს და განცვიფრებით ათვალიერებდა...

* * *

სალამოს გაკვეთილები გათავდა, დარეკეს, და მოწაფენი გუნდ-გუნდად გაემართნენ საწოლ ოთახისკენ.

დრაგანოვი თავიან-ფეხებიანად საბანში გახვეული უძრავად იწვა. მისი ამხანაგები მოვიდნენ და ტანის-სამოსს იხდიდნენ.

— აქ არის ის ფლიდი, გარეწარი? — შემოსვლის თანავე შენიშნა უკანასკნელმა მათგანმა და კარები გაიხურა.

— ხვალ უეჭველად განუტყხადოთ უფროს მეთვალყურეს, — სთქვა მეორემ, — რომ ხვალავე გააგდოს იგი ამ ოთახი-დგან.

— დიად, დიად, უეჭველად, — გამოეხმაურა იმათ მესამემ, — როგორ შეგვიძლიან ჩვენ აქ, ჩვენს შორის ვიგუოთ — მოლალატე!?

დრაგანოვს ყველაფერი ესმოდა. — ეგვი თვით სიკვდილზეც უსაშინელესია! — სთქვა იმან გულში.

ლაპარაკი სხვა საგანზე ჩამოაგდეს, შემდეგ თან-და-თან მიწყნარდა იქაურობა და ბოლოს ყველას ჩაეძინა. სამარისებური სიჩუმე გამეფდა საწოლ ოთახში. საღამური სანათის ალი თრთოლვით კანკალით ციმციმებდა; იმისი მინავლებული მკრთალი სხივები ყვითლად აშუქებდნენ საწოლ ოთახს და ნაზი ფარფატით უაღერსებდნენ მდუმარე კედლებს. ვიღამაც ხვრინვა ამოუშვა, წამს ოდნავ დაარღვია საერთო ღუმილი, მაგრამ გამოედვიძა, გადაბრუნდა და ისევ მშვიდად ჩაიძინა.

დრაგანოვს-კი სრულიად არ ეკარებოდა ძილი. ის მიშტერებოდა ლამპრის მკრთალი ნათელით ნაღვლიანად გაშუქებულ კედელს და თვალებს არ აშორებდა. რაღაც საშინელი რამ ხდებოდა იმის სულიერ არსებაში...

შუალამისას საშინელის ღრიალით აზოგჯა იმის გულიდგან შექირვებული მწარე ქვით-ქვითი, თითქოს ამდენი ხნით დაგუბებული ბოღმა-ვაება ეხლა ერთბაშად აღმოანთხია. ამ გულსაკლავმა ღრიალმა მოულოდნელად დაარღვია ღამის მყუდროება. და წასქდა იმას ცხარე ცრემლთა ნიავ-ღვარი. ცრემლები სასოწარკვეთის, თავგანწირვისა, ახალ-გაზრდობის — სასოებით ტკბილ ოცნებებთან გამოსაღმების ცხარე ცრემლები ჭირის ოფლთან ერთად ღვართქაფად დაედინა საბრალო ყრმას და ბალიში გაუწუწწეს.

სამს მოსწავლეს გაედვიძა. ორმა, რა გაიგეს, რომ ეს დრაგანოვია, ერთი ლაზათიანად შეუკურთხა ძილის დაფრთხობისთვის, გაეხვივნენ საბნებში და კვლავ ჩაიძინეს.

ხოლო მესამეს, ყველაზე უფრო დაახლოვებულს და გულითად მეგობარს დრაგანოვისას გულმა ვეღარ გაუძლო. ვერ მოითმინა, ვერ აიტანა ეგეთი უსაზღვრო, ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება — მანამდე მისი უერთგულესი არსებისა, ფრთხილად წამოდგა და ფეხ აკრეფით, ქურდულად მიუახლოვდა თავის მეგობრის საწოლს.

— დრაგანოვ, რადა სტირი? — ალერსით ჰკითხა მან და ლმობიერებით დაადო ხელი იმის ნაზ-ხუტუტა გაწუწულ თმებს.

დრაგანოვი კვლავ განაგრძობდა გულ-ამომჯღარ სლოკინს, მაგრამ მალე გაყუჩდა.

— დამშვიდდი! გულზეიადი, გულქვა, უგულო ადამიანები! იმათ არა აქვთ არავითარი ნება შეურაცხეყონ შენ!..

დრაგანოვის სახეზედ კვლავ ხშირის ღაპა-ღუბით გადმოდიოდნენ უმანკო ცრემლთა მსხვილ-მსხვილი წვეთები. იმან ხელი ხელს მოუჭირა თავისს — ეხლამდე



საგანმანათლებლო

გულთან ეგრე ახლობელს, თავისს საყვარელ მეგობარს, რომელმაც მხოლოდ ერთმა გამოიჩინა გაბედულობა-ვაჟაკობა, ეთქვა ერთი თბილ-გრძნობაში ამოვლებული ძმური სიტყვა ამ საბრალო-უმართლოდ, დაუმსახურებლად მოკლულ არსებობისთვის.

— მშვიდობიო! — უთხრა ღრაგანოვმა და კიდევ მაგრად დაუჭირა ხელი მეგობარს, — შენ ტანთ-გახდილი ხარ, გაცივდეგი.—

და თვითონაც გაეხვია საბანში და გაინაბა.

მეგობარმა ცოტა ხანს დაიცადა, მაგრამ რა შეხედა ღრაგანოვი არც იბრძოდა და აღარც ხმას იღებდა, წავიდა და დაწვა.

ღრაგანოვმა უცებ რაღაც მსუბუქი უხვება იგრძნო. დამშვიდდა იგი, მაგრამ რაღაც საშინელი რამ იმაღლებოდა იმ სიმშვიდეში...

გათენდა დილა. საზარელი სურათი დახვდათ მოსამსახურეებს პანსიონის საკუჭნაო სარდაფში. ღრაგანოვის უსიცოცხლოდ გაციებულ გვამი უძრავად ეკიდა მათ წინ ბაწარზედ. მთლად გაშავებული, საძაგლად დაღრეჯილი სახე, ქუთუთოებიდგან ნახევრად ამომჯდარი მოყვითალო მსხვილი თვალები აშკარად ჰმოწმობდნენ, რომ მას საშინელი ტანჯვა განეცადა თავის აღსასრულის უკანასკნელს წუთებში...

ილ. გოგია.

(დ. ონი)

შოთა

შინარსი პირველი სურათისა *).

შოთა ზის უვაგილოვან ბაღში და „გეფხის ტყაოსანს“ ჭეუტყავს. სხვა და სხვა ოცნება წარიტაცებს. ჭხედავს სანახავს: თითქოს ვიღაც ჭაბუკს თამარ დედოფალთან ერთად შემოჭხევევია ერი ივერიისა და აკვირგვინებს, როგორც სახელოვან მგოსანს, მაგრამ უცბად ამ ჭაბუკს ერთი ასული ფერხთ წინ დაუფარდება და უვაგილოვან ნიადაგს ცრემლით მოურწყავს. ამ სანახავს შოთა ჭხსნის, როგორც წინაგრძნობას და ამბობს: „დიდება თუ შეღის ჩემი ცხოვრების ნიადაგი ცრემლით იქმნება გაუდენთილიო!“ ამ დროს ეახლება მოციქული თამარ დედოფლისგან და

მთხსნებს: თამარი ნადიმს ჭმართავს და სხვა დიდებულებთან ერთად მიწვეული ხარ, რათა შენი „გეფხის ტყაოსანი“ წაიკითხოო. შოთა თანხმობას რომ უცხადებს და წასასვლელად ემზადება, ამ დროს შოთას ცოლი რუსუდანი წარსდგება და შოთას გადაჭრით ეუბნება: ჩემთან უნდა დარჩე, მწუერის შენი ალერსიო.

რას ვნების ფერადებს არ ხმარობს რუსუდანი, რომ შოთა მოხიბლეს და იმ დამეს არსად გაუშვას, მაგრამ შოთამ მოციქულს სიტყვა უთხრა და თამარიც მოკლის ნადიმზე. ცოლი ეტყვის: შენ აჩრდილებს ეტრფი: ტარიელს, ნესტან-დარეჯანს, ავთანდილს, შკვი უურადდებას არ მატყვევო და გაბრახებული „გეფხის ტყაოსანს“ ხელში გამოგლეჯს და ბაღში გადაისვრის: მე სიყვარული მწუერთან, შენ კი ამ წიგნს მანაცვალეო.

*) სიუჟეტი ამ სცენებისა ა. ფურცველასის ხალხურ „შოთა და მისი ცოლი“-დან ავიღე.

ქართული

შოთა შიღის ნადიშე. რუსუდანი სსს-
წარგვეთილი სტირის. აზრად მოუვა, შოთას
შური იძიოს და თავისი ემაწვილ-ქალობა გაუ-
ხარებლად არ დატყნოს. რუსუდანი წინადვე
იყო დარწმუნებული, რომ შოთას თამარი უუ-
ვარდა და მასქეტროფდა. შოთა მართლაც ეტრ-
ფის თამარს, მაგრამ არა მიწიურად. რუსუდანი

მოიხმობს აბდულს— შოთას უხანგ-მონას-
ჯანმრთელი, ვნებით სავსე ადამიანია. რუსუ-
დანი ეტყვის: შენ უნდა იყო დღეის შემდეგ
მონა ჩემის სიყვარულისა. აბდული არ ჭნებ-
დება: ბატონს ვერ უდალსტებო, მაგრამ რა-
დესაც ქალი ეტყვის: თუ არ დამნებდი, ქმარ-
თან დავაბეზლებ, თითქოს შენ ჩემი შეურაცხ-




შოთა რუსთველი.

ყოფა შოთისურვეა და თავს მოვტკეპნიებო,
მამინ აბდული რეკავია. უკანასკნელად უბრძ-
ნებს რუსუდანი: ჩემს საწოლ ოთახში შედიო
და აბდულიც დარცხვინილი შედის, ამ ხნის
განმავლობაში სახლში შედის შოთას
ზირველი დანიშნული, მას ჭსურდა შოთა უკ-
ნასკნელად ენახა და ბეჭედი გადაეცა. რუსუ-
დანის საქციელს დაინახავს, ყოველ მის სიტ-
უვას გაიგებს და გაეშურება ნადიშე, რათა
ვევლაფერი შოთას მოახსენოს.

შინაარსი მეორე სურათისა.

თამარ მეფეს ნადიში გაუმართავს. ეველა
დიდებულნი გარშემო შემოუკრებიან. ვიდრე
ნადიმად დასდებოიან, შოთა „ვეფხისტყაოს-
ნის“ უკითხავს. ფარდა აიხდება და უკანასკნელ
ტაყებს ათავებს. ეველანი აღტაცებულნი არიან.
თამარი ოქროს კალმით დააჯილდოვებს, ეტ-
უვის: სულის მეფე ხარ და მომცემი უსაზ-
ღვრო შუებისა: შემდეგ თამარი სხვა დარ-
ბაისლებს მიჰმართავს:



„შესწყდა სისხლის ღვრა, შეიმუსრა ქედი ცოდვილთა,
 კიდით კიდემდე ჩამოფარდა ერთა სიმშვიდე.
 ვერ აღიმალლოს აწ ძლიერმა სუსტზე მახვილი,
 არცა ვის ევნოს—ვიდრე ქვეყნად ცოცხალი ვლიდე.
 ივერი აღდგა დაცემული, აოხრებული,
 წელში მომაგრდა დავრდომილი ღონე-მიმქრალი,
 არ დაფუტევე: არცა ქვრივი ბედის მომჩინვე
 უხვად მოვფინე მოწყალება და სამართალი!
 ყველას ვალად გვდევს, აწ მივდიოთ სხვა ბედის ვარსკვლავს:
 ვით ღღე ღამეს სძლევეს და სიმართლე შავს ბოროტებას,
 შფოთი და ზაკვა სიმშვიდითა დაითრგუნება,—
 ეგრედვე ხალხის უმეცრებას ბოლოს მოუღებს
 ხელოვნებისა, მწიგნობრობის აწ აღყვავება.
 მაშ გზა ამ მზის სხივს! და ყოველმა მისთვის ვიზრუნოთ:
 დაე ივერი გაცისკროვნდეს, ზეცად აღვიდეს!
 დაე კეთილის მაგალითი სხვებსაც უჩვენოს!
 ღმერთი გვყავს შემწედ! წმინდა ზრახვას დაგვიგვირგვინებს!

შემდეგ ნადიმად სხდებიან. თამირი ჰსვამს
 შოთას სადღეგრძელოს:
 ვიღებ ფიალას და მოგილოცავთ:
 პირველ მგონისას ვსვამ სადღეგრძელოს,
 შემდეგ ადგილის, სად აღიზარდა
 კურთხევა ღვთისა ჩვენს საქართველოს.

საერთო მხიარულებას მიეცემიან. მეფის
 მასხარა ხაღხს აცანებს. ამ დროს შემოდის
 ვაჟურად ჩაცმული შოთას შირველი დანიშ-
 ნული, ნინო და ეუბნება შოთას: შენ აქ დი-
 დებით გაგვირგვინებენ, შენ აქ მხიარულობ,
 მაგრამ შინ შენი საუხუჯე დაჰკარგეთ. შო-
 თა მიხედება მის სიტყვებს. ქალი წამოუძ-
 დება შოთას, რათა ცოლის დალატი უჩვენ-
 ხოს.

შინაარსი მესამე სურათისა.

შოთა და უცნობი შემოდის შოთას დარ-
 ბასში. უცნობი ასწევს ფარდას და დაანახებებს
 სარეცელში რუსუდანს მანასთან შეტრფობილს.
 შოთა თავზარდაცემულია, ჰსურს, გაიგოს, ვინ
 იყო უცნობი, ვინც დაფარული ბოროტება
 დაანახვა, მაგრამ უცნობი უკვე წასულიყო.

შოთა ხმაღს იძრბოს, ჰსურს ცალი მოჰკვას,
 მაგრამ თავს შეიკავებს და გარედ გავარდება.
 რუსუდან და აბდულ კვლავ განაგრძობენ ღა-
 დობას.

შინაარსი მეოთხე სურათისა.

შოთა აშოთაბუღი ამ სანახაობით ტუის
 შირად გაიჭრება და ჰგონია, რომ მცენარიდ-
 გან დაწეული ვიდრე ფრინველებამდე მას
 დასცინიან. განთიადი ახლოვდება. ამ დროს
 ბილიკით ჩამოიხრბენს უცნობი და ეუბნება: ხომ
 დასტები სანახავითა! შოთა მას დიდ და-
 ნაშავედ სთვლის, რადგან ვიდრე არ იცოდა
 ცოლის დალატი, იგი მშვიდად იყო. უსაყუ-
 დურებს—რად მიხვენეთ. ღანაზაკში შოთა თავს
 ვეღარ შეიმავრებს და უცნობს ხანჯავს ჩას-
 ტემს გულში, როგორც ავის მახარობელს.
 მომავლადვი უცნობი შოთას წინ დაემხობა,
 ქუდი მოჰჭარდება და ქალის თმა მკერდს გად-
 მოეშლება. შოთა მიჰჭარდება და იცნობს თავის
 შირველ დანიშნულს, რომელსაც ხელზე მისი
 მიტეხული ბეჭედი აქვს. შოთას წუხილს საზ-
 დვარი არა აქვს და განთიადს შეჰქვდადებს:

განთიად, ეველას ადვიტებ, ეველას სიცოცხლეს ანიჭებ, აქ კი ჩემი ერთგული სამუდამოდ შეცლება ხელიდგან, დამიბრუნე განთიად, დამიბრუნე მისი სიცოცხლე.

შინაარსი მეხუთე სურათისა.

შოთამ დაჰკარგა სამუდამოდ მისვენება. მწარე სახმილი გუფს უდაგავს. ხშირად გრძნობა მისდელია ჰხედავს თავის დანიშნულის აზრდილს, ცოლი თავს დასტრიალებს, მაგრამ მას სასტიკად შოთს იცილებს. ბოლოს გადასწევეტს გამართოს ნადიმი. დაიბარა თავისი მასხარა: მისცა რამდენიმე ლექსი, რათა ნადიმზე საჯაროთ წაიკითხოს და მით ალეგორიულად ცოლს ნიღაბი ახსნად. თვითონაც თავის თავგადასავალს ლექსად დასწერს იმ განზრახვით, რომ ნადიმზე იმღეროს.

მეექვსე სურათი.

სახადიშო ოთახი შოთას დაბზაშში. ისმის სიმღერა და ჩანგთა ჟღერა. ზოგი ტეკავს. მასხარა ქამანჩით ხან ერთს ეტყვის შაირს და ხან მეორეს. სიცილი.

თამარ.

მეტად სასტიკად მსჯელობს დღეს შოთა!

სეფე ქალები.

სხვა აზრის იყავ—გამოიცივალე?

შოთა (ღრმად მწუხარე, მაგრამ სხვისთვის შეუმჩნეველად).

ღიან! მეფეო! მაგრამ ასეა! (მსახურთ) ჰეი, მოართვით ჩემს სტუმართ ღვინო! (მსახურნი გაფაციცებით მოძრახბენ) მაგრამ სტუმარნი ჩემნი ღვინობენ და დღეს ამითაც აღტაცებულვარ!

მასხარა.

მე კი ვიციანი, სხვასაც ვაცილებ და თვით სიცილში დაბრძენებულვარ!

თამარ

აი თუნდ დედებს რარიგ ჰმადლიდი შენგან ართნევით განაცხადია:

ლომისა ლეკვა სწორედ ჰსახავდი ძუ ყოფილიყო, თუნდა ხვადია!

შოთა.

რჩეული მუდამ თვისას მიიწყავს: გზას არ დაჰკარგავს სანთელ-საკმელი! მაგრამ თუ ერთხელ ჩვენ სიტკბო გვხიბლავს,

გვშამავს აგრედვე მწარე ნალველი. ორი რამ ძალა ზეგარდმო სუფევს: მშვენიერებას სდევს ბოროტება; ზოგჯერ სინათლით, ზოგჯერ წყვილილით სოფელი ესე განისაზღვრება.

მასხარა (ქამანჩაზე დამღერის).

რჩევას ჰკითხავდე ცივსა გონებას, თანამგზავრია შენი ერთგული; გეტყვის: ჰყვალდა სადღაც, ოდესღაც... აღარ არსებობს დღეს სიყვარული.

სეფე ქალი.

თითქოს მასხარაც იმას იძახდეს, რაც კი ამ ჟამად არ არს სათქმელი.

შოთა.

დღეს ისიც ჰხარობს, ჩემო დობილო, (იციანის).

სეფე ქალი.

შენს სიცილშიაც სხვა სევდა მოსჩანს.

შოთა.

ჩემი სიცილი!... პირველად შევხვდი მას მშვენიერს სხვა გვარ სიცილით. ჩემი ღვილილი მას ჰხიბლავდა, მასვე ჰშხამავდა. იგი ტყვე ქმნილი, შემოსილი უმანკო გრძნობით თურმე ლოდინით...

თამარ.

და ლოდინით ხსნას მოელოდა.

შოთა (მწარედ).

ხსნას მოელოდა!



თამარ.

და გამოჩნდნენ რჩეულნი გმირნი:
ავთანდილ ფრიდონ და მიადგნენ ქაჯე-
თის ციხეს.
ტარიელ ჰნახავს თავის ერთგულ ნესტან
დარეჯანს,

შოთა.

ნუ დაიჯერებთ! იგი შევექმენ ერთგულ
მიჯნურად,
მაგრამ მეფეო, ჩემს ოცნებას ნუ დაუ-
ჯერებ.
იგი მე შევექმენ ტარიელის ერთგულ მი-
ჯნურად,
რადგან თვით მსურდა ერთგულება მიჯ-
ნურთა შორის.
ო, არვინ უწყის დარეჯანი ცხოვრების
შვილი
ეგრედ სპეტაკი, მშვენიერი, კდემამოსილი
რავდენად თვისი ტრფიალისა ერთგული
არის!

მასხარა.

ნუ ერწმუნები ნათელსა თვალებს—
სხვაში გაგცვლიან, მოგატყუებენ;
ნუ ერწმუნები მომხიბლავ სიტყვებს,
არ დაგინდობენ—გულს გაჰგმირავენ.

ამუნელ (ძმა რუსუდანის).

სულ არ გიხდება მაგრე მსჯელობა...
სჯობს სასაცილო რამე გვიმღერო!

მასხარა.

არც შენ გიხდება თვალაბმულობა,
მაგრამ სიმართლე მსურს დაგაჯერო.
ვიცი გწყურიან გულით ქეიფი
და სიცილიც ხომ კუქს მოუხდება;
ბოდიშს მოვიხდი, თუ ეს ქამანჩა
დღეს ჩემს გემოზედ ახმაურდება.

**დიდებული (შემოდის, უკან მასხარაზელი
მოსდგეს).**

ლხინსა თან მოსდევს სხვა სიხარული.
აწ ნეტარებდეს ყრმა და ჭალარა;

გაუმარჯვნია ჩვენს ლაშქარს მტერზე,
მასხარობელმა ჩვენ ეს გვახარა!

მასხარაზელი.

დიად, მთხრობელად წინ გამოგზავნეს,
ხვალ მეომარნიც აქ გაჩნდებიან;
შორს სოფლებიდან გლენხი, თავადნი
მათ აღტაცებით ეგებებიან.
მტერი მოისრა, ასე ანაზდად
რომ დაურღვივა ხალხსა მშვიდობა;
დღეგრძელი იყოს მეფე თამარი
და ნურც მოგვაკლოს ღმერთმა წყალობა!

თამარ.

მადლობას გიძღვნი კარგის ამბისთვის—
დააჯილდოვეთ ეგ ღირსეულად!

შოთა (მწაკედ თავისთვის)

რა დააშავა ავმა მთხრობელმა,
ო, რად მოვეპყარ მას ასე მტრულად?

მასხარა (რუსუდანთან ახლას).

გინდ გეტკინოს,
გინდ გეწყინოს
თავისუფლად მაინც ვმღერი
ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი!
მაინც ვმღერი.

ცბიერ კეკლუცსა გზას აუქცევდე,
არ არის ღმერთი მშვენიერების;
თუ გეფიცება—ნუ დაუჯერებ
გატყუებს, რადგან მონაა ვნების.
ცბიერ კეკლუცსა გზას აუქცევდე...

რუსუდან.

გადააქარბე ვგონებ ხუმრობას.

მასხარა (ეურში).

ჩუ! არ გაიგონ, თორემ იტყვიან
თითქოს ჩემს მათრახს შენკენ ვიქნევდე.
—როს სიყვარულით, ყრმაო, დამწვარი
შფოთვით ღ კვნესით სატრფოს ეყრდნობი,
ო, რარიგ გულით მსურს დაგიყვირო
მაგ დაუდგრომელს ნუ მიენდობი!
გზას ნუ უქარგავ, ფეხქვეშ ნუ უგებ

ნათელ გრძნობისა ფერად ყვავილებს;
ნურცა დაჰსახავ მშვენების ღმერთად,
დავსჯის სასტიკად და ბევრს განანებს.
ის დედაკაცად დაბადებულა,
მწირ უდაბნოს არის ჩვენება;
მზადაა მუდამ თვალი აგიბას,
ღღეს თუ შენია—სხვისიც იმქნება!

ამუნელ.

პატივი ეცი მანდილოსნებსაც,
ღღეს ვგონებ ცუდი გაქვს შენ გუნება.

რუსუდან.

ძმაო, რად ისმენ მაგ სისულელეს,
ამბობს რაც კი რამ პირს მოადგება!

მასხარა.

შვილდით ისარს შორს გავსტყორცნი
არ ვიცი რას ეკვეთება;
მე ვიმღერ და ეს სიმღერა
არ ვიცი ვის გულს მოჰხვდება.

გინდ ეწყინოს,
გინდ ეტკინოს—
მაინც ვმღერი!
ჰერი, ჰერი!

თამარ (რუსუდანს).

ქნარი მოართვი მგოსანსა,
სევდა რად დაგიმჩენვია?
შოთავ, გვიმღერე ტკბილის ხმით
ბევრჯერ სხვა დროსაც ვგსმენია!

შოთა (ქნაწზე რეჩიტეტივით).

ერთხელ სცხოვრობდა ვინმე მგოსანი.
ჰპოვა მან სატრფო მშვენიერი და შაც-
თმოსანი.
მას ერთს მიანდო სიცოცხლე და გული
ვნებული,
მაგრამ ვინ მისწვდეს ქალის სულსა?
გარედნათელი, შიგნით არის ჩაშავებული.
ქალთა აღერსი, სიყვარული თუ ერთგუ-
ლობა
ვაგლახ ყინულზე დანაწერია.

თუ მსწრათლ დაადნო მზისა სხივმა
დასაჯერია.

ცოლის ლალატი აცნობეს მგოსანს.
როს ავსილიყო იგი შევებითა.
როს თავსა ედგა დაფნის გვირგვინი
მეფის სურვილით, მეფის ნებითა.
შურის ძიებამ იფეთქა
მგოსანმა მოჰკლა მთხრობელი;
გულში ჩაასო საბრალოს
მახვილი დაუნდობელი.

აწ მგოსანს სულით აშფოთებულს და
დამძიმებულს

აღარ ასვენებს შავი ლანდი
მარად სვინდისის მამხილებელი.

ვინ იყო იგი ვინც მოჰკვდა?
ან ის, ვინც სისხლი დაჰღვარა?
ვინ დაისაჯა უბრალოდ,
ადრე ვინ დაესამარა?—
ის იყო სატრფო მგოსნისა
პირველი ბედის ვარსკვლავი.
ყრმობის ჟამს გული ეტრფოდა,
ღღეს ჰფარავს შავი საფლავი.

თამარ.

მგოსანი დამნაშავეა.
ღმერთმა ვით შეიწყალიოს!
წავიდეს, სოფელს განშორდეს,
ლოცვებით მოინანიოს.

შოთა.

ღიახ, მგოსანი, სვემალალო, დამნაშავეა!
იგი შენს მსჯავრსა შეასრულებს.
დასტოვებს სოფელს!

რუსუდან (ღიმილით).

როგორ იქმნება,
ცოლმა უმტყუნოს მგოსან სატრფოს და
სულით მაღალს,
ეგ ზღაპარია!

შოთა.

შენ ამბობ მაგას! გამომხვედი წყეულო
გველო!



თამარ.

და გამოჩნდნენ რჩეულნი გმირნი:
ათანდილ ფრიდონ და მიაღვნენ ქაჯე-
თის ციხეს.
ტარიელ ჰნახავს თავის ერთგულ ნესტან
დარეჯანს,

შოთა.

ნუ დაიჯერებთ! იგი შევქმენ ერთგულ
მიჯნურად,
მაგრამ მეფეო, ჩემს ოცნებას ნუ დაუ-
ჯერებ.
იგი მე შევქმენ ტარიელის ერთგულ მი-
ჯნურად,
რადგან თვით მსურდა ერთგულება მიჯ-
ნურთა შორის.
ო, არვინ უწყის დარეჯანი ცხოვრების
შვილი
ეგრედ სპეტაკი, მშვენიერი, კდემამოსილი
რავდენად თვისი ტრფიალისა ერთგული
არის!

მასხარა.

ნუ ერწმუნები ნათელსა თვალებს—
სხვაში გაგცვლიან, მოგატყუებენ;
ნუ ერწმუნები მომხიბლავ სიტყვებს,
არ დაგინდობენ—გულს გაჰგმირავენ.

ამუნელ (ძმა რუსუდანისა).

სულ არ გიხდება მაგრე მსჯელობა...
სჯობს სასაცილო რამე გვიმღერო!

მასხარა.

არც შენ გიხდება თვალაბმულობა,
მაგრამ სიმართლე მსურს დაგაჯერო.
ვიცი გწყურიან გულით ქეიფი
და სიცილიც ხომ კუქს მოუხდება;
ბოდიშს მოვიხდი, თუ ეს ქამანჩა
დღეს ჩემს გემოზედ ახმაურდება.

**დიდებული (შემოდის, უკან მასხარაზედ
მოსდევს).**

ლხინსა თან მოსდევს სხვა სიხარული.
აწ ნეტარებდეს ყრმა და ქალარა;

გაუმარჯვნია ჩვენს ლაშქარს მტერზე,
მასხარობელმა ჩვენ ეს გვახარა!

მასხარობელი.

დიაღ, მთხრობელად წინ გამომგზავნეს,
ხვალ მეომარნიც აქ გაჩნდებიან;
შორს სოფლებიდგან გლენხნი, თავადნი
მათ აღტაცებით ეგებებიან.
მტერი მოისრა, ასე ანაზდად
რომ დაურღვივა ხალხსა მშვიდობა;
დღეგრძელი იყოს მეფე თამარი
და ნურც მოგვაკლოს ღმერთმა წყალობა!

თამარ.

მადლობას გიძღვნი კარგის ამბისთვის—
დააჯილდოვეთ ეგ ღირსეულად!

შოთა (მწარედ თავისთვის)

რა დააშავა ავმა მთხრობელმა,
ო, რად მოვეპყარ მას ასე მტრულად?

მასხარა (რუსუდანთან სხლად).

გინდ გეტკინოს,
გინდ გეწყინოს
თავისუფლად მაინც ვმღერი
ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი!
მაინც ვმღერი.

ცბიერ კეკლუცსა გზას აუქცევდე,
არ არის ღმერთი მშვენიერების;
თუ გეფიცება—ნუ დაუჯერებ
გატყუებს, რადგან მონაა ვნების.
ცბიერ კეკლუცსა გზას აუქცევდე...

რუსუდან.

გადააქარბე ვგონებ ხუმრობას.

მასხარა (ეუწში).

ჩუ! არ გაიგონ, თორემ იტყვიან
თითქოს ჩემს მათრახს შენკენ ვიქნევდე.
—როს სიყვარულით, ყრმაო, დამწვარი
შფოთვით ღ კენესით სატრფოს ეყრდნობი,
ო, რარიგ გულით მსურს დაგიყვირო
მაგ დაუდგრომელს ნუ მიენდობი!
გზას ნუ უქარგავ, ფეხქვეშ ნუ უგებ

ნათელ გრძნობისა ფერად ყვავილებს;
 ნურცა დაჰსახავ მშვენების ღმერთად,
 დაგსჯის სასტიკად და ბევრს განანებს.
 ის დედაკაცად დაბადებულა,
 მწირ უდაბნოს არის ჩვენება;
 მზადაა მულამ თვალი აგობას,
 დღეს თუ შენია—სხვისიც იმქნება!

ამუნელ.

პატივი ეცი მანდილოსნებსაც,
 დღეს ვგონებ ცუდი გაქვს შენ გუნება.

რუსუდან.

ძმაო, რად ისმენ მაგ სისულელეს,
 ამბობს რაც კი რამ პირს მოადგება!

მასხარა.

შვილდით ისარს შორს გავსტყორცნი
 არ ვიცი რას ეკვეთება;
 მე ვიმღერ და ეს სიმღერა
 არ ვიცი ვის გულს მოჰხვდება.

გინდ ეწყინოს,
 გინდ ეტკინოს—
 მაინც ვმღერი!
 ჰერი, ჰერი!

თამარ (რუსუდანს).

ქნარი მოართვი მგოსანსა,
 სევდა რად დაგიმჩნევია?
 შოთავ, გვიმღერე ტკბილის ხმით
 ბევრჯერ სხვა დროსაც გვსმენია!

შოთა (ქნარზე რეჰიტეტივით).

ერთხელ სცხოვრობდა ვინმე მგოსანი.
 ჰპოვა მან სატრფო მშვენიერი და შაც-
 თმოსანი.
 მას ერთს მიანდო სიცოცხლე და გული
 ვნებული,
 მაგრამ ვინ მისწვდეს ქალის სულსა?
 გარედნათელი, შიგნით არის ჩაშავებული.
 ქალთა აღერსი, სიყვარული თუ ერთგუ-
 ლობა
 ვაგლახ ყინულზე დანაწერია.

თუ მსწრათლ დაადნო მზისა სხივმა
 დასაჯერია.

ცოლის ღალატი აცნობეს მგოსანს.
 როს ავისილიყო იგი შევბითა.
 როს თავსა ედგა დაფნის გვირგვინი
 მეფის სურვილით, მეფის ნებითა.

შურის ძიებამ იფეთქა
 მგოსანმა მოჰკლა მოხრობელი;
 გულში ჩაასო საბრალოს
 მახვილი დაუნდობელი.

აწ მგოსანს სულით აშფოთებულს და
 დამძიმებულს

აღარ ასვენებს შავი ლანდი
 მარად სვინდისის მამხილებელი.

ვინ იყო იგი ვინც მოჰკვდა?
 ან ის, ვინც სისხლი დაჰღვარა?

ვინ დაისაჯა უბრალოდ,
 ადრე ვინ დაესამარა?—

ის იყო სატრფო მგოსანისა
 პირველი ბედის ვარსკვლავი.
 ყრმობის ჟამს გული ეტრფოდა,
 დღეს ჰფარავს შავი საფლავი.

თამარ.

მგოსანი დამნაშავეა.
 ღმერთმა ვით შეიწყალიოს!
 წავიდეს, სოფელს განშორდეს,
 ლოცვებით მოინანიოს.

შოთა.

ღიახ, მგოსანი, სვემალალო, დამნაშავეა!
 იგი შენს მსჯავრსა შეასრულებს.
 დასტოვებს სოფელს!

რუსუდან (ღიმილით).

როგორ იქმნება,
 ცოლმა უმტყუნოს მგოსან სატრფოს და
 სულით მაღალს,
 ეგ ზღაპარია!

შოთა.

შენ ამბობ მაგას! გამომხვევდი წყეულო
 გველო!



დარბაისელნო, თქვენ წინ ვსდგევარ იგი
მგოსანი.

და მეფემ უკვე მომისაჯა ღირსი სასჯელი.
იქმნება გასურდეთ გულით ვაიგოთ:

ამბავი ესე დიახ სწორია;
მე ვარ მგოსანი, მოვკალ მთხრობელი

და მოლალატეც ჩემი ცოლია.
აი ამ მონას მან მანაცვალა,

და შემირაცხყო მით სარეცელი;
იგი შაირი მე თვითონ შევთხზე,

ვსდგევარ თქვენ წინა და კრულვას ველი.

(რუსუდან სტირის. ეგექანი თავზარდაცემულნი
სდგანან).

თამარ.

დასაჯეთ იგი მონა მუხთალი.
შენ კი განშორდი მრუშსა მეუღლეს!

(გადის, ამაღა გაჭყუება.)

ამუნელ.

ღმერთო! რა მესმის!
მაშ მოლალატე ჩემი და არის?

იგი ატარებს როსკიპის სახელს?
რუსუდან!

რუსუდან.

ძმაო!

ამუნელ.

მაგ წმინდა სახელს

ნულარ ახსენებ თუ კი შენ მართლა
ეგრე დამდაბლდი, რომ იმ ტალახში
გასცვალე ოქრო! მითხარ, რუსუდან!

ო, უმალ მიწა შუა გაიპოს
და სატანჯველად ცოცხალი შთამნთქას,

თუ კი გავიგებ შენგან: დიახსა!
ნუ თუ შენ მართლა შემწიკვლე ჩენი

წმინდა სახელი?

ნუ თუ შენ მართლა უარსყავი თვალს
მარგალიტი

და იმის ნაცვლად სიბინძურით სული
აივისე?

დიდებული (შემოდის და აჩაბს, რა-
შედიც კუთხეში გაფითრებული სდგას)

ჯერ გარიჟრაჟიც არ უნდა იყოს,
არც შეცვლილიყოს ბინდი ღამისა—

უნდა განშორდე ამ არე-მარეს,
ბრძანება არის ესე მეფისა.

წადი მშვიდობით, სასჯელს არ მიგცეს,
ასე ინება სულგრძელმა შოთამ.

(ეგექანი გადიან ამუნელ და რუსუდანის გარდა)

რუსუდან (ძმის წინ ქეითინით იხაქებს)
ძმაო შემინდე!

ამუნელ.

ი, როდეს გშობა დედაჩემო, რატომ უმ-
ალვე

მტვრად არ გარდიქეც და შავს მიწას არ
შეუერთდი?

მაგ ტურფა სახის ელვარება ნუ თუ შენს
გულში

ჭთარავს სიბილწეს, სულმდაბლობას?!

რუსუდან.

ძმაო, შემინდე.

ამუნელ.

მე თუნდ შეგინდო, არ შეგინდობს შთა-
მომავლობა.

რუსუდან.

დანაშაული არ მიმიძღვის

ამუნელ.

ო, ნეტავ მართლა
ეგ აგრე იყოს!

რუსუდან.

მეც მქონდა გრძნობა! სიყვარული მეცა მწყუროდა.
 ღმერთმა ხომ იცის, რა ტანჯვებსაც ჰგრძნობდა ეს გული.
 ან ვინ მოსთვალოს, თუ მწუხარეს და თვალ ცრემლიანს,
 რავდენი ღამე სულის შფოთვით გამითენია.
 როგორ მუდარით მუხლ მოდრეკით ვსთხოვდი მას ალერსს.
 წინ ია-ვარდსა ვუფენდი და მისთვის ვცეკვავდი
 და მხოლოდ ზოგჯერ მომხედავდა წყალობის თვალით,
 ვნებით აღსავსე სიყვარული გულსა სწყუროდა,
 ტრფიალი მსურდა და ამბორი ცეცხლით დამწველი,
 იგი კი ამ დროს გატაცებით ეტრფოდა აჩრდილთ,
 მათ შეჰხაროდა და უსულოთ გუნდრუკს უკმევდა
 და ჩემს ნორჩ გულს კი ჰყოფდა ასე უგულვებელსა.

ამუნელ.

ო, ჯოჯოხეთის ავოსულო! მაშ მართალია!
 არა, აღარ ხარ სასიცოცხლო!

რუსუდან.

ნუ მომკლავ, ძმაო.

ამუნელ (ხანჯალს იძრახს და ჰსურს
 გულში ჩასტეს. ამ დროს გამოდის შო-
 თა და შეაუენებს.)

შოთა.

ჩემი გულისთვის! კმარა ის სისხლიც,
 რომელმაც ხელი წითლად შეღება.

არ მსურს დამძიმდეს ისედაც სული
 უმანკო სისხლით დამძიმებული.

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების.

არვის ძალ-უძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

წესი არის მამათაგან მოჭირვება, კირთა თმენა!

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხოვებელმან,

ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტროს მშობელმან!

(რუსუდან მის ფეხებ ქვეშ დაეცემა და ქვითინით: შემინდე შეთავ!)

ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევისთ!..“

(გადის).

მონასტრის ზღუდე.

(მონასტრის გვერდით კეთილ-ჩრდილ ფურ-
ცელფანი ხე სდგას. მის ქვეშ ქვა გდას
ტახტის მაგვარი. ისმის ბერების კალობა და
დადადი).

პირველი ბერი.

ჩემი წამალი ვერას უშველის!

მეორე ბერი.

იხსენ უფალო!

პირველი ბერი.

უკურნებელი ნალველი სტანჯავს,
სიცოცხლის დღენიც დათვლილი არის.

მეორე ბერი.

ჰოი უფალო და მეუფეო!
შენი კურთხევა გადმოუვლინე.
შენს მონა-მორჩილს მოჰმადლე შვება.

პირველი ბერი.

ღირსო მამაო! რომ იცოდეთ რა რიგ იტანჯვის...

მეორე ბერი.

დიდებულ კაცის ტანჯვაც მუდამ დიდებულია!

პირველი ბერი.

მიზეზსა ვკითხავ, მაგრამ გულში ჰფარავს კაეშანს,
მხოლოდ ერთს სიტყვას ნაღვლიანად აღმოსთქვამს ხოლმე
და ეს სიტყვაა საყვარელი მისი მამული.
ოდეს ლოცულობს, ჩვენ გვშორდება, მიდის მარტოკა
და ბნელს ღვიმეში შეჭლალადებს ძლიერ განგებას.
ღამეს ათენებს, დღეს აღამებს წმინდა ლოცვაში.
არ გვეუბნება ვინაობას, მხოლოდ ხანდისხან
შაირსა იტყვის: „ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარო!“
ვფიქრობ, გულს აწევს დიდი ცოდვა!

მეორე ბერი.

შენ იხსენ ღმერთო!
დიდ არს უფალი და მოწყალე!—მისთვის ვილოცოთ!
უფალი განსჯის ყოველ ცოდვილს და შეიწყალებს.

პირველი ბერი.

მაგრამ არა ჰგავს მომაკვდავსა, ღვთისგან არ რჩეულს.
დიდსულოვანმა თვისი ქცევით და აზრის სიბრძნით

მოინადირა ჩვენი გული და ყველას გვიყვარს.
 ამ ბოლო წლებში თქვენ თუ ამჩნევთ რა რიგად მოსტყდა
 ჰგავს ღრმად მოხუცსა.

(შოთას ბერები მთაწილებენ)

აგერ ძმებსა აქეთკენ მოჰყავთ!

შოთა (ბერის ტანისმოსში, მისუსტებული)
 აქ დავსხდეთ ცოტა! ლიბანიის ნიაფი მოჰქრის.

მოხუცი ბერი.

აშოთან! გვითხარ, თავს როგორ ჰგრძნობ?

შოთა.

გმადლობთ, მამაო!

დღეს თავს უკეთ ვგრძნობ, ღვთის იმედი გულს მეფინება.

სულს მწარე სევდა განეშორა მაღლის ბრძანებით.

თვალწინ მებატვის სანუკველი, ტკბილი წარსული.

ჟამი ნეტარი, — ყრმობის ჟამი — კვლავ მაგონდება... (აჰაჰაჰაჰს
 ჭრეკს და თითქოს ჰბოდავს)

ნათელის ფიქრით და ოცნებით გრძნობა მაღლდება.

აგერ ის ველი და მთა-ბარი აყვავებული,

აგერ სასახლე, სადაც ბრწყინავს დედოფლის სკიპტრა...

ხალხი ეხვევა მას გარშემო! ვაშას იძახის...

მოწყალებას სცემს დედოფალი. ნადიმს იხდიან!

„ვეფხის ტყაოსნის“ წასაკითხად მეც მიმიწვიეს.

და რად მინდოდა მე იმ ჟამად დაფნის გვირგვინი,

თუ იმავ დღიდგან დაჰკარგავდა სული მშვიდობას.

პირველი ბერი.

ჰბოდავს საბრალო!

მეორე ბერი.

ავად არის, შინ შევიყვანოთ!

შოთა.

ის, რაც არ ვიცით—არც გვაშფოთებს და თუ გავიგეთ

ნურც გადავყვებით საბოლოოდ მღვლვარე გრძნობას.

ბრალი მიუძღვის განა იმას, ვინც ავს გახარებს?

რა ჰქმნას თვით იმან, თუ სიავის მოწამე არის?

მოვიდა იგი და მახარა... (შეჰკივლებს)

მოხუცი ბერი.

იუუჩე, ძმაო!

შოთა.

ის არ მასვენებს... დაისაჯა ტყუილ-უბრალოდ...
 და მერე რისთვის... აგერ, აგერ, აჩრდილი სდგება.
 მისაყვედურებს... არა, არა! კვლავ ღმობიერად
 მიცქერის იგი... მევედრება... მაგრამ ის სისხლი...
 მაგრამ ის სისხლი!

ბერები (განცვიფრებულნი)

სისხლი! სისხლი!

შოთა.

ჰა! რაო, სისხლი?

(მუსლ-მოკვეთილი ქვაზედ დაეშვება და ძლივ გასაგანად აშბობს)
 ილოცეთ ჩემთვის, ღმერთს შესთხოვეთ ყოველად შემძლებელს,
 სული განწმინდოს, ზეცის მადლი გადმომივლინოს.

(ბერები ფსალმუნს გალობენ, ერთი ქნაჩს უკრავს, შოთა დიდხანს
 სდუმს, შემდეგ მუსლს მოიყრის და ხელის ხმით აშბობს:)

ცხოვრების გზასა შეცდომილ ვარ, ჰოი უფალო!

აღზდევ, დაიხსენ სული ჩემი მაცდურისაგან.

შიში და ძრწოლა მომიხდა მე, დამფარა ბნელმან

და ვსთქვი: ვინ მომცეს მტრედის ფრთენი, რათა აღვფრინდე

და გინვისვენო! ღმერთო! ღმერთო, შენ გესავ მარად,

გამოავლინე ზეცით მადლი და შემიწყალე,

რამეთუ გზასა ცხოვრებისას ვარ შეცდომილი!

(ბერები კვლავ განაგრძობენ გალობას. შო-
 თას ხის ქვეშ ქვაზედ მიასვენებენ, და რამ-
 დენივე ხნის შემდეგ ჩაქძინება. ერთ ბერის
 კარდა ევეჯანს გადიან. შოთა სიზმარს ჭხე-
 დავს. მშვენიერ ბაღში ახალგაზრდა, ჭაბუკი
 შოთა წელის ზირად გამჩნდება. მას გვერდით
 მშვენიერი ასული მისდევს, რომელსაც შოთა
 აღგზნებული ეაღერსება და ევაგილებს უკ-
 რეთს. ბუჩქებიდან ბუჩქებზე გადადიან. მხა-
 რულაობენ. შოთა ნახად მოჭხევეს ხელს და
 აკაცებს. შემდეგ წაიძრება ბეჭედს და სახ-
 სოვრად მისცემს. ერთს ზეხელას გამოუდგე-
 ბიან და ბუჩქებს ამოეთარებიათ. შემდეგ სცე-
 ნის სიღრმეში იგვივ ასული გამჩნდება. ჭაერ-
 ზე სდგას, სახე განათებული აქვს და ტანზე
 თეთრი, გამჭვირვალე ტანისამოსი აცვია. მკერ-
 დი გადახსნილი აქვს და გულიდან წითლად

სისხლი ჩამოსდის. ხელში სისხლიანი ხანჯა-
 ლი უჭირავს).

აჩრდილი ასულია.

მე დავიბადე ობოლ დედისგან
 და აღვიზარდე ობოლად შთენილი;
 ღამის წყვილიადში მარტო ვილოდი
 შავის ბედისგან უღვთოდ დევნილი.
 შეგხვდი მგოსანსა, ყვავილებს ვკრეფდი.
 რა გამილიმე მსწრაფლ შეგიყვარე;
 შევებით აღვსილნი ერთად ვისხედით,
 მკერდს მიმისვენე ოღნავ მორთოლვარე.
 ხანმოკლე იყო ჩვენი აღერსი,
 გრძობა იცვალა, გული აკვნესდა;
 შენ სხვასთან წახველ, კვლავ ობლდ
 დავი,
 თანამგრძობელად სულს აჩნდა სევდ
 მოველ, გახარე მწარე ამბავი,

რადგან მიყვარდი, ღმერთად გასახვდი;
ოჰ, არ ვიცოდი, თუ მახარობელს
ესრედ ძვირფასის ხელით მოჰკლავდი.

(ახრდილი ჰქრება. აღშოფთებულ შოთას
გამოედგება)

შოთა (ბერს).

თეოფან! აქ ხარ? მომიახლოვდი!

მითხარ, ხმა მაღლა რამეს ვამბობდი?

ბერი.

შფოთავდი, ძმაო!

შოთა.

ლანდი თანა მსდევს!..

სინდისსა ჰქეჯნის! აღარ მშორდება...

ვაგლახ! სიმშვიდე აქაც ვერ ვპოვე...

სივრცე უსახლგრო ჩემთვის ბნელია...

ღღემდე მოამესმის დანაცრებულს მწარე
მოთქმანი...

თუმცა ოცნებით გადავცილდი მსოფლიო
საზღვარს!

მაინც ვერ ვპოვე უნაკლო სულის
მიზანი,

შიში თანა მსდევს, შევეგუვე უკვდავ
გოდებას,

გლოვის ზეწარი გადაეკრა ჩემს ფუჰს
ცხოვრებას.

თეოფან, ჩემო! ძალა მეღევა...

ილოცონ ჩემთვის... უთხარი, მამებს...

ბერი.

აშოთან! ძმაო! რა გემართება?

მე თუ გშორდებით, თქვენთან ვტოვებ სულის სიმღერას...

ვიცი, ოდესმე განახლდება გამოძახილი.

ერთერთ მგოსანში კვლავ აღდგება ჩემი აჩრდილი

და ის მოჰპართავს დამსხვრეულ ჩანგს შენს სადიდებლად.

იქმნებ იმ ადგილს, სად სხვის უცნობლად
და ობლად ვიქმნე მე დამარხული;
ახალ ცხოვრების მომესმას ქება,
ერს უნათებდეს სხვა გაზაფხული.

შოთა.

მივდივარ სადღაც, სული ყუჩდება!
(ბერი სტიჩის)

მოდის სიკვდილი, მიახლოვდება,
მოდის და ნელა ეტლს მოაქროლებს;
ჰსურს მსხვერპლი, სასტიკს, შეუბრალებ-
ბელს...

ჩემს დაღლილ სულსა თან გაიყოლებს.
ველოდებოდი... „ვერ დაიჭირავს
სიკვდილს გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“
შემდეგ იტყვიან: სოფლად სცხოვრობდა
ოცნების შეილი, ვინმე მგოსანი.

ხან მოღიპარის, ხან მგლოვიარის
მისი „მე“ ორად განიყოფოდა;
ერთი ეტრფოდა უკვდავ მშვენებას,
მეორე მიწას არ ჰშორდებოდა.

პირველი სცოცხლობს, ვერა ჰკლავს ჟამი,
მისი სახელი არს უკვდავება;

მეორე მოსპო აღრე სიკვდილმა
და იგი მკვდრეთით ვეღარ აღდგება.

თეოფან ჩემო! აქ მომეც ქნარი,
უკანასკნელად მსურს დავამღერო;
სალამი ვუძღვნა ჩემს მშობელ მხარეს,
მას ვეთხოვები.....

(შოთას ქნას მიაწვდის. შემოდის სხვა ბე-
რებიც. ქნას უკრავს და ამბობს სიტყვებს
ნაწუგეტ-ნაწუგეტად და გაბმით.)

მშვიდობით! გტოვებ სამშობლო მხარევ!
მშვიდობით ბორცვო, მთაო, მდინარევ!

მშვიდობით ბორცვო, მთაო, მდინარევ!

იმ თავისუფალს, ტურთა განთიადს
ჩემი სიმღერა ტრფობით შეჰხვდება...

იმავ დროიდგან ძველი ქვეყანა

სულ სხვა მზის სხივით გაცისკროვნდება.

(თან ქნარა ხელიდგან გაუფარდება და მიესვენება)

მშვიდობით!... გტოვებთ... თქვენ იხარებდეთ!..

(კვდება. ბერები სტირიან. კარედ სსმგლოფიარო ზარსა ჰრეკავენ.

ბერები მუხლთ მოიყრიან და გადობენ).

ა. შანშიაშვილი.

აღამიანი

მე სილამაზე ისეთიცი მიყვარს
სამაგნეოა, არვის არგია.
მაგრამ მე მიყვარს... როცა ვუცქერი
სამუტრია, ფრიად კარგია.
იცნობთ ხომ იმათ! ვეფხვსა და ლომსა,
შეუპოვარი ორივეს ჰქვიან.—
დანავარდობენ ლერწმოვანებში,
რამდენს ცხოველს ჰკვლენ, რამდენს
სისხლს ჰღვრიან!
იმათ ხმაზედა, იმათ კვალზედა
შიშით დნებიან, ცხოველნი თრთიან.
მიყვარს არწივი ცას მონავარდე,
არც იმასა სწამს ძმობისა მცნება,
არც კარგი სული არწივის უდგია,
ბევრი ფრინველი იმისგან სწყდება...
რა მემართება! ბილწი ფიქრები
შენ გამიწმინდე, გონების კრაქო!

რასა ჰგავ ესა! მტარვალთა მტერმა
ვეფხვ-ლომის კბილი და კლანჭი ვაქო?..
მელამაზება და მიტომ ვაქებ
ვეფხვსა და ლომსა; მათთან არწივისა,
თუმც-კი ტყვისასაც არ დავარიდებ
და არ დავაცლი სროლას არვისა.
სილამაზისა კვლას, მითვისებას,
მე როდი მიშლის ბილწი ბუნება,
შაერთებული სიყვარულთანა
სისხლის მოყვარე გრძნობის ცდუნება.
ირემიც მიყვარს ყელ-ყურ ლამაზი,—
ხარი ირემი, რქა—ბუდიანი
თუ შემხვდა ტყეში, მყისვე თოფს დავ-
კრავ,
არ მეკრძალება მივცე ზიანი
ყოვლად უმანკოს და უვნებელსა.
ასეთი არის ადამიანი.

ვაჟა-ფშაველა.

ჩემს ძაღლს

ჩემო ძაღლო, ბათურ-ბათრი
პატრონისა არ გაქვს ხათრი,
რაზომ ვადმოგივდო პური,
მაინცა ხარ უმადური.

თითქოს მუდამ მეფერები,
მილაქუცებ, ტოტზე ღებები,
მიალერსებ კუდ ქიცინით
ზოგჯერ გვერდით მომიწვები.

ენას მისვამ ხშირად ყბაზე,
მარწმუნებ ერთგულობაზე,
მაგრამ ჩემო ბათურ-ბათრი
შენ უფრო გაქვს მუცლის ხათრი.

სიმინდებში ალთა-ბალთას
ვითომ ეძებ თოფის ხალთას
დასუნსულებ, იყეფები,
როცა მაგრა გამოძლები,

გაზენზილი, გაბერილი,
მოწიწებით, ცბიერ თნევით,
ჩუმად, უმად დარცხვენილი
ლაქუცით და კუდის ქნევით

თითქოს არაფრისთვის კბილი
დღეს არ დაგეკარებინოს
პატრონმა რო არ შეგიტყოს
და ურცხვად არ შეგარცხვინოს

ისევ უნამუსო პირით,
შავის გულით, თეთრის კბილით
მოხვალ ჩემთან წკმუი, გმინავ,
მაგრამ გხედავ ძლივსდა ქშინავ.

თუ მე მღუპავ და მანვლებ
რალას ერჩი მითხარ სხვასა?
ხომ იცი რომ ნახევარი
ეკუთვნის ძმა-მეგობარსა.

ღარიბებმა, უძლოურებმა
მიწა დღე და ღამე ვბარეთ,
როგორც შენაფიცმა ძმებმა
თესლი მიწას მივებარეთ,

რომ მოეცა მოსავალი
ერთი სამად ერთი ორად,
მაგრამ ავი, მუცელ მყრალი
გადაიქეც შენ ჩვენ ღორად.

თუ არა გწამს ამხანაგი
და მხოლოდ შენს ჯურდანს ჰმატებ,
მე არა ვარ შენებრ შმაგი,
ამხანავს ვერ უღალატებ!..

ჯავრისაგან ბათურ-ბათრი
ნუ მომკალი, ნუ დამცალე,
თუ გაქვს კიდევ ცოტა ხათრი
აღე საღმე გამეცალე.

თორემ ტყვიას, იმ ავეყის
რომ უმზადებს თოფის ხალთას,
აბუჩად ნუ იგდებ ძიას
გამოგაკრავს როგორც ბალთას.

ბათურ-ბათრი უმადურო
მე აღარას დამენდურო,
შენის ნებით გიჯობს წასვლა
აღარა მსურს მემსახურო.

შიო მღვიმელი.



სიცოცხლის საგალობელი

(ლანგუელისეური)

ნუ გგონია, რომ სიცოცხლე
იყოს მხოლოდ ფუჭი ძილი,
ან ოცნება, ან ხუმრობა,
ან სიცრუვე და წუხილი.
სოფლად ყოველს, რაც ღვთაებამ
სასიცოცხლოდ მოაგვლინა,
საიდუმლო ჰაზრი მისცა
და მიზანიც გაუჩინა.
სიცოცხლესა საგნად არ აქვს
სიკვდილი და განქარვება,
არც წყვილიადი საფლავისა,
მის წიაღში დამიწება...
მართალია, რომ ხრწნილება
მოსპობს სხეულს დამარხულსა,
მაგრამ იგი ვერ დააკლებს
ვერაფერსა უკვდავს სულსა.
ღვთისგან ყოველს ადამიანს
აქვს საგანი დასახული:
სიყვარული სიკეთისა,
შრომით დაგვირგვინებული,
ფუჭ ოცნების უკუგდება,
მუშაობა გონიერული,
წინსვლა მტკიცე ნაბიჯითა,
სიმხნით გაორკეცებული.
მაშ გასწი წინ! ნუ შედრკება,
ბევრი არის საქმე სოფლად;
დროება კი ცვალებადი
მიფრინდება შეუმჩნევლად.
თუმც ჯერ კიდევ თამამად სძგერს
საცოდავი ჩვენი გული,
მაგრამ თან გრძნობს, რომ დადგება
მალე მისი აღსასრული.
სოფლად ვსცხოვრობთ ბანაკებში,
ქვეყანაა ბრძოლის ველი:

მაშ ბრძოდე ბედს შეუდრეკლად
და სიმართლის იყავ მცველი.
ყმასა მუნჯსა არ ემსგავსო,
არც პირუტყვისა ქედ მოხრილსა,
და ნეტავ შენ, თუ იგემებ
სიმართლისთვის შავს სიკვდილსა!
უკუაგდე მომავალზე
ოცნებობა სანატრელი
და წარსულიც დაე იყოს
მიცვლილების დამმარხველი.
აწმყო დრო მრწამს, მხოლოდ ის მრწამს,
იმას შევეტრფი, ისა მჯერა!..
იგი არის გულწრფელ მებრძოლთ
საგანი და ბედის წერა.
აკი მისთვის თავსა სწირავს
თვითეული იმათგანი,
და სხვა მათთვის არ არსებობს
სანუკვარი რამ საგანი.
მათი ღვაწლი და სიცოცხლე
ყველას იმას გვიკარნახებს,
რომ სიმართლე დღეს თუ არ ხვალ
საბოლოოდ გაიმარჯვებს.
და როდესაც გადვიცვლებით
ჩვენ დავტოვებთ ბრწყინვალე კვალს
და ჩვენს სახელს უკვდავ სხივით
გუანდერძებთ დროს მომავალს.
შესაძლოა, რომ ოდესმე
მოყვასი გზა დაბნეული,
ცხოვრების მძაფრ ტალღებისგან
დაღლილი და დაქანცული,
ნახავს იმ კვალს და იმითი
მიაგნებს გზას მივიწყებულს,
და სიმხნე რამ საარაკო
გაუშუქებს მას სულს და გულს.

მაშ ზე აღესდგეთ, გამოვეფხიზლდეთ,
 მუშაობას მივყოთ ხელი,
 შევაჩვენოთ მცონარება,
 ჩვენი დამცემ-დამლუპველი.
 დაე ჩვენს სულს თავის საგნად
 ერთი წმინდა ზრუნვა ჰქონდეს,
 მას უკმევდეს იგი გუნდრუქს,

და მხოლოდ მას უგალობდეს,
 რომ სიმართლემ სძლიოს სოფლად
 წყეულს უსამართლოებას
 და სიკეთემ კურთხეულმა
 შეჩვენებულს ბოროტებას.

ი. ფერაძე.

წ უ ხ ი ლ ი

რა კარგი იყო, რა კეკლუცი წელს გაზაფხული,
 დრო კდებამოსილ ყვაფილების პაემანისა,
 მუნ გაეტურფა სინაზესა უცხო ქალწული
 ჯავარ-აყრილი, ლერწამივით სარო ტანისა.
 მის ვარდით ბუჩქთა ამშვენებდა ბროლის კბილთ ელვა
 ნარგიზთა - „ჩრდილი დაწყობილი ყორნისა ფრთათა“;
 მის კოკობ მკერდზე ფრთასა ჰშლიდა ვნებათა ღელვა,
 გიჟი ოცნება კისკასებდა მეშვიდე ცათა.
 მეცა ჭაბუკი, სიყრმის ვარდათ გადაფურჩქნული,
 იმათთან ერთად ვნეტარებდი, ვმართავდი ნადიმს,
 მზის სხივების მსგავს სიმებითა ჩანგ-მომართული
 ნაკადულებათ ცათ ვგზავნიდი ოცნებისა ჰიმნს.
 გაჰქრა იგი დრო, ვით ბედკრული მგონის სიზმარი
 გლოვისა ხუნდით შეიმოსა ტურფა ედემი,
 ეოლის ჩანგზე უგრძობესი დაიმსხვრა ქნარი,
 ცრემლთა ტბაზედა ასრიალდა კაეშნის გემი.
 უცხო ქალწული სიკვდილისა ბადემ გასწურა
 სხივ მოცინარე რიჟრაჟსა რომ შუქსა სტაცებდა,
 დავკარგე იგი, ვინც ჰანგი ნიავს ვითარც შუქურა,
 თვალ-შეუვალსა კის სივრცეში აკისკასებდა.
 გაჰქრა ყოველი, გაბედითდა გულის სიმღერა,
 მკვდარ ოცნებასა აღმა-ფრენა თავს დაჰქვეითინებს;
 გასისხლ-მდინარდა სევდის ცრემლი, დაბინდდა მზერა,
 სევდა ფრთას სწურავს პარტახ ბალში... სევდა სისინებს...

დ. თურდოსპირელი.

გოღება

შვი მწუხარე,
ცრემლი ვღვარე,
სევდა მწარე
არ მშორდება;
მუდამ ვსტირი...
სტუმარ-ხშირი
შავი ჭირი
გარს მევლება!
ავი სული
მამცნობს კრული,
რომ უფსკრული
ახლოვდება,—
ხან ხითხითებს,
მილიტინებს...
ხან ამ სიტყვებს
მეუბნება:

—
გამოიგლოვე ქვეყანა
მტანჯავი, დაუნდობელი,
ობოლს, მაშვრალს და ლატაკსა
ცრემლი სდის შეუშრობელი:
შემოსჩვევია სამშობლოს
დამქცევი, დამამხობელი, —
ირწმუნე ესე ყოველი
ვარ მე მართლისა მთხრობელი!

* *
მჯერა და მრწამს,
რომ ყოველ წამს
გულს მიღრღნის, სკამს
მატლი მწარე!
სატრფო არ მცნობს,
მტრობას მამცნობს,
მსჯის, მღალატობს,
ვარ მწუხარე!
სული მიწუხს,
გული მიქუხს,
ცრემლი მიდუღს,—
მრავლად ვღვარე...
მეჩვენება
სიკვდილ-ვნება,
არ მშორდება
სევდა მწარე! —

—
რადგანაც ესე სოფელი
შავ-სამეფოთა ქცეულა,
შვილი სამშობლოს ერთგული
იუდათ გადაქცეულა;
ნამდვილ გამირთავან ბრძოლაში
თუმც ძველად სისხლი ნთხეულა,
მაგრამ დღეს ძველი წარსულის
უწყალოთავან მსხვრეულა!
ლადო გეგმქკარი.

საბაჰის ამონაპნასი

დაჰბერე ქარო, მოიქუშე ცავ,
მეხო დაეცი დედა-მიწასა
მირეგვ-მორეგვე სუყველაფერი,
რაც ფასს ამცირებს სიცოცხლისასა!

გაჰკარი ელვავ, გააპე ზეცა,
მასმინე ჭეჭა,—გრგვინვა-ქუხილი,
რომ შევუერთდე იმ ხმებსა მეცა
და გავიქარვო გულის წუხილი!..
ს. აბულაძე.

„ახალი ქართლის“ შეილები.

„მ ა მ ა ც ი“

(დახსნათება)

III

ძველს საბერძნეთში—ამ კლასიკურ და უღრმესად გათვითცნობიერებულს ქვეყანაში—სიმამაცე სათნოებად იყო აღსარებული. სიმშვენიერე, სიბრძნე და სიმამაცე—აი რას აღმერთებდა, აი რა მიაჩნდა ძველს ელლინს სიცოცხლის და ადამიანის დამამშვენიებლად!

მართლაც, ვის არ აუტოკებს გულს, ვის არ გააკვირვებს და არ აღაგზნებს ნამდვილი, მტკიცე, მუდმივი სიმამაცე? ძველი ელლინი უმთავრესად მიწის შვილი იყო, მას ბუნებასთან, ხორცთან, სხეულთან ჰქონდა საქმე; ამათ ამშვენიერებდა, აფაქიზებდა, ახეციურებდა, თითქმის სულადაც გადაჰქმნიდა ხოლმე. მკვიდრი და მტკიცე პოლიტიკური წესწყობილების შექმნაში, ძლიერი და გონიერი მართვა-გამგეობის დამკვიდრებაში, მოწინააღმდეგე და მტრულად გადაკიდებულ მეზობელ ერთა დამორჩილებაში, ჯერ უცნობ ქვეყნების აღმოჩენაში, მეცნიერების კვლევა-ძიებაშიაც კი რა იყო უფრო საჭირო ელლინთათვის, თუ არ ვაჟაკური, თავ-გამოდებული; შეურყვევლი და მტკიცე მოქმედება და მოღვაწეობა, ე. ი. თუ არ სიმამაცე?

საქრისტიანო მოძღვრების დამკვიდრების და გამეფების შემდეგაც, როდესაც სულ სხვა ხასიათისა და რიგის სათნოებები იყო აღსარებული, როდესაც ყველაფერს, რასაც ხორცადი და მიწიერი

ბეჭედი აჩის, ფასი შეუმცირდა და შარავანდელი მოეხსნა,—ასეთს დროსაც კი ადამიანის ბუნება, თუ ოფიციალურად არა, სულის სიღრმეში მაინც სასიქადულო თვისებად სთვლის სიმამაცეს. ვინ არ იცის, რომ ყოველი ერი, რა განათლების საფეხურზედაც იდგეს იგი, ყოველთვის და ყოველგან ცხოვრებაში გმირს დაედებს და, თუ სინამდვილეში ასეთი ვერ იპოვნა, ოცნება და ფანტაზიით მაინც ჰქმნის მას; ასულდგმულებს ამ სახეს, საუკეთესო ფიზიკურ და ზნეობრივ თვისებებით ამკობს და ამ შემქმნელ სახით, როგორც ვითომც ყოფილ სასიქადულო გმირით, ამაყობს, მხნეობს, თავის თავის და სამშობლოს სიყვარულს აღრმავეს და აფაქიზებს.

თუმცა ქართველებს თვის წარსულ ისტორიულ ცხოვრებაში ბევრი ნამდვილი, ისტორიული გმირი ჰყოლია—და აკი ამისათვის გმირთა აკლდამად ითვლება საქართველო,—მაგრამ მაინც ჩვენი ხალხის ფანტაზიამაც შეჰქმნა საქები და საამაყო გმირი, ან გმირთა-გმირი—ამირანი და მასში გაახორციელა საუკეთესო თვისი გონებრივ-ზნეობრივი და ფიზიკური თვისებები...

ბევრი „საქმენი საგმირონი“ გაუკეთებიათ ჩვენს მამა-პაპათ! თვისი „გმირობის“ და საოცნებო სიმამაცის მეოხებით მათ შექმნეს შედარებით ძლიერი მოქალაქობრივი და ეროვნული ცხოვრება,



ეკკლესია, ლიტერატურა... სხვა ერი, ჩვენს ბედში მყოფი, ჩვენსავით ყვაყვარანთა საწიწკნელად გამხდარი, ირგვლივ დაუძინებელ მტრებით გარშემორტყმული, აუცილებლად გაითქვიფებოდა, ჩაინთქებოდა და სამუდამოდ გაჰქრებოდა ისტორიულ სცენიდან. ქართველობა კი,—თუმცა მრავალ გზივ იწამა და იტანჯა,—ამ გაქრობას გადაარჩინა მისმა ეროვნულმა თვისებებმა, სხვათა შორის, სიმამაცემ, ვაჟაკობამ, გმირობამ...

მაგრამ, ვინ არ იცის, რომ არაფერი არ არის ამ ქვეყანაზე უცვლელი და სამუდამო. იცვლება დრო, ჟამი; იცვლება ერთა ცხოვრება, მათი ბედი და იღბალი. გუშინდელი ძლიერი, მრისხანე სახელმწიფო, რომლის წინაშე ძრწოდა მთელი კაცობრიობა, დღეს თითონ ხდება ფეხთა მტვერი, მონა-მორჩილი ველურ ურდოთა. გუშინდელი კულტურული ერი, რომელიც სწავლა-მეცნიერების სხივს ჰყენდა და ბელადობდა მთელს კაცობრიობას, დღეს ჩამორჩენილა, თითქმის გავლურებულა. ისტორიამ იცის ისეთი ფაქტები და მოვლენებიც, როდესაც დროს განმავლობაში არამც თუ შეცვლილა გარეგანი ფორმა და მდგომარეობა რომლისამე ერის ცხოვრებისა, არამედ შეცვლილა მისი სულიერი თვისებებიც, მთელი მისი ფსიხიკა. კლასიკურ მაგალითს ასეთის რადიკალურის ცვლილებისას წარმოადგენენ ოდესღაც მიწის მუშა, მხნე, მამაცი და გულადი ებრაელები. გაიხსენეთ მათი საამაყო გმირებობები მაკაბელები, სვიმონი დიდი და სხვები. ისედაც, რაც შეეფერება პატარა ერს, მათ ისტორიაშიც ჩვენ არა ერთს და ორს „საგმირო საქმეებს“ ვხედავთ. ეხლა კი ყველამ ვიცით, თუ როგორ შეიცვალა მთელი ფსიხიკა ებრაელთა...

ჩვენს ცხოვრებაშიაც ბევრს ასეთს სიმპტომებს ვხედავთ, რომელიც ჰმოწმობს, რომ ჩვენს ფსახიკაშიაც სწარმოებს მსწრაფი პროცესი გადაგვარება-გადაქმნისა.


რანი ვიყავით და რანი ვართ დღეს?

როგორც სახელმწიფო, საქართველო არ ყოფილა ბუმბერაზი, თვალ გადუწვდენელი; მის წინ მუხლს არ იყრიდა კაცობრიობა. კულტურის მხრითაც ქართველთა ჭკვა-გონებას ბევრი არ შეუქმნია რა თვალწარმტაცი, სამარადისო, საკაცობრიო, ყველასათვის სათაყვანო...

მაგრამ, როგორც ერის, ქართველობის ღირსებას შეადგენდნენ მისი რაინდული თვისებანი: სიმამაცე, სიმტკიცე, ქვიტკირივით „ჭირსა შინა გამაგრება“, გულადობა, სამშობლოს სიყვარული, მამული-შვილობა, პირიანობა, ადამიანური თავმოყვარეობა, მისწრაფება თავისუფლები-საკენ, ზრდილობა. ამ თვისებების სიძლიერით და სიღრმით ქართველობა, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ არც ერთს ისტორიულს ერს არამც თუ ჩამოურჩებოდა, ბევრს წინაც უსწრობდა, კერძოდ, ქართველების სიმამაცე ყველგან და ყოველთვის ცნობილ, და აღსარებული იყო. ამას ისტორია გვიმტკიცებს, ხალხის შემოქმედება გადმოგვცემს; ამას სხვა ხალხთა თქმულებანიც მოწმობენ...

დღეს?.. დღეს, როგორც ამას წინედაც მოგახსენეთ, ჩვენში სუყველა ფერ უკუღმა ტრიალებს: დღეს ქართველ ერში ნამდვილი, შეგნებული და აზრიანი სიმამაცე თითქმის გაჰქრა და იშვიათი მოვლენაა.

ვერც ერთს სფეროში ჩვენ სიმტკიცეს, გაბედულობას, აზრიან სიმამაცეს ვერ ვიჩენთ. ავფეთქლებით, ავბილბილფებით, მივეჭრ-მოვეჭრებით აქეთ იქით, ტრადიკულ გამომეტყველებას მივიღებთ და...



უცხად მოვლუნდებით, ყურებს ჩამოვყრით, დაფწყნარდებით და მონურადაც თავს დავხრით. ერთი სერიოზული დაბრკოლება, რამდენიმე ხნით ტანჯვა, განსაცდელი... და ჰქრება, ქარს მიაქვს ჩვენი მისწრაფება, ჩვენი იდეალი. საზოგადო საქმეში, დამაბრკოლებელ გარემოებასთან ბრძოლაში ჩვენ ვერავითარ სიმტკიცეს, შეუღრეკლობას, სიმამაცეს ვერ ვიჩენთ...

შინაურობაში კი მოგეცეთ სიცოცხლე, ჩვენ რომ მამაცი ვიყოთ! მეზობელი მეზობელს, ძმა ძმას მოსვენებას არ აძლევს.

აი, სოფელში მეზობელმა მეზობელს გაურღვია ღამით ღობე და პურის ან სიმინდის ყანაში შერეკა საქონელი მოსავლის გასანადგურებლად. ჩვენებს ეს სიმამაცე ჰგონიათ!

შეუსწრო ვინმემ თავის ყანაში, ან ეზოში შემთხვევით საქონელს, გაბრაზდა, საქონელს სული გააფრთხობინა... ჩვენში ესეც სიმამაცე ჰგონიათ!

გაუტეხა მეზობელს ვინმემ სახლი, გამოიყვანა ცხენი ან ხარები და ქურდბაცაცებს ორ გროზად მიჰყიდა... ასეთი საქმის ჩამდენს გმირად წარმოუდგენია თავი! ორიოდ ადლი მიწისათვის, ან სამანისთვის ასტყდება ჩვენში ერთი დავიდარაბა, აყალ-მაყალი, ჩხუბი; დატრიალდება თოფ-ხანჯლით, კეტით... დასასრულ, ერთის მხრით მკვდრები და დაჩეხილნი, მეორის მხრით — ციხე, გადასახლება, კატორღა. ბევრს ჩვენში ესეც სიმამაცეთ დაუსახავს!

გაიღეშა ჩვენებურ ქორწილ-წვეულეებში ვინმე ღვინით: ღრიალებს, ჩხუბობს, ბოთლებს და თეფშებს ისვრის... და ამისთანა მდგომარეობაში თუ ვინმემ შეჰკადრა რამე, ან წინედ ჯავრი სჭირდა ვისმესი, ერთს თვალის დახამხამებაში მას გულს გაუგმირავს, მუცელში ხანჯალს

ჩაჰკრავს. ზოგიერთი ამასაც სიმამაცედ სთვლის!

სხვა და სხვა ხრიკებით, მოტყუებით, მოსყიდვით დაამარცხა ვინმემ, ვითომდა საზოგადო მოღვაწემ, თვისი მოწინააღმდეგე, მიადწია თვითონ საწადელს, გაბატონდა, ხელში ჩაიგდო მოსათლელი დუმა... ეს ვაჟბატონი ყოყოჩობს, იჭიმება, და თავი შეუდარებელ მამაცად მოაქვს. და ჩვენც ასეთი გვეგონია.

დასმენით, სხვა და სხვა ხრიკებით გააუბედურა ვინმე თვისი მოწინააღმდეგე. ადგილი დაუკარგა, მისი ცოლშვილი უმწეოდ დაჰყარა, მოწინააღმდეგეს უცხოეთშიაც ამოაყოფინა თავი. გამარჯვებული ლაღობს, თავი გმირად მოაქვს, თვისი სიმამაცის ამბავს თანამოაზრეებს და სხვებსაც სიცილ-ხარხარით მოუთხრობს. ესეც მისა და მისივე ჯურის ხალხის თვალში (სამწუხაროდ ასეთები ჩვენში ბლომადაა), რასაკვირველია, მამაცია!

ჩვენში თავისიან მღვდელმთავარს აუხირდა ვინმე მღვდელი, ან ბერი, მხოლოდ იმისთვის, რომ სხვას რამეში უპირატესობა მისცა, საპატიო ადგილზე, როგორც უღირსი, არ წამოასკუბა. მღვდელი, ან ბერი საჩივარს აცხობს, პირდათაც სცდილობს, ვისთანაც ჯერ არს, თავი ანგელოზად გამოიყვანოს, სიმართლისათვის და რწმენისათვის ღვენილ და ტანჯულად მოაჩვენოს თავი და ამისთანავე უფროსზედაც სიტყვა გადუქრას და, თუ გარემოებამ მოითხოვა, ბევრიც ილაპარაკოს მასზე ტყუილი.

ხშირად ასეთნი პირნი იმარჯვებენ, მიზანს აღწევენ, თანაც ბაქი-ბუქობენ და თავმომწონედ ამბობენ: „გაბედულობით სიმამაცით მოვიგე საქმეო“.

ჩვეულებრივ დამოკიდებულებაში რომლისამე ფრთხალის, ქვემძრომის და



მოღჩალინების ზნეობრივ თვისებებით შემკულის „ცნობილი“ სულიერი მწყემსის, უცხოებში ამადლებული ხმა, დამოუკიდებელი მსჯელობა-შეხედულობა და სამართლიანი საქმისთვის გულის წყრომა არავის სმენია და გაუგონია, რომელიც „ქკვიანობს“, „ქკვიანობს“ უკიდურესობამდის ყველგან და ყველას წინ,—ასეთი მწყემსი თავისიან უფროსთან ამეტყველდება, გაბედულობას იჩენს, სიტყვას პირში აწყვეტინებს და ხშირად ხეპრულადაც შეუყვირებს ხოლმე. მომწყინდა, ბატონებო, ამდენი სიჩუმე, უმეტესელობა, მონური თავდაქერა, ორჯოფობა; იმასაც უნდა ერთს წუთში მაინც თავი იგრძნოს ადამიანად. და ასეთს წუთს თავისიანის უფროსის აბუჩად აგდებას ანდომებს! ესეც ხომ ჩვენებური ქართველური სიმამაცვა?

აი ვინმემ, ვითომც პუბლიცისტიკრიტიკოსმა, ჩაასო კბილი ერისაგან პატივცემულს და საამაყო მწერალს და მოღვაწეს: წაღმა-უკუღმა აგინებს მას, მიწასთან ასწორებს მის ნაღვაწს, ნაშრომს, თვით შემოქმედებასაც, ჩანგსაც ურცხვენს და ბოლოს, ხალხის მტრადაც გამოჰყავს... უგუნურებას, სიბნელეს მართლა სჯერა ასეთი ბრალდება და მხეცურად ჯავრს იყრის მასზე.

ზოგიერთს შუბლ-გადარეცხილს ესეც სიმამაცეთ მიაჩნია!

ჰაეროსტრატები ხომ, ბერძნებს გარ-

და, სხვა ერთაც ჰყავთ. ქართველი ჰაეროსტრატი ხუროთ მოძღვრების რომლისამე შესანიშნავ ნაშთის დაცვის მაგიერ ცდილობს დასწვას ქართული გენიის ნაყოფი, ან მთელი ქართველთა კულტურული ცხოვრება. როდის ჰქონდათ ქართველებს ოქროს ხანა? ან როდის ჰქონიათ მათ მძლავრი მეფობა?... „ვეფხვის ტყაოსანი“ თარგმანია, ვახტანგ გორგასლანი—მითი, ნინო, ქართველთა განმანათლებელი, მხოლოდ ქართველთა ფანტაზიის ნაყოფია!.. ამყად, თამამად გაიძახიან ჩვენი ჰაეროსტრატები, ლექციებს კითხულობენ, გამოკვლევებს სწერენ... და თავი მეცნიერების ქურუმებად წარმოუდგენიათ. აქაც ჩვენებური, ქართველური მამაცობა გამოსჩანს!..

ეჰ, აბა ვინ მოსთვლის სად და როგორ იჩენს დღევანდელი ქართველი მამაცობას! ის მამაცობს ცოლ-შვილში, მამაცობს მშობლებ-ნათესავებში, თანამოძმეებში; მამაცობს ქორწილში, მამაცობს პრესაში, მამაცობს მეცნიერებაში, ერთის სიტყვით მამაცობს იქ, სადაც მისი მამაცობა სიმბდალენზე უარესი და საზიზღარია და მხდალობს, მონობას იჩენს იქ, სადაც კი მართლაც ნამდვილი ძველებური ქართული სიმამაცვა საჭირო და სანატრელი. ღმერთო! როდის მოეღება ბოლო ასეთს უკულმართობას?!

იპ. ვართავავა.

კურთხევის დაბეჭდვის გამო

ბ.ბ. კეთილის მოსურნის, ალ. ხახანაშვილის და სხ. წერილების პასუხად

შპს წლის „განათლების“ ზირველ ნომერში მოთავსებულია ბ. კეთილის მოსურნის „ორიოდე სიტუვა ახლად დასაბეჭდად დამზადებულს კურთხევანზედ“, რომლის შინაარსი გადაუბეჭდა ბ. ალ. წერეთელს „სახალხო გაზეთის“ მე-502 ნომერში. შეეხება რა შემასწორებელი კომიტეტის „რა სასურველ და საეჭვო“ მოქმედებას, ავტორი ასე ახილავს თავის შენიშვნას: „საჭიროა დროზედ იქმნას გამორკვეული, რა აძიებებს კომიტეტს შესწავლას ძველი ტექსტი, რით ხელმძღვანელობს ამ ცვლილებაში და რომელი დედანი აქვთ მიღებული საფუძვლად თქმის და შინაარსის გადასაკეთებლად“. კომიტეტი სიხუმით აუვლიდა გვერდს ნიღაბიან ავტორს, მაგრამ რაი გარემოება აძიებებს მას „ადაღოს ზირი თვისი“. დასხვებული „ორიოდე სიტუვის“ შემდეგ „განათლების“ იმავე ნომერში მოთავსებულია ბ. ალ. ხახანაშვილის სტატია—„ქართული სამღვთო წერილის შესახებ“, რომელიც შინაარსით იმოდენად ენათესავება ბ. კეთილის-მოსურნის წერილსა, რომ შესამჩნევად უმაგრებს მას ზურგს.—საჭიროდ მივიჩნეოთ ამის გამო კეთილის-მოსურნის სიტუვას ანგარიში გაუწიოთ, რათა შეწინა-რებული არ იქმნას მარტო მისთვის, რომ ზურგ გამაგრებულია ცნობილი პრეფესორის მიერ. მეორე, — კომიტეტის ნაშრომი ჯერ არ დაბეჭდილა და არც უნდა ჰქონდეს ნახული არავის მათ გარდა, ვისაც ნება მიუცია თავისი თავისათვის ხელი შეეხა სხვისი საკარქტურა რეუელისათვის ავტორის დაუკითხვად, მაგრამ საზოგადოებაში გაისმა

შინც იმგვარივე მითქმა-მოთქმა კომიტეტის „საეჭვო“ მოქმედების გამო, რის ნიმუშსაც ვკითხულობთ „განათლების“ აღნიშნულ ნომერში. ეს ამბავიც გვაიძულებს მსახური გავსცეთ იმ ზირთ, რომელნიც სხვა და სხვა მოსახრებით გუფმოდგინედ „ამღვრევენ წყალს“...

ვიდრე კეთილის-მოსურნის კრიტიკის ნიმუშს განვიხილავდეთ, რამდენიმე პრინციპიული მოსახრება უნდა გამოვსთქვათ თვით საეკლესიო წიგნების შესწორების გამო.

კომიტეტი ისეთ საქმეს ეწევა, რომლის ჯეროვანი დაფასება და ავგარგანობის შეგნება შესაძლავს მხოლოდ იმ პირთათვის, რომელთაც 1) იციან ეკლესია და მისი ვითარება, 2) გაეგებათ—რა არის დოღმატი და რა არის კულტი, 3) ისტორიულად შეუგნათ ღვთის-მისახურება, 4) შეუსწავლიათ ქართული და სხვა ქრისტიან ერთა სალიტურგიკო მწერლობა და 5) შეუთვისებიათ ქართულ ხელთნაწერების სული და სტილი. ამის გამო ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ღირსების უნდა იყოს იმ ადამიანის კრიტიკა, რომლის უმწვერვალეს კრიტიკიუმს შეადგენს მხოლოდ „ურის შეხვევა“ იმისა, რასაც უაზროდ გაჭიკვის ეკლესიაში წიგნ-კითხვის ნახევრად მცოდნე მეღვთის; იმ ადამიანისა, რომელსაც ვერ გაურჩევია საეკლესიო წიგნი საღმრთო წიგნი და კურთხევანს, მაგალითად, საღმრთო წერილის წიგნს უწოდებს? ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ადვიაროთ, რომ, თუმცა ბევრს თავმომწონებით ღ განათლებულ ხალხებთანაც მოგვაქვს თავი, მაგრამ, როგორც საქმით სჩანს, ეხლაც იმავე საფეხურზედ



ვეფოფილვარტ, რომელზედაც იდგა რუსეთი მუხილმეტე საუკუნეში, რომელსაც ეგრედ წოდებულთ „რასკოლნიკთა“ მეთაურები ფანტიკურად გაიძახადნენ: „ДО НАСЪ ПОЛОЖЕНО, ЛЕЖИ ОНО ТАКЪ ВО ВЪКИ ВЪКОВЪ; ПРАВОСЛАВНЫМЪ НАДО ПОМЕРЕТЬ ЗА ОДИНЪ АЗЪ“. ამას დადადებს ბ. კეთილის-მოსურნი: „ჩვენ წინაშეს ათასი წელიწადი მეტი ჭქანათ ნათარგმნი სამღვთო წერილი“, რომელსაც ეხლა „ურჩუფოფს“ კომიტეტი. ამასვე იმეორებს თვით ზროფესორის სანტიმენტალური წერილი: „თავ-გამოდებით ღირსია დავიცვათ ძველად ნათარგმნი სამღვთო წერილი, რათა ისტორიული კავშირი არ მოისხოს ჩვენსა და ჩვენს წინაშართა შორის“. რა განსხვავებაა ამათ და „ზროტონზ ავვაკუმ“, „ზონ ლახარე“ და „ნიკიტა ზუსტოსვიატ“-ის შორის, რომელიც სწორედ ასე გაიძახადნენ? მხოლოდ ის, რომ ჯერ ჩვენი „ზუსტოსვიატები“ არ კასულან კერუენის და ბრიანის დაბურულს ტუეებში, რომ იქ, ანტიქრისტეს მოღვდინში, საეკლესიო წიგნების შესწორებით გარბაზებულნი და ჭკუაზედ შეშლილნი, ცეცხლის მორკეში შესწურდნენ!...

რომ სიტუვა არ გავვიგორქედეს, ჩვენის აზრით, საკითხი ასე უნდა დაისვას:


საჭირო და შესაძლებელია, თუ არა ქართულ ღვთის-მსახურების წიგნების შესწორება? თუ ეს საჭირო და შესაძლებელია, რა უნდა შესწორდეს ამ წიგნებში? რა და რა წვარო უნდა გაიხადონ ხელმძღვანელად შემასწორებლებმა?

I.

1. გადაიკითხეთ ზემო დასახელებული სტატიები „განათლების“ და „სახალხო გაზეთისა“, უური დაუგდეთ „ზუსტოსვიატების“ განგაშს, რომელიც გაისმის სსზოგადოებაში, და თქვენ გამოიტანთ შემდეგ შთაბეჭდილებას:

ბას: ათასი წლის წინ ჩვენ ღმერთ-შემოსილ მამებს საუცხოო და შეუდარებელი უნით უთარგმნათ საეკლესიო წიგნები, რომელნიც ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელის შემდეგ მტკიცედ და შეურყეველად შეუნახავთ ჩვენ წინაშეს. ვინ გამოდგება ჩვენ დროში ისეთი თავხედი, რომელმაც ხელი მიჭყოს მათ შესწორებას და გადაკეთებას? ეს ხომ უარყოფას საქართველოს ეკლესიის მიერ ძველი დროითგან მიღებულ დედნისა, ეს ხომ მისზობაა იმ ისტორიულ კავშირისა, რომელიც გვაერთებს ჩვენს წინაშრებთან! ერთი სიტუვით, ასეთი შესწორება შეუძლებელია, ეს ის სისიკვდინე ცოდვას, რომელიც არც სსაქოს და არც სსიქიოს არ ეზატეება იმის ჩამდენსა.

აი, აქეთგან ნათლად სჩანს, თუ რამდენად მოკლებულნი არიან ჩვენი დროის „ზუსტოსვიატები“ ისტორიულ თვალსაზრისს საეკლესიო და საღიბურგიკო საკითხთა გამარკვევაში; მათის აზრით კულტი ისევ ის დოდმატია, რომელიც ცვალებადობის კანონის გარეშე სდგას, მათ არ იციან, რომ მართლ-მადიდებელი ეკლესია სრულიადაც არ უარ-ჭუფოფს ლიტურგიულ განვითარებას, ზირიქით, ღვთისმსახურების ისტორია წარმოადგენს განუწყვეტელ ევოლიუციონურ ძაფს, რომელიც გაბმულია მოციქულთა საუკუნის და ჩვენ დროთა შორის. ეს რომ ასე არ იფოს, ისტორიაში ხომ ადგილი არ ექმნებოდათ ძველ იერუსალიმის, სზონდიელთა მონასტრის, სოფიას წმიდის, სტოდელთა მონასტრის, მთაწმიდელთა და სზა წმიდის ტიბიკონებს, რომელნიც თავიანთ ელიფერს აძლეუდნენ ღვთის-მსახურებას, შესაფერ წესებს თხზვიდნენ, თავისებურ ფალობში ასხამდნენ საეკლესიო წიგნებს! მეცნიერებაში უძველესად მიჩნეული, ეგრედ წოდებული, ბარბერინის ევსოლოგიონი რომ გადაათვლიეროთ, დანახავთ, ის წესები, რომელიცაა ჯეროვნად აღსრულებას ეხლა სსა-




ათობით უნდა დრო, იქ განისაზღვრება მხოლოდ რამდენიმე ღონისძიებით. გადასინჯეთ ბერძნული, სლავიანური და ქართული სხვა და სხვა დროის სალიტურგიკო ხელთნაწერები და თქვენ დაინახავთ, რომ მათში დაცული წესგანგებანი იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთში შინაარსითაც და ენითაც, რომ მათი კლასიფიკაციაც კი შეუძლებელია.

შორს ნუ წავალთ, ავიდეთ, თუ გნებავთ, ჩვენი კურთხევანი. ჯერ ისევ ზალესტინაში ნათარგმნი, შესცვალეს სინას მთის ქართულიებმა, სინას რედაქციის შესცვალა ექვთიმე მთაწმინდელმა, ექვთიმესი გიორგიმ. მართალია, უკანასკნელმა შეუდარებელი ერთ სთარგმნა ეს წიგნი, მართალია ისიც, რომ რუსურბნისის კრებამ დაადგინა—„ღვთის მსახურება ეგრედ აღესრულებოდეს, ვითარცა ახლათა შინა კურთხევათა ნეტარებით მოხსენებულისა მამისა გიორგი მთაწმინდელისათა დაწერილ არს“—, მაგრამ ქართული კურთხევის განვითარება ამ საფეხურზე არ შეჩერებულა: ჯერ ერთი, ეს „საუცხოო ენა“ დროთა ვითარებამ და გადაწვერთა უმეტრებამ „საუცხოოდ“ დაამახინჯა, მეორე, — გიორგის შემდეგ კურთხევის შინაარსი ეკლესიამ შესამჩნევად შესცვალა: ზოგიერთი წესი სმარებაში განდევნილ იქნა, ზოგიერთი რედაქციის მხრივ შეიცვალა, ზოგი ახალი წესი შემოვიდა, ასე რომ მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს გიორგის კურთხევის შერჩა მხოლოდ ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა; ამიტომ 1306 წელს გამოდის ახალი რედაქცია ქართული კურთხევისა, რომელმაც, სხვა და სხვა ვარიანტებით, მოაწია მეთაფრებელ საუკუნის დამდეგამდე. მეთორმეტე საუკუნეში ესეც დაძველებული აღმოჩნდა და, დომენტი კათალიკოსის (1705—1724) მინდობილებით და ღონისძიებით, კვიპრიანე სამთავროში სელახლად სთარგმნა ბერძნულისაგან ეს წიგნი. ამისათვის, სსსტ-

კად სცდება ბ. ხახანაშვილი, რომელსაც წარმოუხერხებლად ამტკიცებს, რომ „ის ღონისძიება, რომელიც ათასი წლის წინათ გაიმოდდა ქართულ ეკლესიის ბაგეთაგან, შეგვჩნდა აქამდის და მეორე საუკუნის მოწმუნე ხდება დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის თანამედროვე“; ჩვენ დღეს შეგვჩნდება ანა „იმთავროვე ღონისძიებით“, ანამედ კვიპრიანე სამთავროლის კურთხევანი. თუ არ ვგვრათ, აიღეთ ხელში თანამედროვე კურთხევანი, რომელსაც ესაა ჩვენი ვასწარებთ, და შიგნითავე ფურცელზე წაიკითხავთ: „კურთხევანი, ძალითა დმრთისაღათა ახლად თარგმნილი ბერძნულისაგან ქართულად კვიპრიანეს მიერ სამთავროლისა“.

ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ საეკლესიო წიგნთა შესწორების პრინციპი მიღებული და განხორციელებულია როგორც მსოფლიო, ისე ადგილობრივ ეკლესიათა პრაქტიკაში და ცხოვრებაში; კერძოდ, ჩვენი წინაპრნი არ შეჩერებულან ისეთის სკიპოსის წინაშე, როგორც იყო „ზეშთაგონებულ“ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა ნათარგმნის შესწორება. მაშინ თუ ჩვენ, და მხოლოდ ჩვენ, არ ვგაქვს ნება და სიმართლე, შევასწოროთ კვიპრიანე სამთავროლის ნაშრომი, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ზეშთაგონებით არ არის ნათარგმნი? ანამედ თუ ვგაქვს, პირიქით, ვადებულნიც ვართ, ვინათგან 1) ის დედანი, რომლითგანაც კვიპრიანემ სთარგმნა, — ვენციის 1602 წელს დაბეჭდილი ეგზოლოგიონი, — მეცნიერებაში მინეულისა უვარგის დოკუმენტად; 2) ამ ეგზოლოგიონის რედაქცია ესაა დაძველებული და სმარებაში გამოსულია როგორც ბერძნულთა, ისე რუსთა და სხვა მართლმადიდებელ ერთა შორის; 3) თუმცა დომენტი კათალიკოსი ერთ დოკუმენტში გვარწმუნებს, კვიპრიანემ კარგად იცოდა ბერძნული ენა, მაგრამ იმისი თარგმანის ბერძნულ დედანთან



შედარება ნათელ ჭეჭოფს, რომ ირ ელდინთა ენაში მეტად სუსტობდა...

2. იქნება ჩვენი მწიანადმდეკენი მით-ხოვდნენ ისეთ შესწორებას, რომლის მწიამუნი ჩვენცა ვართ? საეკლესიო წიგნებს ამდენ-ხანაც ასწორებდნენ, მაგრამ იცით, მკითხველ-ხო, რად გამოიხატა ეს შესწორება? „შემსწო-რებულნი“ თავის მოქმედებას განსაზღვრავდნენ მხოლოდ სასვენი ნიშნების ერთი ადგილითგან მეორეზე გადასმით, თუმცა ამაშიაც დიდ უნაჩს ვერ იხენდნენ: ქვემდებარის განცალკე-ვებით შესმენილისგან ამ ნიშნებს დაუკარგეს რეკორც სალოგიო, ისე სამუხიციო ძალა, რომელიც ჭქინათ ძველად, მცოდნე ზირთა მწიშობით. უეჭველია, კეთილის-მოსურნეს ასეთი შესწორება სწადა...

მაშ რა უნდა შესწორდეს ჩვენს წიგნებში? ჩვენ, რეკორც წევრნი მართლ-მადიდებელის ეკლე-სიისანი, ვაღდებულნი ვართ, „ერთითა ზირითა და ერთითა გულითა“ ვაქებდეთ და „ერთობით ადვიარებდეთ სამებასა ერთ-აჩსებასა და განუ-ყოფელს“. ამისათვის ჩვენი ლოცვების, წეს-რიგის და წიგნების რედაქცია უნდა ეთანხ-მებოდეს მხოლოდ ეკლესიის ზრატეიკას; მხოლოდ ეკლესიისთან ერთობა და თანხმე-ბა ის დროშა იყო, რომლის ქვეშ დაუდალა-ვად მუშაკობდნენ ჩვენნი წინაზარნი, განსაკუთ-რებით წმიდა მთარუმელები ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები.

ვინც ჩვენს წიგნებს ჩაჭკვირვებია, შეამ-ჩნევს ბევრს უხამსობას დოქმატიურის მხრი-თაც; მაგალითად, 1899 წელს „გასწორე-ბულ“ კონდაკით წმ. ბასილის ექქარსტი-ის ლოცვაში მამა ღმერთს მივმართავთ ასეთი სიტყვებით: „მომხსენებულნი საც-სოვრებულთა შენთა ვნებათა, ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სამღვდ დაფლვისა, მკვდრეთით აღდგომისა, ზეცად აღსვლი-სა, მარჯვენით შენ ღვთისა და მამისა დაჯდომისა დიდებით, და საშინელად

მეორედ მოსლვისა შენისა“. ეჭვს გარე-შეა, მხოლოდ კრებათა ეპოქა რომ იყოს, ჩვენ ჰატრიზასიანობისათვის დაგვიძახა-დნენ. ასეთი უხამსობა უფრო მეტია კურ-თხევანში. ნუ თუ ეს ყველა შესწორებელი უნდა დაჩხეს, „რათა ისტორიული კავშირი არ მოიხზოს ჩვენსა და ჩვენ წინაზართა შო-რის“? გარდა ამისა, ბევრი ადგილი მეტად ბუნდოვანად და გაუგებრად არის გადმოთარ-გმნილი, და მათი შესწორება და გამართვა აუცილებლად სჭირდა. ახა გვიბრძანონ კე-თილის-მოსურნემ და ბ.ა. ხახანაშვილმა—რის გამოა ლაზარაკი და რა აზრია „ქერუბითა“ გიმნის მეორე ნახევარში, რომელსაც „მოს-წავლე ბავშვები საეკლესიო სკოლებში“ ეხლაც „აღუღუნებენ“, სამწუხაროდ არა „ანგელო-ზის ხმაზე“, არამედ თუთიყუშისაზე, — სახელდობრ—„და ვითარცა მეუფისა ყოველ-თასა, შემწუნარებელს ანგელოსთა ებრ უხი-ლაყად, ძღვინს შემწირველთა, წესთასა, აღი-ღუთა“? ნუ თუ ასეთი მარგალიტიც „უღვი-ძებს ბ. ზრათესორს ჩათურფელის ჰატრიო-ტულ სიამაყეს“ და ვაღდებულად ჭხდის „თავ-გამოდებით დაცვას იგი?

3. გამსწორებლებს, ზირველად ყოვლისა, წინ უნდა ედგასთ (და უდევსთ კიდევ) საუ-კეთესო ხელთნაწერები, რათა დაცულ იქმნას სტილი და სული დემეტ-შემოსილ მთარ-გმნელთა, დაცულ იქმნას ყოველივე ის, რაც არის საუკეთესო და შესწუნარებელი მათში. მაგრამ ჩვენს მწიანადმდეკეებს, სამწუხაროდ, ერთი ზნე სჭირთ: ხელთნაწერი, რომე-ლიც მათ ყაღბ აზრს ეთანხმება, მათთვის ავტორიტეტი, თუგინდ ის ეკუთვნოდეს რე-მელსამე უმეცარ ზირსა; იმ ხელთნაწერს კი, რომელიც ჩვენ გვამართლებს და მათ ამტყუ-ნებს, თუ გინდ თვით გიორგი მთაწმი-ნდელის ნუსხა იყოს, ისინი უარ-ჭეჭოფენ. განა ამისთანა ზირებთან შეიძლება სეროზუ-ლად კამათი!?

ქართული სალიტურგიკო მწერლობა ნათარგმნია და არა ორიგინალური; ჩვენი წინაპრები სთარგმნიდნენ ბერძნულისაგან, მაშ კახლაც, უკვე ძველად ნათარგმნი ტექსტის შესწორების დროს, უნდა ხელთ გვქონდეს აწინდელი ბერძნული საეკლესიო წიგნები; ეს იმდენად ცხადია, რომ მხოლოდ უკუღმად მოაზრეს შეუძლიან უარხეოს ბერძნული ორიგინალი და ჰქადაგოს მისი უვარგისობა ქართულთან შედარებით; აკი რუსეთშიაც გამჩნდნენ მეზიდმეტე საუკუნეში ისეთი ფანატიკოსები, რომელნიც ბერძნულ წიგნების შერყვნილებას და მათ უვარგისობას, სლავიანურთან შედარებით, ამტკიცებდნენ! ისტორია მოგვჩვენათა განმეორების მოწამება, — ასეთი ზიკები ჩვენში ესლამამჩნდნენ!

მართალია, კეთილის-მოსურნე ამ ზიკთა კატეგორიას არ ეკუთვნის, ზირ იქით, მას გული შესტივა ბერძნულ ორიგინალისათვის და ცრემლ-მორეული მისთქვამს: „კომიტეტი ადგილ-ადგილ სთარგმნის ახლად სლავიანურ წიგნების თანახმად და ამ გვარად უარ-ჰყოფს საქართველს ეკლესიის მიერ ძველი დროდანი მიღებულს დედანს, დამყარებულს ბერძნულს ორიგინალზე“-ო. მაგრამ ეს უმართლობა და, თუ გნებავსთ, ცილისწამება; სჩანს კეთილის-მოსურნეს ხელშიაც არ აუღია არც სლავიანური და არც ბერძნული ტექსტი, და არც ერთთან და არც მეორესთან არ შეუდარებია ჩვენი ნაშრომი, თორემ ერთს მაკალითს მაინც მოიყვანდა ჩვენი „სლავიანოფილობისას“. ესეთი უმართლობა იმან იკადრა მხოლოდ იმისთვის, რომ მეტი ეფექტი მოეხდინა თავის თანამაზრეთა წრეში. საქმე ისაა, რომ ჩვენის საზოგადოების ერთს ნაწილში, რომელიც საქმის ვითარებას ჯერჯერობად ვერ იცნობს, ტრიალებს ერთგვარი რწმუნა: ეფექტივე სლავიანურისაგან ნათარგმნი უნდა დავმობილ და უარყოფილ იქმნას, რადგანაც „სლავიანურ ენაზე ნათარგმნი ვერასლო-

დეს ვერ შეედრება მადლ-მოსილ მარჯვენის ნათარგმნ ქართულ წიგნებს“. („სახლხო გაზეთი № 502). ესეთი შეხედულება შედეგია იმ სასიონცხვინო მძულვარებისა, რომლის ფესვებს ვხედავთ წინაპართა იმ წრეში, სადაც დროშაზე აწერდნენ: „დავგმობთ ეფექტივე ის, რასაც სამხური ბეჭედი აზის და რაც სამხურიდან ნათარგმნია“.

მერმე, იციან კი სლავიანურ წიგნთა მოძულეთ რას წარმადგენს სლავიანური საეკლესიო წიგნები? მეთექვსმეტე საუკუნითგან მოყოლებული რუსთა ეკლესიის კულტურული ენერგია ჩაუნთქავს სულ ერთიან საეკლესიო წიგნების შესწორების საკითხსა. ამ საკითხმა წარმოშვა რუსეთის ისტორიაში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც არის რასკოლი. ეს საკითხი სამეცნიერო ნიადაგზე დაყენეს 1649 წელს, როდესაც ბერძნულ ზნაქტიკის შესასწავლად აღმოსავლეთისკენ გაემგზავრნობილი არსენი სუხანოვი, ის არსენი, რომელმაც ჩვენი, ქართველების, მაშინდელი სალიტურგიკო ზნაქტიკაც ასწერა. სამშობლოში დაბრუნებისას მან თან მოიტანა შვიდსამდე უძველესი ბერძნული ხელთნაწერი, რომლის მიხედვით დაწვეს რუსებმა თავიანთი წიგნების შესწორება. ეს მუშაობა ჯერეც დაუმთავრებელია: დღეს უწმიდეს სინოდთან მოქმედობს საეკლესიო წიგნების შემწორებელი კომისია და სათავეში უდგანან გამოჩენილი ზროფესორები, რომელთა სალიტურგიკო და საღვთის-მეტეფიკლო შრომანი ამშვენიებენ არამც თუ რუსეთის, არამედ მთელ ევროპის მეცნიერების საღაროს. ამ ზიკთ არც ბერძნული ენის ცოდნა აკლიათ და არც სამშობლო ეკლესიის სიუფარული. სუ თუ, კეთილის-მოსურნის აზრით, ამ ზიკთა ნაშრომით ხელმძღვანელობა ჩვენთვის სათავილოა? დარწმუნე უფნი ვართ, ჩვენში რომ იცნობდნენ ან ტრანსულს, ან სლავიანურს, ან ქართულს სალიტურგიკო მწერლობას, მაშინ არ იტყოდნენ,



რამ ამ ზიროს თარგმანი ვერ შეედრება ქართულ თარგმანს! მართლაც, ნახევრად შესაწინარებელია ის აზრი, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენი წიგნები შერყვნეს იმ ზიროს, რომელნიც სლავიანურისკან სთარგმნიდნენ, მაგრამ განა დანაშაული სლავიანურ ორიგინალს მიუძღვის? არა, სლავიანურ ორიგინალს კი არა, არამედ იმ ზიროს, რომელთაც სლავიანურ ენის უცოდინარობის გამო ЦВѢТЬ ПОЛНЫЙ სთარგმნეს — „უფავილი სრული“ — ად და არა „უფლისა“ — ად, ვინათგან ПОЛНЫЙ და ПОЛНЫЙ ერთმანეთში ვერ გააჩნის; დამნაშავენი არიან ის ზირონი, რომელთაც проручествуеть სთარგმნეს — „წინასწარმეტყველებეს“ და არა „ხელდასმულ ჭეოფს“, რადგანაც проручествуеть და пророчествуеть ერთი და იგივე ეკანთ. ერთი სიტყვით, მხოლოდ უკიდურესი უმეტრება ათქმევინებს ადამიანს, რომ სლავიანური თარგმანი ქართულთან შედარებით უფარვისა და მისი ხელმძღვანელობა სათავილთაა.

II.

ამ საზოგადო მოსაზრებათა შემდეგ განვიხილოთ კერძოდ ის „მაგალითები“ ჩვენ მიერ „მოხდენილ ცვლილებათა“, რომელნიც ამოუწერია კეთილის მოსურნეს. მას ჯერ მოჭყავს „რამდენიმე მაგალითი იმ შესწორებისა, რომელიც წილად ხვდა ენას“.

1) ამ მაგალითთაგან ოთხი შეეხება წესს მხარებას: ძველს კურთხევანში სწერია: ჩუჭნო, შუჭნიერებითა, შიშქლ, ადმეუჭტელი; ჩვენ კი ვასწორებთ: ჩუენო, შუენიერებითა, შიშქელ, ადმეუტელი. რადო, გვეკითხებიან; იმიტომ რომ წ, ეგრედ წოდებული დიუტრები, არის ჯამი ორი ასოის: ე+ი=წ, როგორც ა+ი=წ. ეს უკვლამ იცის, ვისაც ძველი, კლასიკური ხანის ტექსტები უკითხავს ან და თვადეური უცვლებია მრავლ. ხ. მარტის განმარტავულ-თიჯ ოლოგიურ შიშქელისათვის და მის მიერ გამოცემულა ტექსტე

ბი გადაუთვალერება. ძველს, მკათე სწერენ მემდის დაწერილს, ტექსტებში მხელად შეხედებით, რომ უს შემდეგ წ ეწეროს, ამისთვის არც ზემო ჩამოთვლილ სიტყვებში უნდა დავსტავოთ ეს ასო. წინააღმდეგ შემთხვევაში აი რას მივიღებთ: ჩუენო, შუენიერებითა, შიშქელი, ადმეუტელი, და ეს განა ქართულია? უს შემდეგ წ-ს წერა შემოუღიათ და კანონად გაუხდიათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც წ-ს თვისება და ნამდვილი ბუნება დაიწვებიათ.

2) ნათლიების ერთ ღოცვაში ძველებურად სწერია: „არა რაა არს დაფარულ წინაშე შენსა საქმე, არამედ უფავლიავე შუშტლონი და ქედ-დადრეკილ ვართ წინაშე თჳაღთა შენთა“; ეს ადგილი ჩვენ ასე შევასწორეთ: „არა რაა არს დაფარულ წინაშე შენსა საქმე, არამედ ყოველივე შიშტელ და განცხადებულ არს წინაშე თჳაღთა შენთა“. ასე მივიქცეთ არა მარტო ბერძნულ-სლავიანურის მიხედვით, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ოფრმა უფრო ახლოა სადმერთა წერილას იმ მიხლთან, რომლის ზერითრასს ის წარმოადგენს, სხეულდობრ — ებრ. IV, 13. მართალია, ჩვენ ქედ-დადრეკილ-ის მაგიერ ვინმარეთ განცხადებულ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ბერძნულ τεραχηλισμὲνα-ს, τεραχηλίστω-საგან წამომდგარს, ახალ აღთქმაში ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1) ქედ-მოდრეკა, ესე იგი — დამოხრჩილება, დამონება და 2) გაშიშვლება, გამაჩენა, გამოხუდავება; ჩვენს ძველ მთარგმნელებს მხედველობაში მიუღიათ ზირველი მნიშვნელობა, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ, რადგანაც აღნიშნულ მიხლში დანახავი მის გამოა, რომ უფალმა უფავლივე უწყის, მის წინაშე არაფრის დამაღვა არ შეიძლება, და არა მისგამო, რომ იმას უფავლივე ემორჩილება. *)

*) იოანე ოქროპირი სწერს: განცხადებულ არს (τεραχηλισμὲνα) მოილო (მო-

ქართული ენის ლექსიკონი

3) „წყალთა ამთ შინა“ ჩვენ გადავკეთეთ—„წყალსა ამის ზედა;“ ბერძნულში ნახმარია ადგილობრივ ბრუნვის მსხვერპელი ნაცვალ-სახელი τὸν ὕδωρ, რომელიც სლავიანურად უთარგმნიათ „на водѣ сей“. „წყალთა“ იხმარება მასში, როდესაც ლაზარია მდინარისა გამო, ბავშვს კი ჩვენ ვნათლავთ არა მდინარეში, არამედ ემბაზში.

4) „მიქცევად“ გადაკეთებულია „მიქცეველ“; ლოცვაში სწერია: „რათა იქმნას ესე სცხებელ უნწინელებისა, საჭურველ სიმათლისა, განმასხლებელ სულისა და ხორცთა, ყოვლისა საქმისაკლისა საქმისა სიძლეველ და გარემიქცევად ყოვლისაგან ბოროტისა“. თუ ზირველ შემთხვევაში ნახმარია „სცხებელ, საჭურველ, განმასხლებელ, სიძლეველ“, უკანასკნელ შემთხვევაში რად უნდა იყოს „გარემიქცევად“ და არა „გარემიქცეველ?“ ესეც რომ არ იყოს, განა შეიძლება ითქვას „რათა იქმნას ესე გარემიქცევად?“ ეს სლავური ქართულია?

5) „განასხლება“ შეესტავებათ „ბრწინვად“; ეს ადგილი ბერძნულში ასეა: „Δέσποτα Κύριε, Τὸν φάτισσον τὸν περισσῶπου σου ἐν τῇ καρδίᾳ αὐτοῦ ἐναυχᾶσθαι διαπαντός ἐνδύνησιν“; სლავიანურში—„Владыко Господи, просвѣщеніе лица Твоего въ сердцѣ его озаряти вынѹ благоволи“; ქართულში: „მიუფერ უფალა, ნათლიათა ზირისა შენისაღათა განახლება გულისა ამისსა ჯერ იხინე“. მიგვიხდვია ბ. კეთილის-მოსურნისათვის განსჯა იმისა, თუ რაგვანად დაუცავთ ბერძნულს.

ციქულმა პავლემ ეს სიტყვა დასაკლავ ზვარაკთა ტყავისგან. როდესაც ადამიანი დაკლულ ზვარაკს ატყავებს, მაშინ ზვარაკის ყოველივე მიგნული ჩვენთვის დასანახი გახდება,—ასევე, წინაშე ღვთისა განცხადებულია ყოველივე. Творенія Іоанна Златоуста, т. 12, кн. 1. стр. 68. Спб. 1906. ვგონებთ, ი. ოქროპირის საღმრთო წერილის უცოდინარობას ვერავინ დასწამებს!..

ლი ორიგინალის აზრი ქართულს თარგმნისში, სხვა არა იყოს რა, საითგან გახნდა „განასხლება“, როდესაც ბერძნულში ნახმარია ἐναυχᾶσθαι?

6) ძველი „სტოლად“ (ХОДИТЬ) გასწორებულია „სლავად“; ვფიქრობთ, სავსაშთა არ უნდა იყოს!

7) ძველში სწერია— ლოცვა წმიდისა ნათლისა; ჩვენ „ლოცვა“-ს მაგიერ ვიხმარებთ „შედეგი“, რადგანაც ბერძნული ἀγαλλοῦμαι ნიშნავს „შედეგს“ და არა „ლოცვას“. ამასთანავე, ნათლიების წესი შესდგება რამოდენიმე ლოცვისაგან, მასხლადმე რა საფუძვლით უნდა უწოდოთ მას „ლოცვა“?

8) სსსცილთა სწორედ ორი უკანასკნელი მაგალითი: ნათლიებაში სამოციქულოს წარდგამს სწერია შემოკლებით: „უფალი ნათელ ჩემდა და მცხვარ... უფალი შესავადრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა“... ძველად სლავთა წერილის მუხლებს ამოკლებდნენ ქალაქისა და ბეჭდვის ხარჯის შესამცირებლად; არც სსშიში იყო, რადგანაც შემოკლებული ადგილი მტკიცედ და შეურყეველად იცოდნენ ზეპირად; ესეა კი, როდესაც ეკონომიურ მოსახრებას ადგილი იმდენად აღარა აქვს, და შედავითნებებიც ისეთი გვეგანან, რომ არამც თუ ზეპირად, სშირად დაბეჭდულსაც ვერ კითხულობენ ზეირიანად, საჭიროდ დაინახეთ აღნიშნული მუხლი სლავთა წერილისა სრულად მოგვეგანან; კეთილის-მოსურნეს კი ჭკობებია, რომ ჩვენ „მიუწოდებელ მიზეზებით მკითხველისთვის და ეკლესიის მსახურისთვის“ რაღაც „ახალი განმარტება და წინადადება“ მიუმატეთ „საქართველოს ეკლესიის მიერ ძველი დროიდან მიღებულს დედანს, დამყარებულს ბერძნულს ორიგინალზე“. კრიტიკაც ამას ჭკვიანი!

გადავთავადიერეთ ესეა „უფრო რთული მაგალითები“ ჩვენი „საეჭვო“ მოქმედებისა.

9) ძველებური „სცხებელი მიეც, და ნივთიერითა ამით წესითა დაადგინე, რა-



თა არა დაიყენებოდეს ურთიერთარს“ ჩვენ შევაკეთეთ ასე: „საცნობელნი მრავალნი მიერ, არა დამყენებულნი ურთიერთას“. ბერძნულში ეს ადგილი ასე იკითხვის: „καὶ ἐν αὐτῇ τὰς πλείστας τῶν αἰσιθησέων καμυδρῶσας, μὴ παρειαποδιδῶσας ἀλλήλαις“; სლავიანურში—„и въ ней множайшая чувствъ водрузивый, не запинаящія другъ другу“. ნეტავი, ბ. კეთილის მოსურნე, აგვისნიდეს, — ძველი რედაქცია უფროა „დამყარებული ბერძნულს ორიგინალზე“, თუ ახალი? სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს „ნიუ-თიერთითა“ საითგან გამოძიებეს?

10) ძველებური — „შენდა დიდებოსა ადვავლებით თანადუსხამოთ მამით შენით, და ეოვლად წმიდით სახიერთ, და ცნოველს-მოყოფლით სულით შენითურთ“ ჩვენ შევსცვალეთ „შენდა დიდებოსა ადვავლებით, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“, რადგანაც ბერძნულშიც ასეა და ასეც უნდა იყოს: ღოცვა მიმართულია ეოვლად წმიდა სამებისადმი და არა მეორე პირისადმი.

11) „მოსრული ესე აღსრულებად სულითა წმიდითა ადავსენ“-ის მაგიერ, ჩვენ შემოვიღეთ — „სჯულისანნი სულითა წმიდითა ადავსენ“, თანხმად ბერძნულისა, სადაც სწერია: „καὶ τὸς ἐν νόμῳ πνεύματος Ἁγίου πληρώσας“; ბერძნული τὸς ἐν νόμῳ ძველში გამოყენებით და მის მაგიერ საითგანდაც ჩაუხინინათ „მოსრული ესე აღსრულებად“. ესეც „ბერძნულ ორიგინალზე“ დამყარებას განა?

12) ძველებური „კეთილის-მოქმედს“ ჩვენ შევსცვალეთ „შეენიერს ხუროს“, რადგანაც ბერძნული ἀριστοτέλῃ ეოვლ შემთხვევასში „კეთილის-მოქმედს“ არ ნიშნავს; ἀριστος ნიშნავს „შეენიერს, წარჩინებულს“, და τεχνίτης — „ხუროს“. სიტყვა „ხურა“ ნახმარია თვით სდმრთო წერილში, მაგ. საქ. მც. XIX, 24, 38, ისაია XL, 19—20, XLIV, 12—13 და სხვ.

13) ბ. კეთილის-მოსურნე იმისავე აღნიშნავს, რომ კომიტეტს „აღსარებიდან გამოყვლია რვა ფურცელი“; მართალია, მაგრამ რატომ ისიც არ აღნიშნეთ, თუ რა არის გამოტოვებული? გამოშვებულია ის, რაც არც ბერძნულ, არც სლავიანურ კურთხევანში არ მოიხვეჭება და რასაც ესლავიანური მნიშვნელობა არ აქვს, სასკლდობრ—მსოფლიო კრებათა და წმიდა მამათა შესედელებს და დარბეობა აღსარება-სინანულისთვის. ეს სჯულისკანონის საგანს შეადგენს და არა კურთხევანისას. გამოშვებულია კითხვა-მიტება, სადაც ჩამოთვლილია ისეთი ცოდვები, რომელთა წარმოთქმაც სირცხვილის აღმურს მოსდებს ადამიანის სახესა. მოძღვარი დიდ დანახუელს ჩაიდენს, თუ ამ ცოდვებს ჩამოთვლის მონახუელს, რადგანაც, შესაძლოა, ისეთ ცოდვას გააცნოს, რასაც მონახული თავის თავად ვერც კი მოიფიქრებდა. ამითი აიხსნება, რომ ამ კითხვა-მიტებას ჩვენს ძველ ხელთნაწერებში ადგილი არ აქვს. ჩვენ დავსტოვეთ მარტო პირველი „კითხვა“, სადაც ჩამოთვლილია „შვიდი სასიკვდინე ცოდვა“, ისიც შეცვლილია რედაქციით, რადგანაც კვიპრიანე სამთავნელის დროს ქართვლები იმდენად გონიერები ეოფილან, რომ „უგუნურება“ მათ „სასიკვდინე“ ცოდვად ქტონათ მიჩნეული. ჩვენ კი, მათი დაკანონებული შთამომავლობა, „უგუნურებას“ უფრო ღმობიერად უნდა მოვეპყრათ, თორემ „სასიკვდინე“ ცოდვითა რიცხვში თვით კეთილის-მოსურნე კრიტიკოსებიც კი მოჭეუებიან...

ამით ვითავებთ იძულებულ ზასუსს; ჩვენ არ ვამტკიცებთ, უცოდველი ზაზები ვიყვნეთ, ნაკლულფავანება, რასაკვირველია, ჩვენ ნახმარსაც ექმნება, როგორც ადამიანის სამოქმედარს, მაგრამ შეგნებელი და მოუკერძველი მკითხველისთვის მიგვინდვია განსჯა, თუ რამდენად საფუძვლიანია კეთილ-მოსურნის და მის თანამოაზრეთა ესლანდელი გამოლასქტება ჩვენს წინააღმდეგ. ესეთი გამოლასქტება შე-

დეგია იმ არა სასურველ ზნისა, რომელიც საზოგადოდ სჭირს უფულისავე ქართველს: „რასაც მე არ ვაკეთებ, სადაც მე არ ურევია ვარ, უფუელივე ის დასაგმობი და გასაკიცნია; განა შეიძლება, რომ უჩემოთ რაღაც ვაკეთდეს?“ — აი როგორ ფიქრობს ბევრისაგან ბევრი ქართველი...

დასასრულ, ორიოდ სიტყვა ბ. კეთილის-მოსურნეს: აგერ სამი წელიწადია, რაც მოსკოვში შეუდგნენ ჩვენი კურთხევის ბეჭდვას და ჯერ სამი ფორმაც არ დაბეჭდილა; უეჭველია, საქმეს მოსკოვში აგვიანებენ ზოგიერთი არა-პოეტურ ცენზორები ჩვენ მიერ წაღმა-დასმულ ასაკების გაუგებმართებით... გთხოვთ, ცოტა მოთმინება იქონიოთ, წიგნს დაბეჭდვა დაწყდეთ და მერე გაატარეთ კრიტიკის ბრძანებში, თორემ, ხამ შეიძლება საკონკრეტო უსწორ-მასწორობაც შეტდომოდ ჩავგვი-

თვალოთ, როგორც ესაა ჩავგვიტყველებს-ს გამოტყვება სიტყვა „შეჭკეროს“-ში.

ამასთანავე, საკადრისი არ არის, თქვენთვის არა სასურველი საქმის გასაბათილებლად ჭკერების გავრცელება! თქვენი სიტყვით, „კომიტეტის თავმჯდომარედ ექსარხოსია“, ნამდვილად კი თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ექსარხოსია ამ საქმის მხოლოდ ნების დამრთველია, თვით სეკლესიო წიგნების ახლად გამართულის ტექსტის სიმართლისათვის პასუხის მტკიცებელი კი არიან და იქნებიან, ამ საქმის გამო პირველად და უკანასკნელად თქვენთან მოკამათენი, —

თავმჯდომარე კომისიისა, არქიმანდრიტი პიროსი.

დეკ. კ. ცინცაძე.

წევრი:

დ. კ. კეკელიძე.

იუსტ. აბულაძე.

ხმა სახალხო მასწავლებლისა

დახს, ქართველ-მოდგაწეს უფულის თვალში ვამტირებთ!... სიცოცხლეში ვატირებთ რომ მოკვდება ვიტირებთ!...

აკაკი.

ეს სიტყვები სწორედ ზედამოჭრილია ჩვენი მცხოვან პედაგოგ და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილზე, რომელსაც ეს ერთი ხანია მეტად უდიერად იხსენიებენ ზოგიერთი კალმოსნები და პირად ანგარიშებით ამოძრავებულნი „პედაგოგები“. ყველა ეს მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს და უკმაყოფილებას იწვევს შეგნებულ სახალხო მასწავლებელთა შორის, რომელნიც სამართლიანად დიდად აფასებენ ბ-ნ გოგებაშვილის შრომასა და ღვაწლს. აქ მე არ შევუდგები იმის განხილვას თუ რამდენი შეუ-

საბამობა და უჯერობაა იმათ წერილებში. აღვნიშნავ მხოლოდ „კოლხიდის პედაგოგის“, სხვათა შორის, ერთ მცდარ აზრს, რომელსაც ჩვენს სკოლებში მთავრობის ძალდატანება სათუოდ მიაჩნია და „მეთოდის შესახებ თავისი ბატონათ თვით მასწავლებელი“ გამოჰყავს. სიანს „პედაგოგი“ საზოგადოების მეტად გულშემატკივარი წევრი ბრძანებულა და მის საქმეებში იმდენად ჩახედული ყოფილა, რომ ეს, დღეს ყველასათვის ცხადი და ნათელი ჭეშმარიტებაც-კი, მას საეჭვოთ ჰიაჩნია.



ვინც ქვეყნის ავ-კარგით დაინტერესებულია და გარემო ცხოვრების მსვლელობას თვალს ადევნებს, იმან, რასაკვირველია, მშვენივრად იცის თუ რა უკუღმართობაა გამეფებული სწავლა-აღზრდის საქმეში მთელ რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე და კერძოდ განაპირა ქვეყნებში, სადაც მასწავლებელთა თვით-მოქმედებაზე ლაპარაკიც მეტია: აქ ქვეშაობრივად შეგნებულ შემომქმედ-ხელოვან მასწავლებელთ სასტიკად სდევნიან და მათ ნაცვლად ფელდფებლებს აწესებენ. ნურას ვიტყვით წარსულ წლებზე და თვალი გადავავლოთ მხოლოდ ახლანდელ ყოველ-დღიურ პრესას, სადაც თითქმის ყოველ ნომერში სწავლების საქმეში მთავრობის პოლიტიკანობასა და მასწავლებელთა მიერ უკუღო 81 წლის გეგმის ღალატზე მოსთქვამენ და გოდებენ. აკი შარშან სახალხო სკოლების ინსპექტორი სუდაკოვი თვით სასამართლომ ძალ-დატანებაში“ დამნაშავედ იცნო. ამავე ინსპექტორმა ამას წინად შორაპნის მაზრაში მასწავლებელთა კრებას კანონის წინააღმდეგი დადგენილება გამოატანია, რომლის ძალითაც ბავშვთათვის უცხო რუსული ენის სწავლება პირველ წლიდანვე უნდა აწარმოონ. ერთმა მასწავლებელმა შარშან „Кут. Жизнь.“-ში ყოფილ სახალხო დირექტორ სემიონოვთან კამათის დროს ფაქტებით დამტკიცა, რომ საშკოლო მთავრობა—წინააღმდეგ „პედაგოგის“ მტკიცებისა,—ღიანაც მოქმედებს და მეთოდის შესახებ თავისი ბატონი თვით მასწავლებელი“ არ არის.

ჩვენი სწორ-უპოვარი „პედაგოგის“ რწმუნება,—ვითომ მთავრობამ სკოლებში ლევიციის მეთოდის გამეფება ვერ შესძლო, სინამდვილეს სავსებით ეწინააღმდეგება, რაც არა პედაგოგებმაც კი უწყიან. ღღესაც, როდესაც მთავრობამ და თვით ლევიციამაც მუნჯურად სწავლება უფარვისად იცვნეს, ბევრ მასწავლებელს ამ ყოვლად მახინჯ მეთოდისათვის თავი ვერ დაულწევია და ხშირად ძველი ჩვეული წესით განაგრძობენ მოზარდ ბავშვთა ნორჩსა და სათუთ გონების წვრთნას. „პედაგოგი“ უთუოდ ამის შესახებ ბრძანებს. „ყველამ შეიგნო, რომ მარტო თარგმნით ცოცხალი ენის შესწავლა შეუძლებელიაო“ და ამის გამო გოგებაშვილის მეთოდი თვით ცხოვრებამ დაგმოო.

აბა ერთი მიბრძანეთ რომელი საქმის მკოდნე ჰკუთამყოფელი ადამიანი სერიოზულად დაიწყებს მტკიცებას, რომ ჩვენში მთავრობის პოლიტიკანობას გასავალი არა აქვს, „მისი შეიარაღებული ბრძოლა“ მიზანს ვერ აღწევს და სკოლებში, მოუსყიდველ, შეგნებულ და დამოუკიდებელ მასწავლებელთა წყალობით, ყველაფერი რიგზე არის და სწავლება საღ თანამედროვე პედაგოგის მოთხოვნილების თანახმად სწარმოებს.

მაშინ ჩვენ ბედს ხომ ძაღლიც ვერ შეჭყეფდა, მაგრამ ეს რომ ასე არ არის „კოლხიდის“ „პედაგოგის“ გარდა, ყველამ იცის.

სახალხო მასწავლებელი.

უპატრონო სკოლები

ქალაქ თბილისის პირველ-დაწყებით სკოლებზე მოგახსენებთ. მართალია მათ სასკოლო კომისია ჰყავს მიჩნეული პატრონად, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ... ის სრულებით ყურს არ იბერტყავს სკოლებზე. ყველა სკოლა ღვთის ანაბარად არის მიგდებული. კარგს მასწავლებელს რად უნდა ყურის-მგდებელი? იკითხავთ, მაგრამ სწორეთ საქმეც ის არის, რომ თვით მასწავლებლები ვერ ღვანან შესაფერ სიმაღლეზე.

დავიწყეთ თუნდ იქიდან, რომ ყოველ ნაბიჯზედ მასწავლებელთა უმრავლესობა არღვევს 1881 წლ. სამოსწავლო გეგმას. პირველი ნაბიჯი ამ სამარცხვინო საქმეში გადასდგეს იმ დროს, როდესაც თვით მასწავლებელთ შეიმუშავეს პროგრამის პროექტი. აქ, სხვათა შორის, სწერია: „Во второмъ полугодіи перваго года обученія ведутся лексическія уроки на русскомъ языкѣ“... აქ ხომ აშკარად უარყოფილია დედა-ენა, როგორც დამხმარე საშუალება სწავლების დროს, რომელსაც მოითხოვს 1881 წლ. სამოსწავლო გეგმა. ამნაირად მასწავლებლებისავე წყალობით უნდა გამეფდეს სკოლებში მუნჯური მეთოდი. ყველაზე სავალალო ის არის, რომ ეს პროექტი პროგრამისა დირექციამ დაუზავანა სოფლის მასწავლებელთ სახელმძღვანელოდ. ასე რომ ქალაქის სკოლის მასწავლებლებმა სოფლის სკოლების საქმეც გააფუჭეს. ზოგიერთი ინსპექტორი ემყარება ამ პროექტს და მუნჯური მეთოდით ითხოვს სწავლებას. ასე

იქცეოდა მაგალით. ინსპექტორი სმირნოვი.

მასწავლებელთა უმრავლესობა ამასაც არა სჯერდება. ჩვენ ვიცით რამდენიმე სკოლა, სადაც ანგარიშის სწავლება პირველსა და მეორე განყოფილებაში სწარმოებს რუსულად. სწორედ გაკვირვებიდგან გამოსდინხართ, როდესაც ხედავთ, რომ ქართველი მასწავლებელი, რომელიც საზოგადოებაში გამოდის, თავს იწონებს „ქართველობით“, ლაპარაკის დროს გიმასპინძლდება პრტყელ-პრტყელ სიტყვებით, სწორედ ეს ადამიანი პირველი მოღალატეა ბავშვების აღზრდისა და სწავლების დროს. დალოცვილს ვინ ატანს ძალას, მთავრობა ნებას აძლევს სამშობლო ენაზე აწარმოვოს ანგარიშის სწავლება ორს წელიწადს მაინც, ის კი თავისივე სურვილით მშობლიურ ენას გლეჯს ბავშვსა და უდროვოდ აჩეჩებს იმ სიტყვებს, რომელიც არც სულსა ხვდება და არც გულს.

ახლა შეიხედეთ ყინვიან დღეებში ზოგიერთ სკოლებში. შესდინხართ კლასში ტერომეტრი აჩვენებს 4-დან 5 გრადუს სითბოს. საწყალი ბავშვები ძველს დაკონკილს პალტოებში (თუ ვისმე აბადია, რასაკვირველია) სხედან, მობუზულან, სახეები გალურჯებიან და ხელები გულზე ჯვარედინად დაუკრეფიან, რომ ილიების ძირში გაითბონ. თავად მასწავლებელიც პალტოში და კალოშებში გამოწყობილი დაიარება კლასში.

არც სისუფთავის მხრივ დაიკვებებს ზოგიერთი სკოლა. მართალია ყველა სკოლას თავისი საკუთარი მოსამსახურე ჰყავს,



რომელიც შედარებით კარგს ჯამაგირ-საც იღებს (25 მან. თვეში, განათება, გათბობა და ოთახი სხვაა კიდევ), მაგრამ იატაკები ძალიან იშვიათად ირეცხება, მათზე სქლად მტვერია ჩაკრული. ეს იმიტომ, რომ ისინი დაბანდებულნი არიან გამგეების სამხარეულოში და სისუფთავე სკოლისა ნაკლებად აწუხებთ.


არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი სისაძაგლე კიდევ, რომელიც გამეფებულა ერთს სკოლაში. ერთ-ერთი გამგე სკოლისა ფიზიკურად სჯის მოწაფეებს. პანლური, ყურების აწევა, სილაქები, ყვირილი ჩვეულებად აქვს გადაქცეული.

საკვირველია, ის რამდენიმე ათეული წელიწადია სკოლის გამგედ ითვლება და რატომ ყურადღება არავის მიუქცევია აქამდის. ის იქამდისაც კი მიდის, რომ სკოლის მოსამსახურეც კი სტყეპოს ხოლმე მოსწავლეებს—როდესაც ამხანაგები შენიშნავენ, რომ ამნაირი მხეცური მოპყრობა ბავშვებთან არ შეიძ-

ლებაო, ის წარამარა ყვირილს მოჰყვება და სკოლაში ერთი აურ-ზაური ჩნდება... ყველაფერი ეს ხდება შეგირდების თვალწინ...

ღიახ, უპატრონოდ არის დატოვებული ქალაქის სკოლები, მათ მხნე და საქმის მოყვარული მეთვალყურეები ესაჭიროება. ეხლახან ახალი სასკოლო კომისია იქმნა არჩეული. ვიმედოვნებთ, რომ ახალი სასკოლო კომისია უფრო მხურვალედ მოჰკიდებს საქმეს ხელსა, ვიდრე ძველი, რომელსაც თვის სკოლებზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. ყველა სკოლაში უნდა დაინიშნოს იმისთანა კაცი მზრუნველად, რომელიც ნამდვილი მზრუნველი იქნება ჩვენი პატარა, ნახევრად მშვიერ ბავშვებისა. ისიც ეყოფათ, რომ ბედმა მათ სიღარიბე, სილატაკე, სიმშილი და გაჭირვება არგუნათ. რაღა ზოგიერთ არა მკითხე „პედაგოგის“ მუშტები და სიღებ-პანლურები ესაჭიროებათ.

მოკეთე.



ბიბლიოგრაფია

Л. Станюковичъ. „Когда я была маленькая“. Изд. Горбунова-Посадова

ბავშვის აღზრდაში ოჯახი დიდ როლს ასრულებს. ოჯახი ბავშვს ზრდის ზნეობრივად და ავითარებს ფიზიკურადაც. ბავშვმა უნდა იცოდეს საოჯახო საქმეები და რაც შეუძლია მონაწილეობაც უნდა მიიღოს ამა თუ იმ საოჯახო საქმეში. თუ ოჯახი ჩაუნერგავს ბავშვს შრომის სიყვარულს, იგი აწასდეს არ დაიკარგება ცხოვრებაში და უოჯელთვის მიაღწევს თავის მიზანს. როცა ბავშვი შრომობს, იმავე დროს აფასებს სხვის შრომასაც და უფრო სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობა მომღებლისც. ესლანდელი ოჯახები კი

იშვიათად იღებს მონაწილეობას ბავშვის ბედ-იღბალში. ამ წიგნში, რომლის სათაურიც ზემოთ ამოვწყურეთ, ავტორმა დაგვიხურათა ბავშვის მდგომარეობა ოჯახში. წიგნი შეიცავს ხუთს თავს. თითოეულს თავში ავტორი გაგვაცნობს სხვა და სხვა საოჯახო საქმეს. პირველ თავში ავტორი გვეუბნება სამხარეულს შესახებ, სადაც მონაწილეობს დებულობს პატარა ქალი, რომელსაც უფროსები სწავლიან სკმლის კეთებას და მალეც სწავლობს. მართალია ბევრი სსსსცილო ამბები ხდება ამ გაკვეთილზე და ბევრი მსსსსსს ფუტ-

დებს, მაგრამ ბავშვი ბოლოს მინც აღწევს მიზანს. მეორე თავში აწერილია ძრახვის მოკლად. ზატარა ქალს ძალიან უყვარდა თავისი ძრახვ, თვითონ უკლიდა, ასმევდა, აჭმევდა, ბოსკლასც თვითონ ასუფთავებდა, თვითონვე წველიდა და კიდევ შეისწავლა მანისი, ერბოსი, დოს და ყველის კეთება და სხვა. მესამე თავში აწერილია მეტად საყურადღებო ამბავი, — ბავშვის ზნეობის მხრით. ბავშვი ხელაფდა, როცა დედა მისი უიდა ყველს, ერბოს, რძეს და თვითონაც მოინდომა გაყიდვა, რაც ასრულა კიდევ, მაგრამ, როდესაც დედამ გაიგო, დატუქსა. გამოადგინა უკან ვისაც მიუიდა და ფული უკან მიაცემინა. ბავშვს შეუყვარდება მათხორები, რომელსაც დახმარებას უწევს, რითაც შეუძლია.

მეოთხე თავში ოჯახი ასწავლის ბავშვს ქათმების მოვლას, დედამ აჩუქა მას ორი ქათამი. ზატარა ქალის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. უკლიდა თვითონ, და სიყვარულით შესტკეობდა თავის ქათმებს. როდესაც ქათმებმა კვერცხები დასდეს, ბავშვმა შეაგროვა და შეინახა. ერთ მშვენიერ დღეს ჩვეულებრივად მიღის ბავშვი ბუდესთან კვერცხის ასადებად, მაგრამ ქათამმა ნისკარტი დაჭკრა და ახლასაც არ მიუშვა. მივიდა დედასთან და ყველაფერი უამბო. დედამ აუხსნა ყველაფერი. დედა-მეიღმა დასვეს კრუხი კვერცხებზედ წიწილების

გამოსახეკად. კავიდა რამდენიმე კვირა, ბავშვმა დანახს წიწილა ბუდეში, მივარდა განარებული, მაგრამ ბუდეში ერთი წიწილა იყო სხვა კიდევ გამოჩეკავი იყო. ქალმა დაამტვრია კვერცხები, ეკონა ვუშველი გამოჩეკასაო, მაგრამ წიწილები ერთის მეტი ყველა დაიხრცნენ. დედა აქაც დაეხმარა შვილს და აუხსნა მისი შეცდომა. შემდეგ კი მშვენივრად გამოაჩეკინა წიწილები მეორე კრუხს.

მესუთე თავში ავტორმა აგვიწერა, როგორ შეისწავლა ბავშვმა ჭრა-კერვა, დედამ ჯერ ტიკინების კაბები აკერვინა, მერე კი უფრო ძნელი საკერავი მისცა, მან მშვენივრად შეისწავლა ეს ხელობაც. ბოლოს ავტორი მოგვითხრობს: როცა ეს ქალი წამოიზარდა და გაათხოვეს, ჩავარდა ღარიბს ოჯახში, მაგრამ რაკი ყველა საოჯახო საქმის კეთება იცოდა, ამიტომ ადვილად ებრძოდა ცხოვრებას. ამ წიგნაკი დედა აზრი ფრიად საყურადღებოა, აქ ვხვდებით ბავშვის თვითმეჭმეებას, შრომის სიყვარულს, რასაც ოჯახი უნერგავს ზატარა-ობიდანვე და მასთან სასურველ შედეგებსაც. კარგი იქნება თუ ამ წიგნაკს ქართულად გადათარგმნის ვინმე და ჩვენი მშობლებიც ისარგებლებენ იმ აზრით, რაც ამ ზატარა წიგნაკშია გატარებული.

Waliko.

უცნაური რეცენზია

(წერილი რედაქციისადმი)

ამ მიმდინარე წლის „განათლების“ პირველ ნომერში მოთავსებულია პატარა საბიბლიოგრაფიო წქრილი, შესახებ ჩემის რუსულის მეთოდის ახალის გამოცემისა. ავტორი სიმწუხარით აცხადებს, რომ ეს მეთოდის ბევრს მასწავლებელს არც კი წაუკითხნიაო, და ურჩევს უსათუოდ გულდადებით გადაიკითხონ. კარგი და პატიოსანი; მაგრამ ბალა ის არის, რომ თვითონ რეცენ-

ზენტს დამართნია ის, რასაც მასწავლებლებს უკითხნებს. მას რომ ყურადღებით გადაეკითხნა ეს გამოცემა, უსათუოდ აღნიშნავდა, რომ მასში გამოტოვებულია მთელი გვერდები, ჩამატებულია მთელი ახალი გვერდები და სხვა ადგილებიც შესწორებულია. და როგორ დაიბეჭდებოდა უცვლელად მეთოდური სახელმძღვანელო, დაწერილი ოცის წლის წინად, როდესაც ძველი რეჟიმი პარპაშებდა და ხელს გვიკრავდა.



ყველაზე საოცარი ის არის, რომ რეცენზენტი დაახლოებით არ გასცნობია იმ საარსო განყოფილებას წიგნისას, რომელსაც სათურად აქვს: **Преимущества метода чтения—письма перед методом письма—чтения** (26—38 გვ.) თუ რომ კარგად გადაეკითხნა, იგი ორჭოფს მსჯელობას ამ საკითხის შესახებ ვერ გამოსთქვამდა და თავიდან აიცილებდა მას. როცა 36 წლის წინად „დედა-ენაში“ განვანორციელე მეთოდი კითხვა-წერისა და ოცის წლის წინად იმავე მეთოდზე ავაგე „Русское Слово“-ს რუსული ანბანი, მაშინ ორჭოფა შეხედულობა ამ საკითხის შესახებ შესაძლებელი იყო, რადგანაც მაშინ ყველა სახელმძღვანელოებსა და სკოლებში მეფობდა მეთოდი წერა-კითხვისა. ახლა კი გარემოება რადიკალურად შეცვლილია. ამჟამად ექიმებიც, მედიკოსებიც და დაწინაურებული პედაგოგებიც უარესობას აძლევენ კითხვა-წერის მეთოდს. ვისაც ეს საკითხი აინტერესებს და სურს საღი და პროგრესული შეხედულობა შეითვისოს, ვთხოვ ჩემს მეთოდიკაში გადკითხოს სხეულებული განყოფილება. აქ მე მოვიყვან მხოლოდ უკანასკნელს გვერდზე დაბეჭდილს სტრიქონებს: „И передовые педагоги, и гигиенисты и медики пришли к тому заключению, что метод письма—чтения ложень, превратень и вредень. Вот, например, мнение доктора Стеффани: „Никакое занятие ребенка не требует столько внимания учителей, родителей и врачей, сколько обучение письму. Прежде всего надо сказать, что логически поставленное первое обучение в школе не должно начинаться обучением письму, так как учение должно идти от легкого к болѣе трудному, а не наоборот. Надо начинать с обучения к чтению, икъ тому же не по печатной азбукѣ, но по достаточно крупно—напечатаннымъ стѣннымъ таблицамъ. Важно это в томъ отношении, что такимъ образомъ при первомъ

обучении ребенка не посвящаютъ на его зрѣние необходимостью разсмотривания близкихъ предметовъ, а слѣдовательно и не кладутъ основанія къ развитію близорукости. Когда ребенокъ вполне освоится съ чтениемъ на доскѣ мелкихъ и крупныхъ буквъ печатнаго и письменнаго шрифта, можно перейти къ чтению по азбукѣ и затѣмъ уже,—не ранѣе, конечно, второго года обучения—допустить самое трудное—обучение письму. Что же дѣлаютъ теперь? Совершенно обратное: учатъ сперва писать, потомъ читать, учатъ читать, пишучи. Гигиенисты считаютъ методъ обучения чтению письмомъ въ основѣ ложнымъ и превратнымъ („Рациональный способъ обучения письму по изслѣдованіямъ послѣдняго времени“ стран. 9).

ამ საკითხის გადასაწყვეტად გერმანიაში არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, შემდგარი საუკეთესო პედაგოგებისა და მედიკოსებისაგან. ამ კომისიამ იგივე აზრი გამოსთქვა, როგორც დოქტორმა სტეფანმა. მეორე პარაგრაფი კომისიის მიერ შემუშავებული კანონებისა თხოულობს: „Изучение письма должно быть, по возможности, ограничено въ первый школьный годъ. Для чего въ началѣ учения сперва должно быть *практикуемо только чтение* на отдѣльныхъ объектахъ (стѣнныхъ доскахъ и проч.), затѣмъ можно перейти къ чтению книги, и подъ конецъ—къ письму буквъ“.

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენ მართლნი ცყოფილვართ წინადაც, მართლნი ვართ, მით უმეტეს, ახლა, როცა ვასწავლით ჯერ კითხვასა და მერმე წერასა, რასაც მოითხოვს პედაგოგიური პრინციპი... გადადე მარტივიდან რთულზე, ადვილიდან ძნელზე.—

იაკობ გოგებაშვილი.

შეცდომის გასწორება: ბ. ს. ცომაიას რეცენზიაში („გან.“ № 10 1911 წ.) შემ. შეცდომებია:

გვ.	სვ.	მწკ.	სკვ.	არის	უნდა იყოს
645	1	—	22	ძმათა	ერმათა
646	1	—	2	შეტად ვიწრო მასტარითა თვისი კეთილი განზრახვა და...	შეტად ვიწრო მასტარითა განხორცოელებული. სასურველი იყო და დადაც, რომ ავტორს თვისი კეთილი განზრახვა ფართოდ განესახა და...
			8	ხუცური ხუსხური კი...	ხუცურ ხუსხურში კი...
			21	პალოკგრაფის	პალოკგრაფების
გვ. 647	სვ. 4	შენიშვნა	სიტყვებიდან	„შედმეტად არ მიგავხნია კიდეკ შემდეგი... მიუკუთვნება რეცენზიის ბოლოს—„უსარგებლო არ არის“ (გვ. 648, სვ. 1, მწკ. 9).	ს. ც.



„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამად „განათლება“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მოხაწილებას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** (2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად** და **ათ შაურად** (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთების კანტორა „იმერეთი“ ისილორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская
Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

რედაქციის სავან

ძველი ხელის მომწერლებს, ვისაც ხელის მოწერა არ განუახლებია და არც განუცხადებია სურვილი ჟურნალის მიღებაზე, ამ წლის ნომრები არ ეგზავნებათ. რედაქცია ვერავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ წერილების გამო ვერ იკისრებს. დასაბეჭდი წერილები უნდა იქმნეს დაწერილი გარკვეულად და ცალ გვერდზე. ვისაც დაკვეთილი ნომერი დროზე არ მიუვა, ან დაიკარგება, რედაქცია სთხოვს შემდეგი ნომრის გამოსვლამდის შეატყობანოს და ადევნონ თვალყური ადგილობრივ, რომ ნომრები არ იკარგებოდეს. სოფლის სამკითხველოებს წარსული წლის ნომრები უფასოდ დაეთმობათ, თუკი რედაქციიდან წააღებინებენ.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წ.



„კოლხილა“

(წელიწადი შერეუ)

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ხელმოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისის რედაქციის სახელზე.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით 4 აბაზი.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირად შეუძლიათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მან. პირველ მაისს 2 მან. პირველ ენკენისთვის 2 მან.

თითო ნომერი ერთი შაური

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—ორი შაური, დანარჩენ შემთხვევებში **ათი შაური**. სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს, სტუდ. სათვისტომოებს, სოფლის მასწავ. და სკოლებს გაზეთი ნახევარ ფასად დაეთმობათ

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე**.

ამ წლის 1-ლ თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ეოველ-დღიურ გაზეთი

„სსოვრება“

გაზეთი ღირს წლიურად 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. სამი თვით 2 მ. 05 კ. თვიურად ქუთაისში 4 აბაზი. ქუთაისის გარეთ 90 კაპ. საზღვარ-გარეთ წლ. 14 მ.

ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—3 შაური, უკნასკნელზე 2 შაური. სამგლოფიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯულაყიძე**.

ფულის გამოგზავნის ადრესი: Кутаисъ, Александровская ул. № 6, Севелию Трифоновичу Горгодзе

გამოვა 1912 წ. საყმაწვილო შურნალი

ნაკადული

(წელიწადი შერეუ)

ხელის მოწერა მიიღება შურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში. გოლოვინის პრესექტზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამაგრც. საზოგადოების მდარზიაში, თავ. აზნ. ქარვასლა)

1912 წლის 1-ლ იანვრიდან 1913 წლის 1-ლ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.